www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 30 ივნისი, 2003 წელი. №177 (389)

ფასი 50 თეთრი

**ზაფხულის სეზონთან დაკავშირებით, პირველი ივლისიდან "24 საათი" 8-გვერდიანი იქნება და გაზეთი 30 თეთრი ეღირება.**

### პოლიტიკა

#### საპარლამენტო სტატისტიკა

უკვე ერთ კვირაზე მეტია, საქართველოს პარლამენტის საგაზაფხულო სესია დასრულდა. საგანგებო სესიებზე "მოტოვებული" კანონპროექტების დამტკიცება ბოლო მოწვევის პარლამენტის მუშაობის შედეგების საერთო სურათს უკვე ვეღარ შეცვლის.

A2

### საზოგადოება

#### 11 000 „გასაყრელი" ექიმი - აბსურდი თუ რეალობა?!

წელს საქართველოში ყველაზე პოპულარული გახდა ციფრი 11 ათასი, რაც, უდავოდ, ოპოზიციის დამსახურებაა. "ნაციონალები" და "ლეიბორისტები" ისე ხშირად და ხმამაღლა წარმოთქვამენ ქვეყანაში მიმდინარე სტაციონარული ქსელის ოპტიმიზაციის საწინააღმდეგო ფრაზას - "11 ათასი ექიმი სწორედ ამ ოპტიმიზაციის შედეგად უნდა გამოყაროს ქუჩაში!"-ო, რომ უპრიანი იქნება, ერთხელ და სამუდამოდ გაირკვეს აღნიშნული საკითხი.

A3

### სამართალი

#### სამარშრუტო ტაქსების მძღოლები პოლიციას დამნაშავეთა მფარველობაში ადანაშაულებენ

გუშინ თბილისში 135 ნომერი სამარშრუტო ტაქსების მძღოლებმა რამდენიმე საათით გურამიშვილის გამზირი გადაკეტეს. მათი აღშფოთების მიზეზი გუშინწინ საღამოს, მარჯანიშვილის ქუჩაზე მათი კოლეგის მკვლელობა გახდა.

A3

### ეკონომიკა

#### სახელმწიფო საწარმოებში სამეთვალყურეო საბჭოებს შეცვლიან

საქართველოს ქონების მართვის სამინისტროს ბაზაზე შექმნილი „საწარმოთა მართვის სააგენტოს" თავმჯდომარე ვაჟა კაპანაძე, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ საწარმოებში სამეთვალყურეო საბჭოების წევრთა შეცვლას აპირებს.

A4

### უცხოეთი

#### პალესტინელებმა ცეცხლი შეწყვიტეს

გუშინ "ჰამასმა" და "ისლამურმა ჯიჰადმა" ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ოფიციალურად განაცხადეს. გუშინვე გაჩნდა ინფორმაცია, რომ მესამე პალესტინური დაჯგუფება "ალ-აყსას წამებულთა ბრიგადები" ანალოგიურ განცხადებას მოგვიანებით გააკეთებს.

A5

### ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 27 | |
| ბათუმი | 26 | |
| გორი | 25 | |
| ქუთაისი | 24 | |
| თელავი | 28 | |
| სოხუმი | 27 | |

#### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1500 |
| ევრო | 2.4891 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.5750 |
| რუბლი | 0.0708 |

# ზედმეტად ოპტიმისტური ხედვა

## ხელისუფლების პოზიცია და საფრთხე, რომელსაც, შეიძლება, უახლოეს მომავალში შევეჭახოთ

ბადრი კოპლატაძე

აფხაზეთში ლტოლვილთა დაბრუნებას საქართველოს ხელისუფლება კონფლიქტის მოგვარების წინაპირობად მიიჩნევს. საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტების სოჭში გამართულ შეხვედრაზე ღიად გაცხადდა პოლიტიკური გარიგების პირობები: რკინიგზის გახსნა ლტოლვილების დაბრუნების სანაცვლოდ. ეს მიდგომა გახდა დღევანდელი ქართული პოლიტიკის ამოსავალი წერტილი და, როგორც ჩანს, აქვე იმალება ის უმთავრესი საფრთხე, რომელსაც, შეიძლება, მომავალში შევეჯახოთ.

როგორც პრეზიდენტი შევარდნაძე ამბობს, პირველ ეტაპზე ლტოლვილები გალში დაბრუნდებიან, რის შემდეგაც უკვე კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების პროცესი დაიწყება. თავისთავად, საკმაოდ საკამათოა, რამდენად მომგებიანია საქართველოსათვის ასეთი სქემა, თუმცა ამჯერად ამ საკითხის მხოლოდ ერთ ასპექტზე გავამახვილებთ ყურადღებას.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ფილარმონია, „თბილისელები", პრეზიდენტი...

## ნოსტალგიური შოუ პოლიტიკური წიაღსვლებით

თამარ ხორბალაძე

*ჯანსუღ ჩარკვიანის ემოციური გამოსვლები, ჯანსუღ ჩარკვიანის ვაჟის სიმღერა, ჯანსუღ ჩარკვიანის შვილიშვილის მიერ ფორტეპიანოზე უდავოდ ნიჭიერად შესრულებული სამი ნაწარმოები, ქართული ესტრადის მომღერლები, დიდ ეკრანზე გახსენებული თბილისელები და სტუმრები - სახელისუფლებო ბლოკის პირველკაცობა, საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის მეთაურობით – ასეთი გახლდათ გუშინ ფილარმონიის დიდ დარბაზში გამართული საზოგადოება "თბილისელის" თავყრილობა. იმ "თბილისელის", რომელმაც საქართველოში ჩამოსულ ედუარდ შევარდნაძეს პირველი სახალხო მიღება მოუწყო, მხარი გაუმაგრა. გადაჭედილ დარბაზში შეკრებილმა საზოგადოებამ მაშინ ედუარდ შევარდნაძეს ნდობის მანდატი მიანიჭა, მხარდაჭერა აღუთქვა...*

გაგრძელება A2 გვერდზე



ბესო გულაშვილის ფოტო

გუშინდელი შეხვედრა ადრინდელებს აღარ ჰგავდა.

# შესანიშნავი შვიდეული

B4



გოგიტა ბახაიძის ფოტო

გამარჯვებული საქართველოს ნაკრები.

# კადიროვმა ნავთობმაგნატობა მოინდომა

აჰმედ კადიროვსა და ფედერალურ ცენტრს შორის ბრძოლა ჩეჩნეთის ეკონომიკური რესურსების, პირველყოვლისა, ნავთობის კონტროლისათვის გაიმართება. 21 ივნისს ჩეჩნურმა მედიამ გროზნოსა და მოსკოვს შორის უფლებამოსილებების გამიჯვნის შესახებ კადიროვის მიერ შემუშავებული პროექტი გამოაქვეყნა. ამ პროექტში განსაზღვრულია, ჩეჩნეთის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების რა ნაწილს გააკონტროლებს ფედერალური მთავრობა და რა ნაწილს - რესპუბლიკის ხელისუფლება. გაცოფებული რუსი მიმომხილველები აღნიშნულ პროექტს კადიროვის ხელში ძალაუფლებისა და სიმდიდრის აკუმულირების კიდევ ერთ მცდელობად აფასებენ და ამგვარი ინტერპრეტაცია, პრინციპში, მართებულია.

23 ივნისს "ნეზავისიმაია გაზეტაში" გამოქვეყნებული პროექტის ნაწყვეტების თანახმად, თუ ფედერალური აღმასრულებელი ორგანო ბრძანებას გამოუშვებს, რომელიც ხელშეკრულებას ეწინააღმდეგება, ამ შემთხვევაში ხელშეკრულებას უპირატესობა ენიჭება. ამგვარი დათქმა, შესაძლოა, ნორმალური იყოს ამერიკაში, მაგრამ ეს ხდება პუტინის მიერ დაწყებული ცენტრალიზაციის პირობებში. თუ პუტინი ამ და მსგავს მუხლებს გადაყლაპავს, ეს იმიტომ კი არ მოხდება, რომ მას ასე სურს, არამედ იმიტომ, რომ მას სხვა არჩევანი არ აქვს.

გაგრძელება A5 გვერდზე

# ხელისუფლების დეფოლტი

გიორგი გახელაძე

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მორიგი მისია საქართველოს ხელისუფლებისათვის გარდამტეხი მნიშვნელობისაა. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის ექსპერტმა ლადო პაპავამ რამდენიმე დღის წინ გარდაუვალ სამთავრობო ცვლილებებზე ისაუბრა: **"რაც უნდა მშვიდად ჩაიაროს ვიზიტმა, სულ მცირე, ორი - ფინანსთა და ენერგეტიკის – მინისტრი უნდა მოიხსნას".**

დავით მირცხულავასი რა ვთქვათ, მაგრამ მირიან გოგიაშვილის ბედი აშკარად გადაწყვეტილია. რაც მთავარია, მან ეს კარგად იცის და განუხორციელებელი მიზნების გამო დარდისგან გულმოკლულს სულაც არ ჰგავს. მეტიც, გასულ კვირას მასზე გაძლიერებული იერიშისას, მან გადადგომის შესახებ განცხადების გაკეთებაც დააპირა. მაგრამ გოგიაშვილს, როგორც ჩანს, შეახსენეს, რომ ის არ არის დამოუკიდებელი ადამიანი და თანამდებობას დატოვებს ზუსტად მაშინ, როდესაც პრეზიდენტი შევარდნაძე ახალ მინისტრს შეარჩევს.

სახელმწიფო კანცელარიიდან გუშინ გავრცელებული ინფორმაციით, ეს არჩევანი, ინფორმატიზატორ-მებაჟე დავით თარხან-მოურავის სასარგებლოდ, თითქოს გაკეთებულიც კი იყო. მაგრამ, პრეზიდენტთან საგანგებოდ ღამე დაბარებულმა ეკონომიკურმა ბლოკმა მხოლოდ სავალუტო ფონდთან სამუშაო ინსტრუქციები მიიღო. დღეს ედუარდ შევარდნაძე ამ ორგანიზაციასთან მუშაობის მნიშვნელობასა და საკუთარ დამსახურებაზე ისაუბრებს თავის რადიოინტერვიუში. მაგრამ, სსფ-ის მისიის მიერ ჩატარებული სამუშაო შეხვედრების შედეგები და მათი მკაფიო შენიშვნები ხელისუფლებას მოსვენებას არ აძლევს. წინასაარჩევნო პერიოდში უუნარო მთავრობა გაბრუებული კრაზანების ბუდესაც დაემსგავსა.

გაგრძელება A4 გვერდზე

# როგორ ძლიერდება საზღვრის დაცვა საქართველოში?

კობა ლიკლიკაძე
„რადიო თავისუფლება"
სპეციალურად „24 საათისათვის"

*საქართველოს ხელისუფლების განცხადებით, პარასკევს საზღვრის დაცვის დეპარტამენტმა, ბოლოს და ბოლოს, დაიწყო საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის ყველაზე მგრძნობიარე – ჩეჩნეთ-ინგუშეთ-დაღესტნის მონაკვეთის გაძლიერების ოპერაცია. შაბათს კი ეუთო-ს მისიის ხელმძღვანელმა საქართველოში, ელჩმა ჟან-მიშელ ლაკომბმა ქართველ მესაზღვრეებს პატრულირებისთვის აუცილებელი აღჭურვილობა და მოწყობილობა გადასცა.*

საქართველო-რუსეთის საზღვრის ჩეჩნეთ-ინგუშეთის მონაკვეთზე არსებული საგუშაგოების გამაგრება საზღვრის დაცვის დეპარტამენტმა უშიშროების საბჭოზე თებერვლის ბოლოს დამტკიცებული გეგმით დაიწყო.

გეგმა საზღვრის ეშელონირებულ დაცვას ითვალისწინებს, საქართველოს სახელმწიფო დაცვის დეპარტამენტის ომალოს, შატილისა და გირევის საგუშაგოების პირადი შემადგენლობის, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს რეზერვისტთა ბატალიონ "ხევსურეთისა" და სწრაფი რეაგირების ძალების მონაწილეობით.

საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის შტაბის უფროსის, პოლკოვნიკ კორნელი სალიას ინფორმაციით, მათ უკვე დაასრულეს დამატებითი ცოცხალი ძალის გადასროლა ოპერატიულ მიმართულებაზე. რა თქმა უნდა, პირადი შემადგენლობისა და ტექნიკის ზუსტი რაოდენობა, გასაგები მიზეზების გამო, არ სახელდება. ოფიციოზი არაფერს ამბობს იმაზე, თუ როგორ მოხდა დამატებითი საგუშაგოების დაკომპლექტება მაშინ, როცა არც ერთ სამხედრო უწყებას, და მათ შორის საზღვრის დაცვის დეპარტამენტსაც, ჯერ არ მიუღია საგაზაფხულო გაწვევის გეგმით გათვალისწინებული ახალწვეულთა კონტიგენტი.

გაგრძელება A2 გვერდზე

A2 ინფორმაცია | A3 საზოგადოება | A3 სამართალი | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6-A7 "ტოტო-ლოტოს" ცხრილები | A8 წერილები მთავრობას

B2 რევიუ | B3 ანკეტა | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 განცხადებები | B7 სტილი | B8 სხვადასხვა

## ფილარმონია, „თბილისელები", პრეზიდენტი...

პირველი გვერდიდან

აღარ ჰგავდა გუშინდელი შეხვედრა იმდროინდელს – ვერც გამომსვლელთა რაოდენობითა და ენთუზიაზმით დაიკვეხნიდა, ვერც სავსე დარბაზით, ვერც გულწრფელი ემოციით, სადაც ადგილი არა აქვს დადგმულ სცენებს, საკონცერტო ნომრებს, სადაც თითოეულ სიტყვაზე ქვეყნის თუ არა, დედაქალაქის ბედი მაინც ჰკიდია...

**"ჩვენთან არიან ინტელიგენტები, აკადემიკოსები, უნივერსიტეტების რექტორები... დღეს ამ დარბაზში თავი მოიყარა საქართველოს დიდმა საჭირისუფლომ... ძალიან ბევრი ადამიანი აკლია დარბაზს, მაგრამ არც ერთი არ არის ზედმეტი... ვინც ჩვენთან არ არის, დღეს ისიც ჩვენთანაა..."** – ამ მაღალფარდოვანი ფრაზებით გახსნა შეხვედრა ჯანსუღ ჩარკვიანმა და ესტაფეტა ესტრადის მომღერლებს გადასცა.

საესტრადო ნომრებს დროდადრო წყვეტდა თბილისელების გამოსვლები - ლია სტურუა, გოგი ქავთარაძე, ისევ ჯანსუღ ჩარკვიანი, გიგა ლორთქიფანიძე... ნაცნობი სახელები... ორი დაპატიჟებული, გამოცხადებული და არგამოსული "მომხსენებელი"... საბავშვო ბალის გამგე დარეჯან თოდაძე გრძელი მოხსენებით და მადლობებით ქალბატონი ნანული შევარდნაძისადმი... თბილისელი გიზო ნიშნიანიძე, რომლიც გუშინ სცენიდანაც წუხდა, რომ თბილისი მისამართად იქცა...

ასეთი გახლდათ ძირითადი პათოსი ერთ დროს მგრგვინავი საზოგადოებისა "თბილისელი", რომლის შეხვედრაზეც მართლაც არ ჩანდა ძალიან ბევრი ძველი, პრეზიდენტის მხარდამჭერი სახე. იმასაც ვერ გეტყვით, ვინ იყო ზედმეტი...

ნამდვილად არ ჰგავდა ეს "თბილისელი" იმ "თბილისელს", ისევე როგორც, სიმართლე რომ ითქვას, აღარც ედუარდ შევარდნაძე ჰგავდა იმ შევარდნაძეს, 90-იანი წლების დასაწყისში თბილისში რომ ჩამოფრინდა და საქართველოს ქვეყნად ქცევის იმედი ჩამოიტანა:

და მაინც, ედუარდ შევარდნაძეს გუშინდელმა შეხვედრამ ის დრო გაახსენა: **"მაშინ ერთად ვიყავით..."**

ძალიან მოეწონა გოგი ქავთარაძის მიერ გახსენებული თქმულება კახთა მეფეზე, რომელსაც, გლეხის აზრით, მისი ცხენის სადარაჯოდ უნდა ეფხიზლა...

**"ალბათ, პრეზიდენტი უნდა გეთქვათ, მეფის ნაცვლად..."** – შეუსწორა კიდეც.

აფხაზეთის დაკარგვაც გაიხსენა. ისიც, როგორ ჩაიხუტა თბილისმა დამარცხებული, აფხაზეთში პირშერცხვენილი პრეზიდენტი, როგორ ენდო კვლავ, როგორ ჩააბარა მომავალი.

რაღაცნაირდ მოტეხილი ჩანდა გუშინ ედუარდ შევარდნაძე. ნოსტალგიამოძალებული, ოცნებაში წასულივით ჰპირდებოდა დამსწრეთ:

**"დავიბრუნებთ... აფხაზეთსაც დავიბრუნებთ... სამაჩაბლოსაც დავიბრუნებთ... ყველაფერი კარგად იქნება..."**

## ვინ აავსებს პოლიტიკური პარტიების ჯიბეს?

ვინ დააფინანსებს წინასაარჩევნოდ პოლიტიკურ პარტიებს?

როგორც ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის" თავმჯდომარემ, სახელისუფლებო ბლოკის ერთ-ერთმა ლიდერმა ვიტალი ხაზარაძემ განაცხადა, დღეისათვის სახელისუფლებო ბლოკი მხოლოდ და მხოლოდ შემოწირულობებით ფინანსდება.

ამასთან, ვიტალი ხაზარაძემ იმედი გამოთქვა, რომ გამოჩნდებიან ბიზნესის ის წარმომადგენლები, რომლებიც ბლოკის პროგრამას ეკონომიკის აღმავლობის, სიღარიბის დაძლევისა და სხვა სოციალური საკითხების მოგვარების გარანტად მიიჩნევენ და მათ საარჩევნოდ დააფინანსებენ.

საქართველოში ყველაზე „ხმაურიანი" პარტია „ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატიული ფრონტიც", სხვების მსგავსად, შემოწირულობების იმედზეა, თუმცა ირწმუნება, რომ წინასაარჩევნო კამპანიის წარმოებისას ერთადერთი ხარჯი საწვავს უკავშირდება.

პარტიას არ ეყოლება იმიჯმეიკერები, მისი იმიჯმეიკერები აქტივისტები არიან.

„ლეიბორისტული (შრომის) პარტიის" თავმჯდომარე შალვა ნათელაშვილი ხელგაშლილი ბიზნესმენების იმედზეა, რომლებიც მადლიერებას გამოიჩენენ და მათ მიერ გახსნილ საბანკო ანგარიშზე წინასაარჩევნო კამპანიის წარმოების დასაფინანსებელ თანხებს ჩარიცხავენ.

მისი თქმით, „პარტიის საწევრო გადასახადი იმდენად მცირეა, რომ მხოლოდ ოფისების მომზადებას ჰყოფნის".

ბათუმური პარტიაც - „დემოკრატიული აღორძინების კავშირი", რომლის ლიდერიც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაური ასლან აბაშიძეა და, შესაბამისად, თითქოსდა ყველაზე დიდი თანხების მფლობელი უნდა იყოს, კვლავ მსხვილ მეწარმეებს ელოდება, რომლებიც არჩევნებში უნდა დაეხმარონ. „დაკ"-ის თბილისის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ცოტნე ბაკურიამ აღნიშნა, რომ პარტია საარჩევნოდ თვეში მინიმუმ 5 - 6 ათას ლარს დახარჯავს, რასაც საწევრო გადასახადი ნამდვილად ვერ აანაზღაურებს.

ამასთან, შემოდგომაზე დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით, „დემოკრატიული აღორძინების კავშირის" წინასაარჩევნო კამპანიას 61 იმიჯმეიკერი უხელმძღვანელებს, თუმცა, ცოტნე ბაკურიას მტკიცებით, ცნობილი მემარჯვენე ორიენტაციის იმიჯმეიკერები აშშ-დან, საფრანგეთიდან, შვეიცარიიდან, იტალიიდან და გერმანიიდან, ანაზღაურების გარეშე იმუშავებენ და „დემოკრატიული აღორძინების კავშირი" მხოლოდ საცხოვრებელი ბინის ფასს, ზაფხულში კი - ზღვისპირა ქალაქ ბათუმში დასვენებას აანაზღაურებს.

ბიზნესმენებითა და მეწარმეებით სავსე პოლიტიკური გაერთიანება „ახალი მემარჯვენეებიც" სხვათა დახმარების იმედზეა, თუმცა ღიად აცხადებენ, რომ წინასაარჩევნო კამპანიაზე მაქსიმალურად დიდ თანხებს დახარჯავენ.

„პარტიის კამპანიას ბიზნესმენები შემოწირულობებით დააფინანსებენ, მაგრამ ეს იქნება გამჭვირვალე და გაკეთდება რეესტრი", - აცხადებენ პარტიის ლიდერები.

„მემარჯვენეების" იმიჯზე, „აღორძინების" მსგავსად, აშშ-ში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი საკონსულტაციო ჯგუფის „ანდერსონ-მერფი-პიტსი"-ს წარმომადგენლები მაიკ მერფი და ჯიმ პიტსი იზრუნებენ, თანაც „ახალი მემარჯვენეების" ლიდერების ლევან გაჩეჩილაძისა და დავით გამყრელიძის განცხადებით, კონსულტანტები მათ ანაზღაურების გარეშე მოემსახურებიან და მხოლოდ ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია "GWS"-ის ღვინოებს დალევენ უფასოდ.

სხვა პარტიებს არც ექს-სპიკერის ზურაბ ჟვანიას ლიდერობით შექმნილი „გაერთიანებული დემოკრატები" ჩამოუვარდება.

ისინიც მეწარმეთა შემოწირულობებს ელოდებიან, რომელსაც მაქსიმალურად გამოიყენებენ და ამ თანხას საწევრო გადასახადებს დაამატებენ, რაც თვეში 10 თეთრს შეადგენს.

*პრაიმ-ნიუსი*

## მოკლედ

**თბილისი.** საქართველოს სამხედრო საზღვაო ძალების სარდალი გიგლა ირემაძე 30 ივნისიდან 5 ივლისამდე ოფიციალური ვიზიტით რუმინეთს ეწვევა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** „ლიბერალური პარტიის" თავმჯდომარე რევაზ შავიშვილი, წინასაარჩევნო ალიანსის შექმნის მიზნით, სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიასთან მოლაპარაკებებს აწარმოებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის მერის არჩევას მხარს უჭერს თითქმის ყველა პოლიტიკური ძალა, თუმცა დედაქალაქის საკრებულოს წევრის, ფრაქცია "გაერთიანებული კონსერვატორების" თავმჯდომარის გიორგი ტაბიძის ინიციატივას, რომელიც მერის საკრებულოს მიერ არჩევას ითვალისწინებს, ბევრი მათგანი არ იზიარებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის გივი შუღაროვის განცხადებით, ჩინეთსა და იაპონიაში საქართველოს საელჩოს გახსნა, დაუფინანსებლობის გამო, ჯერჯერობით ვერ ხერხდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ევროსაბჭოში საქართველოს მუდმივმოქმედი დელეგაციის წევრი არმაზ ახვლედიანი ელენე თევდორაძეს და „მის კოლეგებს" საქართველოში მიმდინარე ნორმალური წინასაარჩევნო პროცესის დაბლოკვაში ადანაშაულებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** „საქართველოს ლეიბორისტული (შრომის) პარტია" ხვალიდან აქტიურ წინასაარჩევნო კამპანიას იწყებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე 3 ივლისს ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის ზაფხულის სესიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად ჰოლანდიაში გაემგზავრება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტში დეპუტატთა რიცხვის 150-მდე შემცირებასთან დაკავშირებით რეფერენდუმის ჩატარებისთვის 200 ათასი ხელმოწერის შეგროვებას „არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის" აქტივისტები 1 ივლისიდან დაიწყებენ. **ინტერ-პრესი**

## ზედმეტად ოპტიმისტური ხედვა

პირველი გვერდიდან


გზა აფხაზეთისკენ...
ზაზა ფარჯაშვილის ფოტო

ღიად ამაზე არავინ საუბრობს, მაგრამ ყველასათვის ნათელია, თუ რატომ ანიჭებს საქართველოს ხელისუფლება ლტოლვილების დაბრუნებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას. თბილისში ბევრი ვარაუდობს, რომ აფხაზეთში ომამდელი დემოგრაფიული სიტუაციის აღდგენა საგრძნობლად გააიოლებს პრობლემის მოგვარებას. დავუშვათ, ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც ეს ხელისუფლებას წარმოუდგენია; დავუშვათ, დაბრუნდნენ ლტოლვილები იმ ტერიტორიაზე, რომლის პოლიტიკური სტატუსი კვლავაც გაურკვეველი იქნება. არსებობს კი იმის გარანტია, რომ იქ დაბრუნებული მოსახლეობა ისეთივე ერთსულოვანი იქნება, როგორც თუნდაც აფხაზები იყვნენ 90-იანი წლების დასაწყისში და ერთიანი პოზიციის დაცვას შეძლებს? არიან კი ლტოლვილები მზად, რომ აფხაზეთის დღევანდელი დე ფაქტო ხელისუფლების მმართველობის პირობებში საკუთარი უფლებების დაცვისათვის აქტიურად იბრძოლონ? ზოგადად ამ კითხვებზე პასუხი შეიძლება ნათელიც იყოს, მაგრამ უპრიანი იქნება უახლოესი ისტორიის ერთი, საკმაოდ ტიპური ფრაგმენტის გახსენება.

1990 წლის ბოლოს საქართველოს მაშინდელმა ხელმძღვანელმა ზვიად გამსახურდიამ აფხაზურ პოლიტიკურ ელიტასთან 28/26-ის სახელით ცნობილ შეთანხმებას მიაღწია, რის საფუძველზეც აფხაზეთის უზენაეს საბჭოში მანდატები ეროვნული ნიშნით გადანაწილდა. რიცხობრივად ბევრად მცირე აფხაზებმა 28 მანდატი მიიღეს, ქართველებმა კი, რომლებიც აფხაზეთის მოსახლეობის თითქმის ნახევარს შეადგენდნენ - 26, დანარჩენი ადგილები სხვა ეროვნების წარმომადგენლებს ერგოთ. მიუხედავად დისბალანსისა, ხმების განაწილება ისეთი იყო, რომ არც ერთ მხარეს სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხების დამოუკიდებლად გადაწყვეტა არ შეეძლო. ეროვნული კუთვნილებით დაიყო თანამდებობებიც. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აფხაზი უნდა ყოფილიყო, პრემიერ-მინისტრი - ქართველი. ქართველებს ეკუთვნოდათ ასევე რამდენიმე სამინისტრო (მათ შორის ძალოვანი სტრუქტურების ნაწილიც).

ამ შეთანხმებას მაშინ საკმაოდ დიდი და უარყოფითი რეზონანსი მოჰყვა, ქართულმა ოპოზიციამ ამ სისტემას თავიდანვე აპარტეიდული უწოდა, მაგრამ ხელისუფლება ვარაუდობდა, რომ ასეთი მიდგომით სტატუს ქვოს შენარჩუნებას მოახერხებდა. სამწუხაროდ, მოვლენები ყველაზე არასასურველი სცენარით განვითარდა. ერთმანეთთან დაპირისპირებულმა ადგილობრივმა პოლიტიკურმა ძალებმა კრიტიკულ მომენტშიც კი ვერ შეძლეს შეთანხმებული პოზიციების ჩამოყალიბება. სწორედ მათმა უუნარობამ და არაორგანიზებულობამ მისცა აფხაზებს სრული კარტ-ბლანში, რამაც ბევრწილად განსაზღვრა ის, რაც შემდგომში მოხდა. დეტალებს რომ არ ჩავუღრმავდეთ, მხოლოდ ერთი ფაქტის გახსენება შეიძლება: ქართულმა დეპუტაციამ თვეების განმავლობაში პრემიერ მინისტრის კანდიდატურის შერჩევაც კი ვერ შესძლო, რითაც მოხერხებულად ისარგებლა არძინბამ და პრემიერად წარმომავლობით ქართველი, თუმცა კი მენტალურად აფხაზი დანიშნა.

ეს იყო 12 წლის წინ, როდესაც აფხაზეთში ასეულ ათასობით ქართველი ცხოვრობდა, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი საკმაოდ შეძლებულ ადამიანად ითვლებოდა და სიტუაციაზე ზემოქმედების მძლავრი ბერკეტებიც გააჩნდა. ძნელი წარმოსადგენი არ არის, თუ რა შეიძლება მოხდეს ახლა, როდესაც აფხაზეთის პოლიტიკური ელიტა ვერც დევნილობაში ახერხებს პოზიციების შეჯერებას, ხოლო ერთ დროს შეძლებული ადამიანები ქუჩაში ვაჭრობა-მათხოვრობით ირჩენენ თავს (აღსანიშნავია ისიც, რომ სწორედ გასულ კვირას გახდა მოწმე მთელი საქართველო, თუ როგორ და რა ფორმებით დაუპირისპირდა ერთმანეთს ის ხალხი, ვისაც აფხაზეთის დაბრუნების პრეტენზია აქვს). აქედან გამომდინარე ვარაუდი, რომ პოლიტიკური სტატუსის შესახებ შეთანხმების გარეშე დაბრუნებული ლტოლვილები აფხაზეთის შიდა სიტუაციაზე გავლენის მოხდენას შეძლებენ, საკმაოდ ოპტიმისტურად გამოიყურება. ამ ფაქტორის გაუთვალისწინებლობამ კი საქართველოს ხელისუფლება შეიძლება ისეთ მდგომარეობამდე მიიყვანოს, რომლის გამოსწორება შემდგომში შეუძლებელი იქნება.

## საპარლამენტო სტატისტიკა

უკვე ერთ კვირაზე მეტია, საქართველოს პარლამენტის საგაზაფხულო სესია დასრულდა. საგანგებო სესიებზე "მოტოვებული" კანონპროექტების დამტკიცება ბოლო მოწვევის პარლამენტის მუშაობის შედეგების საერთო სურათს უკვე ვეღარ შეცვლის.

პარლამენტის, რომელმაც გამოიცვალა თავმჯდომარე, ორჯერ გამოიცვალა კომიტეტების ხელმძღვანელები;

პარლამენტის, რომელიც მარტივ მამრავლებად დაიშალა და სადაც თითქმის იმდენი ფრაქცია შეიქმნა, რამდენიც თეორიულად იყო შესაძლებელი;

პარლამენტის, რომელიც პოლიტიკური დაპირისპირების რინგად და ფიზიკური ანგარიშსწორების ასპარეზად გადაიქცა;

ასეთია იმიჯი, რომელიც დღევანდელ პარლამენტს აქვს და რომელსაც დღეს ხელს აშველებს ყველა – იქნება სახელისუფლებო თუ ოპოზიციური პარტიის წევრი.

და მაინც, პარლამენტი, მოგეხსენებათ, კანონშემოქმედებითი ორგანოა. მისი მთავარი ფუნქცია კანონების დამტკიცებაა. შესაბამისად – მისი მუშაობის შესაჯამებლად გარეგნულ ეფექტზე არანაკლებ მნიშვნელოვანია მშრალი სტატისტიკა, ციფრები, რომლებიც, გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, მაგრამ გვამცნობს, რომ დღევანდელი პარლამენტი სულაც არ გახლავთ წინამორბედზე ნაკლებპროდუქტიული, სულაც არ გახლავთ ისეთი ბერწი, როგორც სურთ, წარმოაჩინონ.

"24 საათის" ხელთ არსებული ინფორმაციით, 1999 წლის საშემოდგომო და რიგგარეშე სესიებზე პარლამენტის მიერ მიღებულია 21 კანონი, აქედან 10 – საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით. ასევე მიღებულია 67 დადგენილება (რომელთა დიდ ნაწილს აღმასრულებელი ხელისუფლება თავად უგულებელყოფს), 2 განცხადება და 2 შეთანხმება.

2000 წლის საგაზაფხულო, საშემოდგომო და რიგგარეშე სესიებზე მიღებულია 147 კანონი, აქედან 75 – საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით, 189 დადგენილება, რატიფიცირებულია 75 შეთანხმება, ხელშეკრულება და კონვენცია, მიღებულია ასევე 1 მიმართვა და 1 განცხადება.

2001 წლიდან საქართველოს პარლამენტში იწყება განსაკუთრებული პრობლემების ხანა, როცა შიდაპოლიტიკური დაპირისპირებები მძაფრდება და ხშირად საკმაოდ უხერხულ სიტუაციებშიც გამოიხატება ხოლმე. მიუხედავად ასეთი გამწვავებული სიტუაციისა, 2001 წელს პარლამენტში მოხერხდა 154 კანონის, აქედან - 82 საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით, 115 დადგენილების მიღება, ამ წელს რატიფიცირებულია 38 შეთანხმება, ხელშეკრულება და კონვენცია, მიღებულია ერთი მიმართვა და 9 განცხადება.

2002 წელს პარლამენტმა საქართველოში კანონშემოქმედების რეკორდული მაჩვენებელს მიაღწია: ამ წელს მიღებულია 184 კანონი, აქედან – 110 საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით, 128 დადგენილება, რატიფიცირებულია 46 შეთანხმება, ხელშეკრულება და კონვენცია, მიღებულია 3 მიმართვა და 7 განცხადება.

2003 წელს კი, ანუ მაშინ, როცა საარჩევნო კანონთან დაკავშირებით კონსულტაციები ჩიხში შევიდა და პარლამენტში შეიქმნა სიტუაცია, როცა სხდომის გამართვა, სხვადასხვა პოლიტიკური ძალების მიზეზით, მეტად პრობლემატური გახლდათ, საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა 132 კანონი, აქედან – 84 საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით, მიიღო 36 დადგენილება, რატიფიცირებულია 14 შეთანხმება, ხელშეკრულება და კონვენცია.

იმ პირობებში, რა პირობებშიც სახელისუფლებო თუ ოპოზიციური ზეწოლის გამო, საქართველოს პარლამენტს დღეს უხდება მუშაობა, ცხადია, რომ ასეთი შედეგი მართლაც მოულოდნელი გახლავთ. მოულოდნელი გახლავთ მაშინ, როცა ბოლო პერიოდში კონსტრუქციულობა არც ერთი მხარის ინტერესებში ნამდვილად არ შედიოდა, როცა ერთადერთი, ვინც პარლამენტში ყველა, თუნდაც წარუმატებელ კონსულტაციებს მუდმივად ესწრებოდა და ესწრება, სპიკერატი და თავად სპიკერია, როცა საარჩევნო მარათონში ჩართულ პოლიტიკურ პარტიათა ინტერესის საგანი საკუთარი პოზიციების დაფიქსირება, როგორც ამას უწოდებენ – "დაპიარებაა" და არა კონკრეტული შედეგების მიღწევა, ანუ კონკრეტული კანონების დამტკიცება.

რაც შეეხება პარლამენტის მიერ მიღებული კანონების ხარისხს – ეს უდავოდ სერიოზული, თუმცა უკვე სხვა, უფრო დეტალური და კონკრეტული განსჯის თემა გახლავთ.

*24 საათი*

## როგორ ძლიერდება საზღვრის დაცვა საქართველოში?

პირველი გვერდიდან



მაგრამ ცნობილია, რომ ქართველი მესაზღვრეები დიდ იმედებს ამყარებენ საზღვრის თვალთვალისა და კონტროლის ერთიან სისტემა "იორზე", რომელიც ამერიკის მხარის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება. თვალთვალის რადარული სისტემა აფიქსირებს სახმელეთო საზღვარზე მომხდარი დარღვევის ნებისმიერ ფაქტს და მონაცემებს აწვდის ცენტრალურ შტაბს.

სწორედ სისტემა "იორის" ამ კომპონენტის ამოქმედებით მოხდა შარშან აგვისტოს შეიარაღებული ჩრდილოეთკავკასიელთა 13 კაციანი ჯგუფის დაკავება გირევის საგუშაგოსთან.

თუმცა, საზღვრის გასაძლიერებლად საქართველოს მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატები არ ეხმარება.

1999 წლიდან რუსეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთზე მონიტორინგს უიარაღო ეუთო-ს სამხედრო დამკვირვებლები ახორციელებენ. მიმდინარე წლის იანვრიდან მისია 400 კაცამდე გაიზარდა, ხოლო პარალელურად, მონიტორინგის ოპერაციამ ინგუშეთისა და დაღესტნის მონაკვეთებიც მოიცვა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მხრიდან ჩრდილოეთ საზღვრის გაძლიერების პროცესს ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მისიის კიდევ ერთი პროექტის განხორციელება დაემთხვა. შაბათს კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში ეუთო-ს საქართველოს მისიის ხელმძღვანელმა, ელჩმა ჟან-მიშელ ლაკომბმა საზღვრის დაცვის დეპარტამენტის წარმომადგენლებს 100 000 ევროს ღირებულების სპეციალური აღჭურვილობა გადასცა. მასში შედის კომუნიკაციის საშუალებები, 11 ცალი "უაზის" ტიპის ავტომანქანა, მიკროგენერატორები, პირადი ნივთები, ფორმის ტანსაცმელი, კარვები და სხვა საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთები. ელჩ ლაკომბის თქმით, აღნიშნული აღჭურვილობა ევროკავშირის გრანტის სახით გამოყოფილი თანხიდან იქნა შეძენილი და იგი გადეცემა საზღვრის დაცვის იმ ქვედანაყოფებს, რომლებიც საზღვრისპირა მთიან რაიონებში ეუთო-ს მონიტორინგის ჯგუფების უსაფრთხოებას უზრუნველყოფს.

საქართველოს საზღვის დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ აღჭურვილობა საბრძოლო დანიშნულებისაა და მას მიიღებს დახლოებით 400 მესაზღვრე, რომლებმაც ეს საჩუქარი თუნდაც იმის გამო დაიმსახურეს, რომ ფხიზლად იცავენ უაიარაღო სამხედრო დამკვირვებლებს და, როგორც კოდორის ხეობაში გაეროს ინსპექტორების შემთხვევაში ხდება ხოლმე, არავის აძლევენ მათი მძევლად აყვანის და საქართველოს საერთაშორისო იმიჯის შელახვის უფლებას.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# 11 000 „გასაყრელი" ექიმი - აბსურდი თუ რეალობა?!

"ეს აბსურდული ციფრია!" - აცხადებენ ოფიციალური პირები

ზაზა ფაჩუაშვილი

*წელს საქართველოში ყველაზე პოპულარული გახდა ციფრი 11 ათასი, რაც, უდავოდ, ოპოზიციის დამსახურებაა. "ნაციონალები" და "ლეიბორისტები" ისე ხშირად და ხმამაღლა წარმოთქვამენ ქვეყანაში მიმდინარე სტაციონარული ქსელის ოპტიმიზაციის საწინააღმდეგო ფრაზას - " 11 ათასი ექიმი სწორედ ამ ოპტიმიზაციის შედეგად უნდა გამოყაროს ქუჩაში!"-ო, რომ უპრიანი იქნება, ერთხელ და სამუდამოდ გაირკვეს აღნიშნული საკითხი. ამის შესახებ კომენტარს აკეთებს რამდენიმე კომპეტენტური პირი.*

პირველად ამ იდუმალი 11 ათასის წარმომავლობის შესახებ კომენტარი ვთხოვეთ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს ამირან გამყრელიძეს: **" მე არ ვიცი, საიდან მოიტანეს ჩვენმა ოპონენტებმა ეს ციფრი. სტაციონარული ქსელის ოპტიმიზაცია ხანგრძლივი პროცესია და გათვლილია ათ წელზე. ამ 4 წლის განმავლობაში გამოთავისუფლდა მხოლოდ 670 ადამიანი. ყველამ მიიღო კომპენსაცია და გადამზადების შანსი. ამიტომ, სრულიად აბსურდულია განცხადება იმის შესახებ, რომ 11 ათასი ექიმი ქუჩაში რჩება. ეს არის ხალხის შეცდომაში შეყვანა და წინა საარჩევნო პოპულიზმი."**

ამ შემთხვევაში სამინისტროს ოპონენტები არიან "ნაციონალები" და "ლეიბორისტები", რომლებიც, მათივე თქმით, ძალიან მარტივ გაანგარიშებას ეყრდნობიან.

ლევან მეტრეველი, საკრებულოს წევრი "ნაციონალური მოძრაობიდან": **" ვიანგარიშეთ იმის მიხედვით, თუ რამდენი საავადმყოფო და საწოლი უქმდება. არსებობს გარკვეული სტანდარტები იმისა, თუ რამდენ საწოლს რამდენი ექიმი სჭირდება. აქედან გამოდის, რომ ოპტიმიზაციის შედეგად 11 ათასი ექიმი უნდა გაათავისუფლონ.**

**დღეს სერთიფიცირებულია 21 ათასი ექიმი. 100 000 მოსახლეზე 44 ექიმი მოდის და გეთანხმებით, რომ ეს ბევრია, მაგრამ, თუ გავანახევრეთ, მაშინ აფრიკულ სტანდარტებს მივიღებთ."**

კახაბერ ძაგანია, საკრებულოს წევრი "ლეიბორისტული პარტიიდან": **"ოპტიმიზაციის გეგმით უნდა გაუქმდეს და გაიყიდოს, დაახლოებით, 200 საავადმყოფო. თითოეული მათგანიდან, საშუალოდ 50 ექიმი მცირდება და ასე სრულდება 11 ათასი. შეიძლება ცოტა მეტი, ან ნაკლებიც იყოს, მაგრამ მაინც ძალიან ბევრია."**

ოფიციალური მონაცემებით, დღეისათვის საქართველოში 270-მდე საავადმყოფოა. ოპტიმიზაციის გეგმით თბილისისთვის საკმარისია 13 საავადმყოფო, ხოლო ქვეყნის სხვა რეგიონებისთვის –92 (სულ 105 საავადმყოფო). ამ სტაციონარებიდან ზოგი ისე პატარაა (განსაკუთრებით რეგიონებში), რომ 50 ექიმი საერთოდ არ ჰყავს. არის კიდევ არაერთი საგულისხმო ფაქტი, რასაც მნიშვნელოვანი კორექტივები შეაქვს ოპოზიციურ წარმოდგენაში.

ამის შესახებ საუბრობს საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდის დირექტორი თემურ დოლიძე: **" მოგეხსენებათ, ცივი ომის დროს, რაც შეიძლება მწვავე კონფლიქტშიც გადაზრდილიყო, საქართველო მოიაზრებოდა ერთ დიდ ჰოსპიტლად და ამ მიზნით შენდებოდა საკავშირო მნიშვნელობის უზარმაზარი სამედიცინო დაწესებულებები. მაშინ სახელმწიფო მთლიანად აფინანსებდა შენობების შენახვას, მედპერსონალის ხელფასს და პაციენტთა მკურნალობას. სსრკ-ს დაშლის შემდეგ ეს ყველაფერი დარჩა უბიუჯეტო ქვეყანაში. საავადმყოფოების დატვირთვის საშუალო მაჩვენებელი მხოლოდ 10 პროცენტი იყო.**

**ჩვენს სახელმწიფოს არ შეეძლო და არც სჭირდებოდა საბჭოთა დროინდელი ჯანდაცვის სისტემის შენარჩუნება. ამიტომ, დაიწყო ახალი სისტემის ჩამოყალიბება (ჯანდაცვის რეფორმა), რასაც ბუნებრივად მოჰყვა ჭარბი შენობებისა და სამედიცინო პერსონალის ოპტიმიზაცია. ახალი სისტემის მიზანი არის ერთი – პაციენტის მკურნალობა ხარისხიანად და მაქსიმალური ხელმისაწვდომობის პირობებში (ხომ არ შეიძლება, ქვეყნის ჯანდაცვის მიზანი იყოს შენობების შენახვა). ამისათვის კი საჭიროა მწირი ბიუჯეტის კონცენტრირება და მიმართვა იმ საავადმყოფოებზე, რომელიც ქვეყანას სჭირდება."**


ამირან გამყრელიძე


თემურ დოლიძე


კახაბერ ძაგანია


ლევან მეტრეველი

- ოპტიმიზაციის აუცილებლობას ოპოზიციაც ეთანხმება, ოღონდ, მათი განცხადებით, 11 ათასი ექიმის გათავისუფლება ძალიან ბევრია.

**- ჩვენ არ ვამბობთ, რომ 11 ათასი ექიმი უნდა გათავისუფლდეს და ამასთან დაკავშირებით დღეს მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ეს ციფრი ძალიან გაბერილია. აქ საკითხი ასე მარტივად არ დგას. არსებობს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები, მაგრამ საჭიროა უფრო ზუსტი აღრიცხვიანობის გაკეთება. ამ მიზნით ჩვენ უკვე დავიწყეთ კადრების ინვენტარიზაცია და ყველა საავადმყოფოს ვთხოვეთ, მოეწოდებინათ დეტალური ინფორმაცია თითოეული თანამშრომლის შესახებ (ჩვენ ისიც კი გვაინტერესებს, ვინ როდის და რამდენი ხნით იყო შვებულებაში). ამის შემდეგ შესაძლებელი იქნება იმის პროგნოზირება, თუ რამდენი ექიმი შეიძლება გამოთავისუფლდეს.**

- აღრიცხვიანობის აუცილებლობა რამ გამოიწვია?

**- ძალიან საინტერესო ფაქტებს წავაწყდით უკვე ოპტიმიზირებულ დაწესებულებებში, სადაც ვამოწმებდით გამოთავისუფლებული ექიმების სტაჟს და ბოლო წლის საშუალო ხელფასს, რათა კომპენსაციები გაგვეცა. აღმოჩნდა, რომ ექიმების მთელი რიგი, წლობის განმავლობაში, გაშვებული იყო უხელფასო შვებულებაში – 1 წლით, 2 წლით, 3 წლით, 4 წლით. ზოგიერთ მათგანს ხუთი წელი არ უმუშავია. ესენი არიან ადამიანები, რომლებიც თანამშრომელთა სიაში ირიცხებიან, მაგრამ ექიმები პრაქტიკულად აღარ არიან. ჩვენ სადაც ვნახეთ, ასეთი, დაახლოებით, 30 პროცენტი იყო. ამიტომ, როცა აქცენტი კეთდება 11 ათასზე, ჯერ იმაზე უნდა ვიფიქროთ, პრაქტიკულად რამდენი მუშაობს.**

**ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ოპტიმიზაცია ეხება მხოლოდ საავადმყოფოებს და არა პოლიკლინიკებსა და სხვა სამედიცინო დაწესებულებებს, სადაც მრავალი ექიმი მუშაობს. ამიტომ წარმოუდგენელია, რომ საავადმყოფოებიდან 11 ათასი ექიმის შემცირება მოხდეს.**

- ოპონენტები საკმაოდ მარტივ გაანგარიშებას აკეთებენ – უნდა შემცირდეს 200 საავადმყოფო და თითოეულიდან 50 ექიმი ხომ მაინც გათავისუფლდებაო?

**- არ არის ასე. ჯერ ერთი, 200 საავადმყოფო არ მცირდება და მეორეც, შემცირება ყველა საავადმყოფოს არ შეეხება. მაგალითად, თიანეთის საავადმყოფოში სულ სამი ექიმია და რაღა უნდა შევამციროთ. პირიქით, იქ ექიმები სჭირდებათ. ასეთი არაერთი საავადმყოფოა.**

- მაინც რამდენი ექიმი შეიძლება, გათავისუფლდეს?

**- ახლა პროგნოზის გაკეთება გამიჭირდება.**

- და, მაინც?

**- ჩემი ვარაუდით, მაქსიმუმ,.. ეს შეიძლება იყოს,.. ალბათ, 5 - 6 ათასი ექიმი.**

მომდევნო კომენტარი საინტერესოა იმით, რომ მისი ავტორია დამოუკიდებელი ექსპერტი, თავის დროზე საავადმყოფოთა ქსელის კვლევის ერთ-ერთი ავტორი საქართველოს მხრიდან დავით გზირიშვილი: **" 11 ათასი ექიმის გათავისუფლება სრული აბსურდია. კეთდება სტაციონარული ქსელის ოპტიმიზაცია, სადაც დასაქმებულია ექიმების ნახევარზე ნაკლები. უმრავლესობა მუშაობს პირველად ქსელში და სხვა სამკურნალო დაწესებულებებში, რომელთაც ოპტიმიზაციის პროცესი არ ეხება. თავად განსაჯეთ, 21 ათასი სერთიფიცირებული ექიმის ნახევარი რამდენი იქნება და იმ რაოდენობიდან 11 ათასის გათავისუფლება თუ გამოდის."**

საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი გიორგი ნიკოლაიშვილი კი საკითხს ეთიკური კუთხით უდგება: **" საქმე ეხება ექიმებს, ჩვენს კოლეგებს, რომელთაც დიდი პატივისცემით ვეპყრობით და ასე ხელაღებით ციფრებით არ ვზომავთ. უბრალოდ, ქვეყნის საჭიროებიდან გამომდინარე, სერთიფიცირებისა და ლიცენზირების ცივილური ფორმით ხდება მაქსიმალურად პროფესიონალი ექიმების შერჩევა. დანარჩენებს ვაძლევთ კომპენსაციებს და ვთავაზობთ სოციალურ გარანტიებს. რაც შეეხება ამ რაოდენობას, 11 ათასს, რბილად რომ ვთქვათ, ზედაპირული ციფრია."**

პოლიტიკური მიზეზების გარდა პოზიციების ასეთი რადიკალური სხვაობა შეიძლება ერთი გარემოების გაუთვალისწინებლობასაც გამოეწვია. ჩვენი სტაციონარული ქსელის კვლევის შემდეგ უცხოურმა სამედიცინო ფირმებმა ( "კაიზერ პერმანენტე", "სიმენსი", "ვამედი") ავანგარდული რეკომენდაციები დაგვიტოვეს, რომლის თანახმად, მაგალითად, თბილისში საკმარისი იქნებოდა 4 საავადმყოფო და 1200 საწოლი. საქართველოს მხარემ კი ეს მონაცემები 2,5–3-ჯერ გაზარდა. ცხადია, ამის შესახებ ოფიციალური ინფორმაციები თავიდანვე გაკეთდა, მაგრამ...რას გაუგებ პოლიტიკურ ბრძოლას.

ბოლოს, მოგაწვდით ოფიციალურ ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ 2000 წლიდან დღემდე მოხდა 48 ობიექტის შერწყმა, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა 15 სამედიცინო დაწესებულება. სულ გამოთავისუფლებულია 670 პერსონალი. მათზე გაცემულია 660494 ლარის ოდენობის კომპენსაცია.

*სამართალი*

## სამარშრუტო ტაქსების მძღოლები პოლიციას დამნაშავეთა მფარველობაში ადანაშაულებენ

გუშინ თბილისში 135 ნომერი სამარშრუტო ტაქსების მძღოლებმა რამდენიმე საათით გურამიშვილის გამზირი გადაკეტეს. მათი აღშფოთების მიზეზი გუშინწინ საღამოს, მარჯანიშვილის ქუჩაზე მათი კოლეგის მკვლელობა გახდა. საქმე ის გახლავთ, რომ შაბათს, დაახლოებით 10 საათზე, ძველ უნივერმაღთან ორმა პირმა სამარშრუტო ტაქსი გააჩერა, რომელშიც მძღოლი, მისი თანაშემწე და ორი მგზავრი ისხდნენ. ბოროტმოქმედებმა მძღოლს იარაღის მუქარით ფული მოსთხოვეს. თვითმხილველთა თქმით, ამ დროს მძღოლმა ხელი გასაღებისკენ წაიღო, სავარაუდოდ, ძრავის გამოსართავად, თუმცა, უეცრად გასროლის ხმა გაისმა. სამარშრუტო ტაქსის მძღოლი გოჩა ნიკოლაძე ადგილზევე გარდაიცვალა.

გუშინ მოწყობილ საპროტესტო აქციაზე სამარშრუტო ტაქსების მძღოლები ყაჩაღებისა და მძარცველების გააქტიურებაზე საუბრობდნენ, რის მიზეზადაც სამართალდამცველთა პასიურობას ასახელებდნენ. მათ ამგვარი დასკვნის გაკეთების საფუძველს უშუალოდ მათ მარშრუტზე მომხდარი ფაქტები აძლევთ. მძღოლების თქმით, ერთი თვის წინათ, ზუსტად იმავე ადგილზე – ძველ უნივერმაღთან ბოროტმოქმედებმა გააჩერეს სამარშრუტო ტაქსი. რამდენიმე პიროვნება ავიდა მანქანაში, შემდეგ კი მძღოლს ფული მოსთხოვეს. საბოლოო ჯამში, ფული წაართვეს, მძღოლი კი მეორე დღეს გაკოჭილი იპოვეს თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე. მსგავსი ძარცვის ფაქტები ამ მარშრუტის მძღოლთაგან, თურმე, თითქმის ყველას გამოუცდია. ის, რომ მძარცველთა ხელწერა არ იცვლება და ისინი პოტენციურ მსხვერპლს ყოველთვის ერთსა და იმავე ადგილზე ელოდებიან, მძღოლებს აფიქრებინებთ, რომ პოლიციას მათ შესახებ ინფორმაცია აქვს, მაგრამ დანაშაულის თავიდან ასაცილებლად არაფერს აკეთებს.

*24 საათი*


*სამარშრუტო ტაქსების მძღოლები კრიმინალების გააქტიურებაზე საუბრობდნენ.*

## პოლიციელმა უდანაშაულო ადამიანი ავტომატით დაცხრილა

გუშინ, გამთენიისას, ზუგდიდი-მესტიის გზაზე მიმავალ ავტომანქანას, რომლშიც ოთხი მგზავრი იმყოფებოდა, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან ცეცხლი გაუხსნეს. მძღოლი შავგენ გაბულდანი, სროლის შედეგად მიყენებული ოთხი მძიმე ჭრილობით, ადგილზევე გარდაიცვალა. დანარჩენი მგზავრები კი მსუბუქად დაშავდნენ.

მომხდართან დაკავშირებით, გუშინ მთელი დღის განმავლობაში სხვადასხვა ინფორმაცია ვრცელდებოდა. თუმცა მოგვიანებით, ყველაფერი გაირკვა და მომხდართან დაკავშირებით, სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით აღიძრა. მკვლელობაში ეჭვმიტანილი სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის თანამშრომელი ენუქიძე გახლავთ. სამართალდამცველების განცხადებით, ცეცხლის გახსნის მიზეზი მძღოლის მხრიდან პოლიციელისადმი დაუმორჩილებლობა გახდა. თუმცა, როგორც თვითმხილველები აცხადებენ, პოლიციელსა და დაზარალებულ მგზავრებს შორის, არანაირ შელაპარაკებასა და გაურკვევლობას ადგილი არ ჰქონია. მათი მტკიცებით, ენუქიძემ მოულოდნელად გახსნა ცეცხლი.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ენუქიძე გუშინ სამსახურებრივ მოვალეობას არ ასრულებდა, ანუ, გუშინ მისი მორიგეობის დღე არ იყო. თანაც მან მგზავრებს ცეცხლი გაუხსნა არა მისთვის განკუთვნილი სატაბელო იარაღიდან, არამედ "აკს"-ის სისტემის ავტომატური იარაღიდან. შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია მასრები. თავად ენუქიძემ მიმალვა მოასწრო. გავრცელებული ინფორმაციით, პოლიციელი დანაშაულის ჩადენისას ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

*მოკლედ*

**თბილისი.** სავაჭრო ცენტრ "მორკინალის" მეპატრონის ჯონი გიგანის ავტომანქანის აფეთქებაში ეჭვმიტანილის - ალექსანდრე მაისურაძის მიმართ, ვაკე-საბურთალოს სასამართლოს თავმჯდომარის მიერ პარასკევს შეფარდებული აღმკვეთი ღონისძიება გუშინ მისმა ადვოკატმა ვლადიმერ გაბრიჩიძემ საოლქო სასამართლოში გაასაჩივრა.

ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს თავმჯდომარემ მამუკა ნოზაძემ მაისურაძის მიმართ პატიმრობის ღონისძიება ძალაში იმის გამო დატოვა, რომ საგამოძიებო საქმეში არსებული მასალების მიხედვით, ეჭვმიტანილს ბრალი მძიმე მუხლებით აქვს წაყენებული. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**გორი.** გუშინწინ, გვიან ღამით, გორი-ცხინვალის საავტომობილო გზაზე, სოფელ ვარიანთან მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას მსხვერპლი მოჰყვა.

ცხინვალიდან გორის მიმართულებით მიმავალი "ვოლგა" საპირისპირო მიმართულებით მოძრავ "მოსკვიჩის" მარკის ავტომანქანას შეეჯახა. ავარიის შედეგად ორივე ავტომანქანის სამივე მგზავრი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა. გარდაცვლილთა შორის ერთ-ერთი, რვა თვის ფეხმძიმე ქალბატონია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის მე-5 საპყრობილეში პოლიციის დროებითი დაკავების იზოლატორიდან გადაყვანილი 26 წლის ლევან ბესტოლჩენკო აცხადებს, რომ დაკავებისას პოლიციელებმა და ხაჭაპურის გამყიდველმა სცემეს.

მე-5 საპყრობილის ექსპერტის ცნობით, ბესტოლჩენკოს აღენიშნება ექსკორაციები მარცხენა ყურზე, მარცხენა ბეჭის არეში, სისხლნაჟღენთები მარჯვნივ, ზურგის არეში, მარჯვენა იდაყვის სახსართან და მაჯის სახსართან, მარჯვენა ტერფზე.

ბესტოლჩენკოს ქურდობის ფაქტზე ვაგზლის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე წაასწრეს და დააკავეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** გუშინ დილით, გამთენიისას ქუთაისის შესასვლელთან, ბენზინგასამართ სადგურზე, სამტრედიიდან თბილისისკენ მიმავალი მიკროავტობუსი დააყაჩაღეს. მძღოლმა გამხუაშვილმა ამის შესახებ ქუთაისის პოლიციის N1 განყოფილებას დაუყოვნებლივ აცნობა. სამართალდამცველებმა თავდამსხმელები ცხელ კვალზე, დანაშაულის ჩადენიდან 15 წუთში, წყალტუბოს რაიონის სოფელ ქვიტირის გზაზე დააკავეს. ისინი აღმოჩნდნენ - 22 წლის წყალტუბოელი გიგა აფხაძე და 28 წლის ქუთაისელი გოჩა სანდუხაძე. დამნაშავეები ქუთაისის წინასწარი დაკავების იზოლატორში მოათავსეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ახმეტა.** გუშინ დილით ახმეტის რაიონის პოლიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონული განყოფილების თანამშრომლებმა ახმეტაში, თელავის ქუჩაზე, 29 წლის ნუგზარ მებაღიშვილი დააკავეს.

იგი მოქალაქე ე.ჩ-ს გატაცებისა და გაუპატიურების მცდელობისთვის 2003 წლის იანვრიდან იძებნებოდა.

მებაღიშვილი ქურდობისთვის ორჯერ უკვე ნასამართლევია. იგი გუშინვე თბილისის მე-5 იზოლატორში გადმოიყვანეს. **მედია-ნიუსი**

## „პოლიციას უნდა, ჩემს ხარჯზე ქულა ჩაიწეროს", - ამბობს ბრალდებული

თამარ კაციტაძე

*ცნობილია, რომ დანაშაულის შემთხვევაში პოლიციელები თავდაპირველად ეჭვმიტანილებს ე.წ. უზნის კრიმინალურ სამყაროში ეძებენ. მაგრამ ეს პრაქტიკა ხშირად უკანონობის მიზეზი ხდება.*

**"წარსულში მსუბუქი დანაშაულებისთვის სამჯერ ვარ ნასამართლევი. გასაგებია, რომ ავტორიტეტი შელახული მაქვს და პოლიცია ვერ მიტანს. მაგრამ ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ სიცოცხლის უფლება აღარ მაქვს და მთელი ცხოვრება უდანაშაულოდ ციხეში უნდა ვიჯდე"?** – განაცხადა წინასწარ პატიმრობაში მყოფმა ლაშა ბუაძემ, რომელიც ამჟამად ყაჩაღობის და სხვისი ნივთის დაზიანების ბრალდებით არის დაპატიმრებული.

თუმცა, როგორც თავად ბრალდებული და მისი ადვოკატი დავით აბესაძე ირწმუნებიან, ბუაძეს მისთვის წაყენებულ ბრალდებასთან, ანუ მანქანის გატაცებასა და დაზიანებასთან, საერთო არაფერი აქვს. სხვათა შორის, ადვოკატის მტკიცებით, გარდა იმისა, რომ საქმეში ბუაძის ბრალეულობის დამადასტურებელი არანაირი მტკიცებულება არ არსებობს, თავად საქმეც საპროცესო კანონმდებლობის უხეში დარღვევით არის "შეკერილი".

**"ტაქსი გავაჩერე, რომ ცოლშვილი სიდედრისგან სახლში წამეყვანა. არ ვმალავ, ნასვამი ვიყავი. სახლთან რომ მივედით, ტაქსიდან გადმოვედი და მძღოლს ვუთხარი, მანქანა მოეტრიალებინა. ვაღიარებ, მძღოლს უაზროდ ავუხირდი და შევაგინე. სიტყვიერად ჩხუბი მოგვივიდა, მაგრამ ხელით რომ არ შევხებივარ, ამას თვითონ მძღოლიც ვერ უარყოფს.**

**მოულოდნელად მძღოლმა მანქანა მიატოვა და გაიქცა. როგორც დაპირისპირებისას თქვა, შემეშინდაო. მე კი სახლში შემიყვანეს, მეტი არაფერი ვიცი. გინახავთ, კაცს მანქანის გატაცება უნდოდეს და მძღოლს საკუთარი სახელი და გვარი უთხრას, თან სიდედრის სახლთან მიიყვანოს"?** - ამბობს ბუაძე.

საქმის მასალების მიხედვით, ჩხუბის საღამოს მანქანა დაიკარგა და იგი პოლიციამ მეორე დღეს, ვერცხლის ქუჩაზე იპოვა. საქმეში დაზარალებულად ცნობილმა მძღოლმა – ომარ კუჭუაშვილმა პოლიციას ახსნა–განმარტებაში დაწვრილებით მოახსენა ბუაძესათნ მომხდარი ჩხუბის ამბავი. თუმცა ის, რომ მანქანა ბუაძემ წაიყვანა, დაზარალებულს არ უთქვამს - მანქანის გამტაცებელი არ დამინახავსო, – ამბობს კუჭუაშვილი.

პოლიციისთვის კი დაზარალებულის მონათხრობი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ დამნაშავედ, წარსულში სამჯერ ნასამართლევი, ლაშა ბუაძე გამოეცხადებინა და საქმეც მის მიმართ აღძრა.

**"ნასვამმა ბუაძემ 2003 წლის 25 თებერვალს, ხეივნის ქუჩაზე მისვლის მიზნით, დაიქირავა ტაქსი, რომელსაც მართავდა ომარ კუჭუაშვილი. მოკვლის მუქარით წაართვა მას ავტომობილი და მიიმალა,"** – აღნიშნულია საქმის მასალებში.

რამდენიმე თვის განმავლობაში ბუაძის მიმართ საქმე ისე იყო აღძრული, რომ იგი არც ეჭვმიტანილად და არც ბრალდებულად ცნობილი არ ყოფილა. მეტიც, გამომძიებელმა ჯაფარიძემ მიმდინარე წლის მაისში ბუაძეს ბრალი დაუსწრებლად წარუდგინა, ხოლო სამი თვით წინასწარი პატიმრობის მოთხოვნისას, სასამართლოში არგუმენტად დაასახელა - ბუაძე იმალება და დაკითხვაზე არ ცხადდებაო. არადა, ადვოკატის მტკიცებით, საქმეში არ არსებობს არანაირი დოკუმენტი, რითაც დამტკიცდება, რომ ბუაძეს დასაკითხად სადმე იბარებდნენ.

ლაშა ბუაძე მაისის ბოლოს დააპატიმრეს და როგორც ადვოკატი ირწმუნება, იგი დღემდე უკანონო პატიმრობაშია.

**"საქმის მასალები და ვითომ გამოძიების მიერ მოპოვებული მტკიცებულებები აშკარად მიუთითებს, რომ საქმის წარმოება მიმდინარეობდა მიზანმიმართულად და, აქედან გამომდინარე, კანონის უხეში დარღვევით. დავიწყოთ იქიდან, რომ მოკვლევის ორგანომ გამოძიებას საქმე კანონით გათვალისწინებული ვადების უხეში დარღვევით, შვიდი დღის ნაცვლად, სამი თვის შემდეგ გადასცა.**

**კანონის დარღვევით დაიკითხნენ დაზარალებულიც და მოწმეებიც. დაკითხვის ოქმები შეადგინა არა გამომძიებელმა ან პროკურორმა, არამედ სხვა პირმა, რაც ასევე კანონის უხეში დარღვევაა,"** – აღნიშნა ჩვენთან საუბარში ბუაძის ადვოკატმა.

აბესაძის მტკიცებით, გამოძიების მიერ ასევე გამოგონილია მანქანის დაზიანების ბრალდებაც, რადგან მანქანაზე ჩატარებული არ არის ექსპერტიზა. მიუხედავად აღნიშნული დარღვევებისა, ბუაძე და მისი ადვოკატი სიმართლის დადგენას დღემდე ვერ ახერხებენ.

**"როგორც გითხარით, წარსულში სამჯერ ვარ ნასმართლევი და სამჯერვე ვაღიარე დანაშაული. ახლა უდანაშაულო ვარ და პოლიციას სურს, მანქანის გატაცება დავიბრალო, რათა თვითონ კიდევ ერთი გაუხსნელი დანაშაული არ დაეწეროთ და ვიღაცის თვალში ქულაც ჩაიწერონ",** – ამბობს ბრალდებული ბუაძე, რომელიც იძულებულია, სიმართლის დადგენა არასამთავრობო ორგანიზაციებს და პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავჯდომარეს ნანა ბიჭიაშვილს სთხოვოს.

# „პრაკრუტკების" აქცენტი ადგილობრივ ბიუჯეტებზე იქნება გადატანილი

წინა კვირა, სახარჯო პოლიტიკის თვალსაზრისით, ძალიან საინტერესო აღმოჩნდა.

მოლოდინის საწინააღმდეგოდ, მთელი კვირის განმავლობაში გაიცემოდა ხელფასები და ფინანსდებოდა სხვა დაცული მუხლები. ხარჯებში ყველა არსებული პრობლემის მიუხედავად, ეს უდავოდ მისასალმებელია.

წინა კვირას დაფინანსდა მაისის ხელფასები 3,02 მილიონი ლარის ოდენობით, დიპლომატიური წარმომადგენლობის მაისის შენახვის ხარჯები 1,5 მილიონი ლარის ოდენობით და სხვა ხარჯები.

**პარასკევს მთავრობას კვლავ უმტყუნა ნერვებმა და „საპრაკრუტკოდ" მიმართა თითქმის 480 ათასი ლარის ოდენობის ხარჯები - ენერგოსექტორის სუბსიდიისა და დავალიანებების დასაფარად. თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ეს თანხა უმნიშვნელოა წინა თვეებთან შედარებით.**

**საგადასახადო ინსპექციები გაფრთხილებული არიან, რომ ამ თვეში ცენტრალური ბიუჯეტიდან „პრაკრუტკების" იმედი არ უნდა ჰქონდეთ. როგორც ჩანს, „პრაკრუტკების" მთელი აქცენტი ადგილობრივ ბიუჯეტებზე იქნება გადატანილი.**

*საკონსულტაციო ფირმა*
*"დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე"*

**2003 წლის 23-27 ივნისის პერიოდში ცენტრალური ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯები**

| № | დასახელება | თანხა (ათას ლარებში) |
|---|---|---|
| 1 | საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების შენახვის ხარჯები | **1,503.0** |
| 2 | საბიუჯეტო ორგანიზაციების წინა პერიოდის დავალიანების დაფარვა | **83.2** |
| | ქუთაისის ნ. მუსხელიშვილის სახელობის ტექნიკური უნივერსიტეტი | 83.2 |
| 3 | საბიუჯეტო ორგანიზაციების მაისის თვის შრომის ანაზღაურება | **3,019.5** |
| | საქართველოს პროკურატურა | 370.0 |
| | იუსტიციის სამინისტრო | 231.5 |
| | დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტი | 130.5 |
| | უშიშროების სამინისტრო | 533.0 |
| | რეგიონებში განლაგებული საბიუჯეტო ორგანიზაციები | 1,415.0 |
| | საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი | 339.5 |
| 4 | საბიუჯეტო ორგანიზაციების მაისის თვის კვების ხარჯები | **6.9** |
| | [illegible] სახელმწიფო დეპარტამენტი | 4.0 |
| | ჰიდრომეტეოროლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტი | 2.9 |
| 5 | სხვა საქონელი და მომსახურება | **244.2** |
| | სახელმწიფო უშიშროების სამსახური | 44.0 |
| | თავდაცვის სამინისტრო | 176.0 |
| | უშიშროების საბჭო | 0.5 |
| | მეცნიერებათა აკადემია | 5.7 |
| | კრწანისის სამთავრობო რეზიდენცია | 16.0 |
| | საერთო სასამართლოები | 2.0 |
| 6 | პრეზიდენტის საინვესტიციო ფონდი | **23.3** |
| | [illegible] საინვესტიციო [illegible] (ჩაის პროგრამა) | 23.3 |
| 7 | განათლების სამინისტროს პროგრამული ხარჯები | **150.5** |
| 8 | სარეზერვო ფონდი | **161.3** |
| | სახელმწიფო კანცელარია | 151.7 |
| | სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური | 9.6 |
| 9 | სამივლინებო ხარჯები | **4.8** |
| | მეცნიერებათა აკადემია | 3.2 |
| | უშიშროების საბჭო | 1.6 |
| 10 | ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო | **30.0** |
| 11 | სუბსიდიები | **662.0** |
| | სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო | 400.0 |
| | საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სუბსიდია | 262.0 |
4) **სახელმწიფო მინისტრისა და კონტროლის პალატის თავმჯდომარის კონფლიქტი**. კონტროლის პალატას ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო შეუმოწმებია. **ავთანდილ ჯორბენაძეს** კი უთქვამს, რომ კონტროლის პალატის მუშაობის მეთოდები საბჭოთა პერიოდის "სახალხო კონტროლის" მუშაობის მეთოდებს ჰგავს. ვინ იცის, რას გულისხმობდა ამ სიტყვებით სახელმწიფო მინისტრი — "სახალხო კონტროლის" მუშაობას იგი (მისი წარსულის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ) ჩვენზე უკეთ უნდა იცნობდეს და ალბათ ჩვენზე უკეთ გაეგება, რას უნდა შეადაროს ის და რას არა. როგორც ეტყობა, სულხან მოლაშვილიც იცნობს "სახალხო კონტროლის" ავანჩავანს, თორემ ტყუილად ხომ არ ეწყინებოდა! ეწყინა კი არა, გაცეცხლდა კაცი: "**პრეზიდენტის გარდა, აღმასრულებელი ხელისუფლების არც ერთ წარმომადგენელს არა აქვს კონტროლის პალატის მუშაობის შეფასების უფლება, მით უფრო — ოფიციალურ სხდომაზე**". ვერაფერს იტყვი, ფლობენ ჩვენში ნართაულ ენას: თან საკუთარი ღირსება დაიცვა, თან "ხაზეინს" გაუგორა კოჭი. მაგრამ მერე, ცოტა არ იყოს, დავთრები აერია: "**კონტროლის პალატას რომ სახალხო კონტროლის მეთოდებით ემუშავა, საღეჭ რეზინებთან დაკავშირებულ საქმეს ბოლომდე მიიყვანდა**". ეს რაღას ნიშნავს? საქმის ბოლომდე მიყვანა კარგია, "სახალხო კონტროლი" საქმეს ბოლომდე მიიყვანდა, ესე იგი, "სახალხო კონტროლი" კარგი ყოფილა. რატომღა ეწყინა მოლაშვილს? მკაცრი ლოგიკა ვერაფერი მრჩეველია, როცა საქმე საქართველოს მთავრობას ეხება. როგორც ეტყობა, მოლაშვილის ეს სილოგიზმი შემდეგს ნიშნავს: რას მაკრიტიკებთ, თქვე კაი ადამიანებო, თქვენიანი რომ არ ვყოფილიყავი, ხომ ყველას ყოფას გიტირებდით, ოფიციალურად ვერავინ ვერაფერს დაგიმტკიცებთ, მაგრამ ჩემი სიტყვების გასამაგრებლად, ოქმის გარეშე ამას გეტყვით: "**ჯანდაცვის სამინისტრო 1996 წლიდან საღეჭ რეზინებს, მათ შორის, "დიროლს", ფარმაცევტულ პროდუქციად არეგისტრირებს და ამით საბაჟო გადასახადი 5 პროცენტამდე მცირდება, მაშინ, როდესაც ეს პროდუქცია, ჩვეულებრივ, 35-პროცენტიანი საბაჟო გადასახადით უნდა იბეგრებოდეს**". ხომ ხედავთ, როგორ დაგინდეთ, თქვენ კი ესა და ისაო! რატომ არ მიიყვანა მოლაშვილმა საქმე ბოლომდე? ამისთვის თურმე "**სათანადო გარემო არ არის**".

აბა, როგორი გარემოა? ვნახოთ, რა მოჰყვა ამას. რა და სახელმწიფო მინისტრის რისხვა: "**შეისწავლეთ ჩემი კავშირი საღეჭი რეზინების ბიზნესთან... შეისწავლეთ ჩემი კავშირი ყბადაღებულ შეთქმულების საკითხთან... ასეთი პასუხგაუცემელი, გახშირებული ბრალდებების პირობებში მე შემდგომი მუშაობა გამიჭირდება**". აქამდე ხომ ავშენდით და ეგაა! როგორც ვხედავთ, სახელმწიფო მინისტრიც რაღაც "გარემოს" თუ "პირობებს" იმიზეზებს. ეს უბრალოდ პაროლია, სიტყვაა, რომელიც პრეზიდენტს მიანიშნებს: ახლა კი გიმტყუნა დაბალანსების შენეულმა ალღომო. გარემო პირობები მაშინაა კარგი, როცა ყველა კმაყოფილია. გარემოს მაშინ იხსენებენ, როცა რაღაც მოიკოჭლებს პირად ურთიერთობებში.

გადაწყვეტილება კი როგორი მოჰყვა: პრეზიდენტმა "**მიზანშეწონილად ჩათვალა სახელმწიფო მინისტრის და კონტროლის პალატის თავმჯდომარის მონაწილეობით ერთობლივი კომისიის შექმნა, რომელიც საღეჭი რეზინის ბიზნესის საკითხს შეისწავლის**". მართალია პრეზიდენტი: მოჩხუბარი ბიჭები ერთად უნდა დაამწყვდიო, უმალ გამონახავენ საერთო ენას გაჭირვებიდან გამოსვლის მიზნით. შედეგი რა იქნება, ჩემო ბრძენო მკითხველო? — მართალი ხარ, შენც მრავალი გამოცდილება შეგძინა საერთაშორისო სავალუტო ფონდის გვერდი-გვერდ გატარებულმა ათმა წელიწადმა. ალბათ მართალს ვარაუდობ, რომ ბაჟში 30-პროცენტიანი განსხვავების "რესტრუქტურიზაცია" მოხდება. პრეზიდენტიც, როგორც ყოველთვის, სიმშვიდეს და აუმღვრევლობას შეინარჩუნებს.

ესეც ასე. დასრულდა მთავრობის სხდომა. მე კი მონოგრაფიის ჟანრში ვცადე ბედი, რადგან თითქმის მთელი დღევანდელი პუბლიკაცია გასულ კვირას გამოქვეყნებულ ერთადერთ სტატიას მივუძღვენი. ნიშნავს თუ არა ეს, რომ სხვა რამ არ წამიკითხავს? არა, უბრალოდ, გაზეთი თავის საქმეს განაგრძობს და მისი ნახევარი გვერდიც, ოკეანის წვეთისა არ იყოს, ჩვენი უბადრუკი რეალობის საკმაოდ ნათელ სურათს იძლევა. ეს სურათი კი სხვა არაფერია თუ არა ბიბლიური "საძაგელი მოოხრებისაი".






# კარგი ქურდი

## ნიკ ნოლტი თბილისში ჩამოდის

ირაკლი მახარაძე

ასეთი რანგის სტუმრები საქართველოს იშვიათად ეწვევიან ხოლმე. თბილისში ჩამოდიან ახალი ამერიკული ფილმის **"კარგი ქურდის"** ავტორები - რეჟისორი ნილ ჯორდანი, მსახიობები და ქართველი ნუცა კუხიანიძე. რამდენადაც ვიცი, ეს არის ფრანგული ფილმის bob le flambeur-ის (1955 წელი) რიმეიქი, სადაც მოთხრობილია ძარცვის შესახებ. როგორც ჩანს, გადამღები ჯგუფის ჩვენთან ჩამოსვლა ფილმში ქართველი მსახიობის მონაწილეობამ განაპირობა, რაც შეეხება ნიქ ნოლთის, იგი ბევრს უნახავს ტელევიზიით მრავალჯერ ნაჩვენებ ფილმში "უფსკრული", სადაც მსახიობი პარტნიორობას უწევდა მშვენიერ ჟაკლინ ბისეს (კინოთეატრ "ამირანში" ამჟამად გადის ფილმი "ჰალკი", სადაც ნოლთი მონაწილეობს). ეს მისი პირველი დიდი როლია, იქამდე კი ტელევიზიაში ნათამაშები და წარმატებული სერიალი "ღარიბი, მდიდარი იყო", რომელიც დაფუძნებულია ირვინ შოუს ამავე სახელწოდების რომანზე. ბევრს ახსოვს, ალბათ, თუ რა პოპულარულობით სარგებლობდა ეს წიგნი კომუნისტების დროს ჩვენში, როგორ გადადიოდა ხელიდან ხელში და მისი შეძენა მხოლოდ კიროვის პარკში არსებულ და მილიციის მიერ მრავალჯერ დაფრენილ წიგნის ბაზრობაზე შეიძლებოდა, თორემ მაღაზიაში მაშინ მსგავსი არაფერი იყიდებოდა.

ნიქ ნოლთი იმ მსახიობთა რიცხვს განეკუთვნება, რომელთაც ჰყოფნით სიმამაცე ითამაშონ კომერციულად და იმიჯისათვის წამგებიანი, მაგრამ მსახიობური თვალსაზრისით საინტერესო და მრავალფეროვანი როლები. ასეთი მსახიობები დღევანდელ ამერიკულ კინემატოგრაფში თითზეა ჩამოსათვლელი. ალბათ, ამიტომაცაა, რომ მან ვერ მიაღწია ვარსკვლავის ისეთ სტატუსს (რომელიც მას დამსახურებულად ეკუთვნის), როგორც რობერტ დე ნირომ ან ალ პაჩინომ, თორემ შინაგანი ტემპერამენტით და ნიჭიერებით იგი არც ერთს არ ჩამოუვარდება. ამ მსახიობს ჰქონდა ყველა შანსი გამხდარიყო action ფილმების ვარსკვლავი, მაგრამ მან უფრო რთული და ეკლიანი გზა აირჩია და დაამტკიცა რომ მას ყველაფრის თამაში ძალუძს.

ნიქ ნოლთი დაიბადა 1941 წლის 8 თებერვალს ომაჰაში (ნებრასკას შტატი), როგორც ამბობენ მისი ცხოვრების გზა უფრო საინტერესოა, ვიდრე ზოგიერთი მისი ფილმი. მას ჰქონდა პრობლემები პოლიციასთან (და ზოგჯერ ახლაც აქვს), იგი ერთი კოლეჯიდან მეორეში გადადიოდა, მხოლოდ იმიტომ, რომ ეთამაშა ამერიკული ფეხბურთი. მსახიობობა საკმაოდ მოწიფულ ასაკში დაიწყო, მოღვაწეობდა სხვადასხვა თეატრის სცენაზე. ამ წლებს ნოლთი ასე იხსენებს: "ამერიკის შუაგულ დასავლეთში არის მსახიობთა დაახლოებით 50 პროფკავშირი და არც ერთი გამოჩენილი მსახიობი. ისინი ყველანი ნიუ იორკსა და ლოს ანჯელესში არიან...ამიტომ აქ შენ შეგიძლია ითამაშო ის როლი, რომელიც მოგესურვება".

სატელევიზიო წარმატების შემდეგ ნოლთის ჰოლივუდში სისტემატურად იღებენ, მაგრამ კომერციული წარმატება და საქვეყნო სახელი მსახიობს მოუტანა უოლთერ ჰილის ფილმმა "48 საათი", სადაც მან განასახიერა სან ფრანცისკოელი დეტექტივი, რომელსაც 48 საათით ციხიდან გამოჰყავს ტუსაღი (ედი მერფის სადებიუტო როლი), რათა ბანდიტები დააკავოს. "მე ვისიამოვნე ამ გამოცდილებით -ამბობდა ნოლთი გადაღებების შესახებ - მე ჩვეულებრივად საშინლად ნაბახუსევს მიწევდა გადაღება... ერთხელ, ჩემს პარტნიორთან (ანეტ ო`ტული) საწოლის სცენაში გაგანია გადაღებებისას ჩამეძინა". სმა ნოლთისათვის ყველაზე დიდი პრობლემა იყო, იმდენად სერიოზული, რომ ლამის სამსახიობო კარიერა დაუნგრია. "მე ყოველთვის ვსვამდი და ვმუშაობდი, როდესაც გამოწურულ ლიმონს ემსგავსები, უნდა რაღაცნაირად აღიდგინო ძალ-ღონე და მეც შემდეგ ფილმამდე ვსვამდი". ამის გამო "გრეის ქვიგლის" გადაღებაზე მას შეხლა-შემოხლა ჰქონდა ქეთრინ ჰეფბერნთან, თუმცა შემდეგ ისინი დამეგობრდნენ და დედაშვილური დამოკიდებულება ჰქონდათ.. "სფენსერს (მსახიობი სფენსერ თრეისი და ჰეფბერნი მრავალი წლის განმავლობაში საყვარლები იყვენენ) იგივე პრობლემა ჰქონდა - არიგებდა ნოლთის ჰეფბერნი - თავს უნდა მოუარო". ამ დამღუპველ სენს მსახიობი ყოფილმა მეუღლემ გადააჩვია.


ნიკ ნოლთი "48 საათში".

ნიქ ნოლთის ფილმებიდან გამოვყოფდი "შიშის კონცხს", "დინების პრინცს" (რისთვისაც მსახიობი ოსკარზე იყო ნომინირებული) "ლორენცოს ზეთს", მაგრამ, ჩემი აზრით, ყველაზე საუკეთესოა სიდნი ლუმეთის Q&A, სადაც მან კორუმპირებული პოლიციელის როლი შექმნა, ალბათ, ეს ერთ-ერთი ყველაზე ბრწყინვალე სახეა თანამედროვე ამერიკულ კინოში.

კარიერის დასაწყისში ნიქ ნოლთი ერთ ინტერვიუში აცხადებდა: "ჩემი ოცნებაა, რომ მომავალში გავაკეთო რამდენიმე "მაგარი" ფილმი და შემდეგ კი, მივხედო ჩემს რანჩოს და ოჯახს... მე ვარ მოსიყვარულე დიდი დათვი, რომელიც ცდილობს ჰოლივუდში შესვლას, მაგრამ არავინ ფიქრობს მისთვის კარის გაღებას".

დღესდღეობით, არა მარტო ჰოლივუდი, არამედ მთელი კინოსამყაროა მის წინაშე გაშლილი და მზად არის მას ემსახუროს.

# როცა პატარები უფროსებს სჯობნიან

## ანსამბლი "საგალობელი" 10 წლისაა

მადი სერებრიაკოვა

**"ვინ იცის, რამდენ კონცერტს დავსწრებივარ, მაგრამ როცა ბავშვები მღერიან, თანაც ისე, რომ უფროსებსაც სჯობიან – ბარაქალა... ეს ჩვეულებრივი კონცერტი არ არის!"** – ანსამბლ "საგალობელის" მიმართ გამოთქმული ეს სიტყვები ქართული ფოლკლორული მუსიკის უდიდეს მცოდნესა და მოამაგეს – ანზორ ერქომაიშვილს ეკუთვნის. გუშინ კულტურის ცენტრ "იმედის" ინიციატივით სიმფონიური მუსიკის ცენტრში მთლიანად ახალგაზრდებისა და ბავშვების ძალებით შექმნილი ანსამბლ "საგალობელის" კონცერტი გაიმართა. 10 წლის იუბილე ანსამბლმა და მისმა მეგობრებმა უმაღლეს პროფესიულ დონეზე შესრულებული ხალხური მუსიკის კონცერტით აღნიშნეს. მრავალფეროვანი, ემოციურად დამუხტული კონცერტი მსმენელებმაც დიდად დააფასეს: ასეთი ოვაციებით, თბილისში ძალზედ ცოტა კოლექტივი თუ დაიკვეხნის.

ანსამბლი "საგალობელი" ხელოვნების კოლეჯის ბაზაზე 10 წლის წინათ დაარსდა. მას სათავეში ახალგაზრდა ლოტბარი და მომღერალი მაია მიქაბერიძე ჩაუდგა. მაია მიქაბერიძე მსმენელს ანსამბლ "მართვედან" ემახსოვრება. "მართვეს" პირველ თაობაში მაია ერთადერთი გოგონა იყო. იგი ცნობილი ფოლკლორისტების შალვა და რამინ მიქაბერიძეების ოჯახში აღიზარდა. რამინ მიქაბერიძეს დიდი წვლილი მიუძღვის თავის დროზე დიდი სახელმწიფო ანსამბლის, ანსამბლ "რუსთავის", "მართვესა" და "თბილისის" დაარსებაში. მისი საქმე ქალიშვილმაც განაგრძო და ანსამბლ "საგალობელთან" ერთად, კიდევ ერთი გოგონათა ანსამბლი "მანდილიც" დააარსა. გუშინდელი კონცერტის პროგრამა ამ ორი ანსამბლის ერთობლივი რეპერტუარით იყო შედგენილი. ეს უკანასკნელი იმდენად რთული და მრავალფეროვანი იყო, რომ უბრალო მსმენელიცა და პროფესიონალებიც აღფრთოვანებაში მოიყვანა. **"დღეს, როდესაც დასავლეთიდან ამდენი ინფორმაცია შემოდის, როცა ახალგაზრდობის დიდი ნაწილი გატაცებულია იაფფასიანი, უხარისხო მუსიკით, განსაკუთრებით დასაფასებელია ამ ბავშვების შემოქმედება – ეს მარტო მუსიკა არ არის, ეს არის მათი ცნობიერება, ჯიში, გენი – ისინი უდიდეს საქმეს აკეთებენ"** – აღნიშნავს ნანახითა და მოსმენილით გულწრფელად აღელვებული ანზორ ერქომაიშვილი.

როგორც აღინიშნა, ანსამბლი არსებობის 10 წელიწადს მოითვლის. ამ პერიოდში ანსამბლის შემადგენლობამ რამოდენიმე თაობა აღზარდა. გუშინდელ კონცერტზე "საგალობელი" სრული შემადგენლობით წარდგა: უკვე ზრდასრული, ჩამოყალიბებული მომღერლების უფროსი თაობიდან დაწყებული – 5-6 წლის ბავშვებით დამთავრებული. თუმცა, ეს უკანასკნელები უფროსებს სულაც არ ჩამოუვარდებოდნენ. ისინი შესანიშნავად ასრულებდნენ როგორც გუნდის, ასევე სოლისტების პარტიებს.


ლევან ხერხეულიძის ფოტო
ლოტბარი მაია მიქაბერიძე და "საგალობელი".

გუშინდელი კონცერტზე მრავალი ჟანრისა და განსხვავებული ხასიათის მუსიკა იყო წარმოდგენილი. უფროსი თაობის მომღერლები ასრულებდნენ საგალობლებსაც. ზოგიერთ სიმღერას ჩონგურით თავად ლოტბარი – მაია მიქაბერიძეც უწევდა თანხლებას. გარდა წმინდა მუსიკალური მხარისა, კონცერტს ვიზუალური დატვირთვაც ჰქონდა. მცირე ქორეოგრაფიული დადგმა კიდევ უფრო უშუალოს ხდიდა კონცერტს და აახლოვებდა შემსრულებლებს პირველად სინკრეტულ ტრადიციასთან, სადაც მუსიკა და მოქმედება განუყოფელი იყო ერთმანეთისგან. შეიძლება ითქვას, "საგალობელისა" და "მანდილის" სახით ქართულ ხალხურ მუსიკალურ ტრადიციას ახალი თაობის ნამდვილი პროფესიონალები შეემატნენ.




# ახალი წიგნის ავტორი ტერორისტია

თამარ სუხიშვილი

საფრანგეთში გამოვიდა ახალი წიგნი, რომელმაც დიდი გამოხმაურება გამოიწვია და რომელიც ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ საერთაშორისო ტერორისტს ეკუთვნის, ვენესუელელ კარლოსს, მეტსახელით Jackal ("ტურა").

ტერორისტის ნამდვილი სახელია ილიჩ რამირეს სანჩესი. ის 54 წლისაა და ამჟამად საფრანგეთის ერთ-ერთ ციხეში იხდის სასჯელს. მას სამუდამო პატიმრობა აქვს მისჯილი. თუმცა, პატიმრობას მისთვის წერაში ხელი არ შეუშლია, და როგორღაც წიგნის გამოქვეყნებაც მოახერხა. "რევოლუციური ისლამი" - ასე ჰქვია ილიჩ რამირეს სანჩესის ნაწარმოებს, რომლის ნაწყვეტები წიგნის გამოქვეყნებამდე რამდენიმე ხნით ადრე დაიბეჭდა კიდეც გაზეთ "მონდში". ამ ნაწყვეტების დაბეჭდვისთანავე, ბუნებრივია, მკითხველს არაერთი კითხვა აღეძრა. ყველაზე მეტად კი საზოგადოება იმან დააინტერესა, თუ როგორ მოახერხა სანჩესმა უჩუმრად გადაეგზავნა მასალები საგამომცემლო სახლისთვის, მაშინ როცა პატიმარი მკაცრი კონტროლის ქვეშაა აყვანილი და მისი ყველა კორესპონდენცია შემოწმებას გადის. ფაქტია, რომ წიგნი გამოვიდა. გამომცემლები ამ კითხვაზე პასუხს არ სცემენ. წიგნის რედაქტორი, ფრანგი ჟურნალისტი ჟან-მიშელ ვერნოშე კი აცხადებს, რომ ის ნაწილ-ნაწილ იღებდა მასალებს საგამომცემლო სახლისგან და პირადად ავტორს არასოდეს შეხვედრია. რაც შეეხება თავად წიგნს, ვერნოშე თვლის, რომ ეს წიგნი ტერორიზმის გამართლებას ისახავს მიზნად.

სანჩესი თავდადებული კომუნისტი იყო. 1997 წელს, მას შემდეგ, რაც ის ორი საიდუმლო აგენტისა და მათი ინფორმატორის მკვლელობისთვის გაასამართლეს, ისლამი მიიღო. სანჩესის ტერორიზმის თეორია, ავტორის თქმით, "საპასუხო რეაქციაა ამერიკულ ტოტალიტარიზმზე".

"დღეიდან ტერორიზმი ხრწნადი დემოკრატიის ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იქნება", - წერს სანჩესი თავის წიგნში. ავტორი 11 სექტემბრის მოვლენებსაც ეხება და ამბობს, რომ ეს იყო "შეიარაღებული ბრძოლა ისლამის წმინდა ადგილების გასათავისუფლებლად და პალესტინელთა სამართლიანობის აღსადგენად." სანჩესის აზრით, რევოლუციური ისლამი ერთადერთი ძალაა, რომელსაც შეუძლია წინ აღუდგეს ხალხთა მონობას.

თუმცა, მკითხველი, რომელიც მსოფლიო ტერორიზმის ისტორიითაა დაინტერესებული, ალბათ, იმედგაცრუებული დარჩება, რადგან ახალ წიგნში მემუარული დეტალები ნაკლებად შეხვდება, აქ არც იმაზეა ლაპარაკი, თუ რამ გადააწყვეტინა სანჩესს რჯულის შეცვლა და როგორ მივიდა ისლამამდე, სასამართლოს პროცესზეც არაფერია ნათქვამი. მაგრამ სანჩესი არ აპირებს თავისი საიდუმლო სამარეში ჩაიტანოს, როგორც ამბობენ, უკვე მზად აქვს მემუარები, რომლებიც, მისი სურვილისამებრ, მხოლოდ პატიმრის სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნდება.

"რევოლუციური ისლამისადმი" დიდი ინტერესი გასაკვირი არ არის, მით უმეტეს, რომ მისი ავტორია 70-80-იანი წლების საერთაშორისო რევოლუციონერი ტერორისტი, არაერთი ტერაქტისა თუ სამხედრო ოპერაციის მონაწილეა ისრაელში, დასავლეთ ევროპასა თუ აშშ-ში; ტერორისტი, რომელიც სხვადასხვა დროს თანამშრომლობდა ასადთან (სირიაში), კადაფისთან (ლიბიაში), ჰუსეინთან (ერაყში), კასტროსთან (კუბაში), რომელიც მუშაობდა საბჭოთა ქვეყნების სახელმწიფო უშიშროების თანამშრომლებთან, რომელიც მონაწილეობდა პალესტინის განთავისუფლების სახალხო ფრონტის, წითელი ბრიგადის, კოლუმბიის ორგანიზაცია M-19-ის, წითელი არმიის ფრაქციის, "ეტას", თურქეთის ეროვნული ფრონტის და სხვათა ტერორისტულ თავდასხმებში და რომლის პოლიტიკურ მკვლელობათა რიცხვი 80-ს აღწევს. და მაინც ვინ იყო კარლოსი, იგივე ილიჩ რამირეს სანჩესი? 1975 წელს გატაცებული საუდის არაბეთის ნავთობის მინისტრი ახმედ ზაკი იამანი მას ასე ახასიათებდა: "კარლოსი უმოწყალო ტერორისტია, ცივსისხლიანივით მუშაობს, ქირურგიული სიზუსტით." სხვები კარლოსს შემდეგნაირად მოიხსენიებდნენ: "ტლანქი გიჟი, რომელიც ადამიანებს ესვრის, თანაც ზედმიწევნით წარმატებულად."

ეს "ცივსისხლიანი ტერორისტი" ვენესუელაში დაიბადა 1949 წელს. მამამისი მდიდარი ადვოკატი იყო, მემარცხენეთა დიდი გულშემატკივარი, მისი თავგადაკლული ერთგულება შვილებისთვის სახელების შერჩევის დროსაც კარგად გამოჩნდა. სამი ვაჟი ჰყავდა: ვლადიმირი, ილიჩი და ლენინი. 60-იან წლებში სანჩესების ოჯახი ლონდონში გადასახლდა, რამაც კარლოსს საშუალება მისცა უცხო ენები შეესწავლა, ცოტა მოგვიანებით კი მისმა ტერორისტულმა მისწრაფებებმაც ფრთები შეისხა. ილიჩი და ლენინი 1968 წელს მოსკოვში პატრის ლუმუმბას სახელობის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტში შევიდნენ. ორი თვის განმავლობაში ილიჩი მოსამზადებელ კურსებზე სწავლობდა, მერე კი ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე გადაიყვანეს ქიმიის სპეციალობით. სტუდენტობის დროს ჩატარებული ქიმიური ცდები შემდგომ ტერაქტების დროს კარგადაც გამოადგა. მოსკოვში გატარებულ წლებს სანჩესი ასე იგონებდა ხოლმე:

"ამბოხების საკითხთან დაკავშირებით პარტიის ხაზის განხილვასა და მუსიკის, ქალებისა და არყის ბოთლის თანხლებით დროსტარებას შორის არჩევანში ჩემს მოთხოვნათა ნუსხაში პოლიტიკურ დისკუსიას ერთ-ერთი ბოლო ადგილი ეკავა". მოსკოვში მან იმ ვენესუელელების წრე ჩამოაყალიბა, რომელთაც ვენესუელის კომპარტიის ხაზის მორჩილება არ სურდათ. მალე სანჩესმა აკადემიური აილო და ინგლისში წავიდა, ამის შემდეგ მოსკოვში აღარც დაბრუნებულა; თანამზრახველებთან ერთად ლიბანში გაჩნდა, საიდანაც პალესტინელი პარტიზანების სასწავლო ბანაკში გაგზავნეს. კარლოსმა 1969 წელს იორდანიის სექტემბრის ბრძოლებში მიიღო მონაწილეობა, მერე ისევ ლიბანში დაბრუნდა და ვადი ჰადადის (პალესტინის განთავისუფლების სახალხო ფრონტი) რაზმში შევიდა. სწორედ ჰადადიმ ითამაშა დიდი როლი მისი "ტერორისტული კარიერის" ჩამოყალიბებაში, მას იარაღიც მისცა და, ფაქტობრივად, გზა გაუხსნა. მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში სიონიზმთან და იმპერიალიზმთან რევოლუციური ბრძოლა კარლოსის იდეოლოგიურ ორიენტირად იქცა.

კარლოსზე უამრავი ლეგენდა შეთხზეს. როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, მას ისეთ დანაშაულსაც მიაწერენ, რომელშიც ტერორისტი გარეული არ ყოფილა. რიგ შემთხვევებში, საქმე ჯერ კიდევ გაუხსნელია, ჯერ კიდევ არ დამტკიცებულა, მონაწილეობდა თუ არა ამ ოპერაციებში კარლოსი. ასეთია, მაგალითად, შეიარაღებული თავდასხმა ისრაელში, ერთ-ერთ აეროპორტზე, პალესტინელთა მიერ განხორციელებული ტერაქტი მატარებელში, რეისით - მოსკოვი-ვენა, 1973 წელს. თუმცა, საკუთრივ კარლოსის მიერ ორგანიზებული დივერსიების რიცხვი ისედაც უსაზღვროა.

1973 წელს ილიჩ სანჩესი თავს დაესხა მაღაზიათა ქსელის, "მარკსისა და სპენსერის" მფლობელს, ბრიტანელ მილიონერს - ედვარდ სიეფას; ამავე წელს მის მიერ იყო ორგანიზებული თავდასხმა ისრაელის ბანკის ინგლისურ ოფისზე. ერთი წლის შემდეგ ჰოლანდიაში საფრანგეთის საელჩოს დაესხნენ თავს, აფეთქება მოხდა პარიზის ერთ-ერთ აფთიაქში, პარიზშივე მოკლეს ურუგვაის სამხედრო ატაშე, პოლკოვნიკი რამონ ტრობალი. ეს კარლოსის ხელწერა იყო. 1975 წელს თავად სანჩესმა მოკლა საფრანგეთის უშიშროების ორი აგენტი, აფთიაქის საქმეს რომ იძიებდნენ. კიდევ უფრო წარმატებული იყო ოპერაცია, როდესაც ამავე წლის დეკემბერში "ოპეკის" ქვეყნების ნავთობის მინისტრების შეხვედრაზე მძევლად აიყვანეს სამოცდაათი კაცი. მერე იყო "ერ ფრანსის" თვითმფრინავის გატაცება პალესტინის განთავისუფლების ჩე გევარას ჯგუფთან ერთად, საფრანგეთის ელჩის მკვლელობა ლიბანში...

კარლოსს ბრალდება 80-იანი წლების დასაწყისში წაუყენეს - რამდენიმე თვითმფრინავის გატაცებაში, აფეთქებებსა და თავდასხმებში. ამ დროისათვის ტერორისტს ევროპის ხუთი ქვეყანა ეძებდა, მაგრამ სანჩესი ამას არ შეუჩერებია. 1982-1983 წლებში საფრანგეთი სერიულმა დივერსიებმა მოიცვა, რასაც უამრავი მსხვერპლი მოჰყვა - 13 ადამიანი დაიღუპა, 150 დაიჭრა. ეს დივერსიებიც სანჩესის სახელთან იყო დაკავშირებული. შედეგად საფრანგეთის პოლიციამ კარლოსის ცოლი, ისიც ტერორისტი, დასავლეთგერმანელი მაგდალენა კოპი დააპატიმრა. ამას სანჩესის რისხვა და დივერსიათა ახალი სერია მოჰყვა. ტერაქტები მხოლოდ მას შემდეგ ჩაცხრა, რაც კოპი გაათავისუფლეს.

ამის შემდეგ სანჩესმა მონაწილეობა მიიღო ისრაელის წინააღმდეგ რამდენიმე ოპერაციის დაგეგმვაში, ეს ოპერაციები სირიისა და ლიბანის ტერიტორიიდან ხორციელდებოდა. მერე უნგრეთს შეეფარა და იარაღით ვაჭრობას მიჰყო ხელი.

80-იანი წლების ბოლოს, როცა სოციალისტური ბანაკი დაიშალა და არაბებმა უარი თქვეს აქტიურ ტერორისტულ საქმიანობაზე, სანჩესიც გაჩერდა, ის უკვე მიუღებელი გახდა ძველი თანამოაზრეებისათვის და იძულებული გახდა მიეტოვებინა დამასკო, სადაც ოჯახთან ერთად ცხოვრობდა. ილიჩ სანჩესი სუდანში დააკავეს ფრანგებმა. ეს მოხდა 1994 წლის აგვისტოში, მისი სასამართლო პროცესი 1997 წელს დაიწყო და ერთი კვირა გაგრძელდა. 1975 წელს ჩადენილი მკვლელობებისათვის კარლოსს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. სასამართლო პროცესზე კარლოსმა თავი პროფესიონალ რევოლუციონერად გამოაცხადა. ხოლო როცა განაჩენი მოისმინა, მუშტი შემართა და სასამართლო დარბაზი ამ სიტყვებით დატოვა: Viva la Revolucion! ეს ლოზუნგი კი თავის წიგნში - "რევოლუციურ ისლამში" გააგრძელა.

**P.S**. პატიმრობაში მყოფმა სანჩესმა თანამოაზრე ციხეშიც იპოვა. რამდენიმე წლის წინ ის თავის ადვოკატზე, ფრანგ იზაბელ კოუტკან პირზე დაქორწინდა, წყვილი ამბობს, რომ მათი ქორწინება "სიყვარულისა და იდეების კავშირია".

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმში რომ გადაიღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

## ინფოთეკა

### კამერუნული გოლები "მაიორკასთვის"

ამ ბოლო დღეებში კამერუნელი ფეხბურთელები გამუდმებით ხვდებიან ყურადღების ცენტრში. ლიონში დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ კამერუნელებმა პირველად გაიღიმეს - აფრიკელმა "ლომმა" სამუელ ეტოომ ესპანურ "მაიორკას" "კოპა დელ რეი" მოუტანა. სამუელ ეტოო ის ფეხბურთელია, რომელმაც ბრაზილიის ნაკრებს კონფერდაციის თასის მერვედფინალში გოლი გაუტანა და ტურნირიდან გამოაგდო. ამ წარმატების შემდეგ ერთბაშად რამდენიმე ევროპულ გრანდს გაუჩნდა ეტოოს შეძენის სურვილი. თავად ფეხბურთელს კი "მილანში" სურს გადასვლა. იმ ტრაგიკულ მატჩში კამერუნსა და კოლუმბიას შორის ეტოოს მონაწილეობა არ მიუღია - ესპანეთში იყო და "კოპა დელ რეისთვის" ემზადებოდა. "მაიორკას" ესპანეთის თასი აქამდე არასოდეს მოუგია. კუნძულელები ორჯერ გავიდნენ ფინალში, მაგრამ ჯერ მადრიდის "ატლეტიკოსთან" წააგეს 1991 წელს, მერე კი "ბარსელონასთან" დამარცხდნენ 1998 წელს. მესამედ მაიორკელებს ნამდვილად გაუმართლა. ფინალში მათი მეტოქე იყო არა "რეალი" ან "დეპორტივო", როგორც ეს შარშან მოხდა, არამედ არაფრით გამორჩეული "რეკრეატივო", რომელმაც სეზონის ბოლოს სეგუნდა დივიზიონში ამოყო თავი. ეს მატჩი სამუელ ეტოოს ბენეფისად იქცა - მან "რეკრეატივოს" ორი გოლი გაუტანა და პირველი გოლის ავტორთან, ვალტერ პანდიანისთან ერთად, კუნძულელთა გამარჯვების შემოქმედად იქცა. ესპანური "სამეფო თასი" ეტოომ თავის გარდაცვლილ თანამემამულეს მიუძღვნა: "მე ერთი დამხმარე მყავდა, - ის ზეცაში, ღმერთის გვერდით იჯდა და ჩვენს თამაშს უყურებდა. ეს გამარჯვება მთლიანად მას ეკუთვნის", - თქვა ეტოომ მატჩის შემდეგ.

### ლუსიოს გარომაელება შეფერხდა

ფრანკო სენსის "რომა" ისე იყო დაინტერესებული ბრაზილიელი ლუსიოს შეძენით, რომ ლევერკუზენში ვერავინ იფიქრებდა, თუ რომაელები ლუსიოს გადაბირებაზე უარს იტყოდნენ. როგორც "გაძეტა დელო სპორტი" იუწყება, ლუსიომ "რომას" წელიწადში ოთხი მილიონი ევრო მოსთხოვა, რაც რომაელებმა იძვირეს. ლუსიოს სურს, დამსახურების შესაფერისად გადაუხადონ. ბოლოს და ბოლოს, ის ხომ მსოფლიო ჩემპიონია. ჩვენ არ ვიცით და არც გვაინტერესებს, რამდენს იღებს ტოტი. ლუსიო შეურაცხყოფილი დარჩა, როცა იტალიელმა ჟურნალისტებმა განგაში ატეხეს, ბრაზილიელმა იმდენი მოითხოვა, რასაც ტოტის უხდიანო. არ ვიცი, როგორ განვითარდება მოლაპარაკებები. ალბათ, 25 პროცენტია იმის შანსი, რომ ლუსიო "რომაში" გადავა", - განაცხადა ბრაზილიელის აგენტმა სანდრო ბეკერმა. "ბაიერის" შეფს რაინერ კალმუნდს ძალიან გაუხარდა, რომ მოლაპარაკება ჩაიშალა. "ლუსიოს არაერთი წინადადება აქვს და, ალბათ, საბოლოოდ წავა კიდეც სადმე, მაგრამ მხოლოდ ერთი წლის შემდეგ. მომავალ სეზონს ის ისევ ჩვენთან გაატარებს", - თქვა კალმუნდმა.

### დაჩაგრული ათი ნომერი

ამ ნომრის ტარება ყველა ამბიციური ფეხბურთელის ოცნებაა. ათი ნომერი ხომ გუნდში უმნიშვნელოვანესი ფიგურაა: ლიბერო, პლეიმეიკერი, გუნდის ლიდერი - რას არ უწოდებენ ხოლმე ამ ნომრით მოთამაშე ფეხბურთელებს. ათი ნომერი იყო ფიგუ, რივალდო, მათეუსი... რაც უნდა პარადოქსული იყოს, მიუნხენის "ბაიერნს" დღეს ათი ნომერი არ ჰყავს. თავის დროზე ამ ნომერს ლოთარ მათეუსი ატარებდა და დიდი წარმატებითაც. ის გუნდის უცვლელი ლიდერი იყო. მერე ათი ნომერი შვეიცარიელი ჩირიაკო სფორცა გახდა, მაგრამ ნამდვილად ვერ გამოიჩინა თავი ისე, როგორც ეს ამ ნომრით მოთამაშე ფეხბურთელს შეეფერებოდა. როცა "ბაიერნმა" მიხაელ ბალაკი იყიდა, გულშემატკივრებს იმედი მიეცათ, ლევერკუზენელთა ექს-ლიდერი მიუნხენური კლუბის ათი ნომერი გახდებაო, მაგრამ ბალაკმა 13 ნომრის დატოვება ამჯობინა - ამ ნომრით ის ეროვნულ ნაკრებში თამაშობდა და 13 ბედნიერების მომტან რიცხვად მიაჩნდა.

შარშან, ზაფხულში, "ბაიერნმა" ბერლინის "ჰერტადან" სებასტიან დაისლერი შეიძინა. "ბასტიმ" მაშინვე მოითხოვა, ზურგზე ათიანი დამაწერეთო, მაგრამ სფორცამ პოზიციები არ დათმო და დაისლერი 26-ე ნომერს დასჯერდა.

მერე სფორცა "ბაიერნიდან" წავიდა და ათი ნომერი ვაკანტური გახდა. კარლ ჰაინც რუმენიგემ დაისლერს შესთავაზა, ათნომრიანი მაისურა მოერგო, მაგრამ ფეხბურთელს გამბედაობა აღარ ეყო ამ მისიის შესასრულებლად. ჰოდა, კიდია ახლა საცოდავი ათი ნომერი გარდერობში, კაცი არ არის მისი ჩამცმელი. "ბაიერნს" ჯერ კიდევ არ დაუკარგავს იმედი, რომ "დეპორტივოს" ჰოლანდიელ ფორვარდს, როი მაკაის გადაიბირებს. თუ ეს ტრანსფერი განხორციელდება, იქნებ მაკაიმ მაინც გააცოცხლოს უსამართლოდ დაჩაგრული ათი ნომერი.

### "ფიორენტინა" დაბრუნდა

გაკოტრებული "ფიორენტინას" საძირკველზე აღმოცენებულ "ფლორენტინა ვიოლას" ისტორიული დასახელების გამოყენების უფლება მისცეს. ამ გუნდმა იტალიის უდაბლეს ლიგაში პირველივე სეზონში პირველი ადგილი დაიკავა და ერთი საფეხურით აიწია - "ფიორენტინა" მომავალი სეზონიდან სერია C1-ში იასპარეზებს.

### ფიფამ სამხრეთ ამერიკა უარით გაისტუმრა

ფიფას აღმასრულებელმა კომიტეტმა არ დააკმაყოფილა მოთხოვნა მომავალ, 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მონაწილეთა რაოდენობის 32-დან 36-მდე გაზრდის შესახებ. მსოფლიო ჩემპიონატის ფორმატის შეცვლის ასეთი წინადადებით ფიფას სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის კონფედერაციამ მიმართა.

### ბექჰემი მოედნის ცენტრში ითამაშებს

მადრიდის "რეალის" ახლად დანიშნული მწვრთნელის, კარლოს კეიროშის თქმით, დევიდ ბექჰემი მის გუნდში არა მარჯვენა ფრთაზე, არამედ ნახევარდაცვის ცენტრში ითამაშებს. ამით პრობლემები მოეხსნა ლუიშ ფიგუს, რომელიც კვლავაც მარჯვნივ ითამაშებს, მაგრამ მარცხნივ გადაწევა მოუწევს ზიდანს.

### რობინსონი "ასტონ ვილაში" აღარ გადავა

"ლიდსის" კარის დარაჯის, პოლ რობინსონის "ასტონ ვილაში" გადასვლა, თითქმის, გამოირიცხა. რამდენიმე დღის წინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მეკარეს უკვე წინასწარი კონტრაქტი ჰქონდა გაფორმებული კლუბთან, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, საქმე არც ისე მარტივად ყოფილა. ბრიტანული წყაროები არ აზუსტებენ მიზეზს, მაგრამ აღნიშნავენ, რომ რობინსონმა ბირმინგემში გადასვლაზე უარი განაცხადა. ამასთან, მან გააკრიტიკა "ლიდსის" ხელმძღვანელობა, რომელმაც მეკარის გაყიდვა, 6 მილიონის ნაცვლად, 3,5 მილიონ გირვანქად გადაწყვიტა.

## TV-სპორტი

### ორშაბათი. 30 ივნისი

**НТВ + ФУТБОЛ**
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 ბრაზილიის ჩემპიონატი. "გუარანი" – "სან-პაულუ"
15:00 განვლილი სეზონის გახსენება. იტალიის ჩემპიონატი. "მილანი" – "ინტერი"
16:45 ბრაზილიის ჩემპიონატი. მიმოხილვა
17:15 ჩემპიონთა ლიგის არქივი. 98/99 სეზონი. ფინალი. "ბავარია" - "მანჩესტერ იუნაიტედი"
19:10 თავისუფალი დარტყმა
19:25 სახვალიო ტელეპროგრამა
19:30 "როსტელკომის თასი". რუსეთი ნაკრები – ლეგიონერთა ნაკრები. პირდაპირი ტრანსლაცია
22:00 ფუტზალი
23:00 განვლილი სეზონის გახსენება. ინგლისის ჩემპიონატი. "არსენალი" – "ლივერპული"
00:45 ჩემპიონთა ლიგის არქივი. 99/00 სეზონი. მეორე საკვალიფიკაციო წრის საპასუხო მატჩი. "მოლდე" - "ცსკა"

**НТВ + СПОРТ**
11:00, 14:15, 16:40 პრეს-ცენტრი
11:15 "ოლიმპის შვილები"
11:20, აერობიკა
11:45 "საჭადრაკო მიმოხილვა"
12:15 ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. საერთაშორისო ტურნირი. ფინალი
14:30 სპიდვეი. დანიის გრან-პრი
16:10 "რკინის ფაქტორი"
16:55 ჩოგბურთი. უიმბლდონი. პირდაპირი ტრანსლაცია
00:00 "დიდი რინგი". შესვენებისას (01:15) ახალი ამბები
02:15 "რკინის ფაქტორი"

**EUROSPORT**
11:30 მოტორბოლები. ჰოლანდიის გრან-პრი
13:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი კვიპროსში
14:00 ფეხბურთი. კონფედერაციის თასი
16:00 რაგბი. მსოფლიოს ახალგაზრდული თასი
17:30 მძლეოსნობა. სპრინტერები
17:45 მძლეოსნობა. გრან-პრი II ჩეხეთში
19:15 მძლეოსნობა. სპრინტერები
19:30 სნუკერი. ევროპის ჩემპიონატი გერმანიაში
21:00 ფეხბურთი. კონფედერაციის თასი
23:00 ფეხბურთი. მსოფლიო თასის ლეგენდები, ბრაზილია
00:00 K 1. გრან-პრი პარიზი-ბერსი, საფრანგეთი
02:00 ახალი ამბები
02:15 მულტისპორტი. კვირის სტუმარი
02:30 მოტორბოლა. ჰოლანდიის გრან-პრი
03:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი კვიპროსში
04:30 ახალი ამბები

## ფეხბურთი

# რა დაემართა ფოეს?

ნინო პირველი



ფიფა-ს პრეზიდენტი ზეპ ბლატერი კამერუნელ ფეხბურთელებთან ერთად პატივს მიაგებს ფოეს ხსოვნას.

26 ივნისს მთელი სპორტული სამყარო შეძრა ლიონში დატრიალებულმა ტრაგედიამ - კონფედერაციის თასის ნახევარფინალში, კამერუნისა და კოლუმბიის ნაკრები გუნდების მატჩის მსვლელობისას კამერუნელი მარკი ვივიენ ფოე მოედანზე წაიქცა და 45 წუთის შემდეგ გონზე მოუსვლელად გარდაიცვალა. კამერუნის ნაკრები ფინალში გავიდა, მაგრამ ეს მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც სხვა დროს, ალბათ, დიდ აჟიოტაჟს გამოიწვევდა, ყურადღების მიღმა დარჩა. ახლა ყველას მხოლოდ ერთი რამ აინტერესებს: რა დაემართა მარკ ვივიენ ფოეს? რამ გამოიწვია მისი ასეთი უცნაური და მოულოდნელი აღსასრული? ნუთუ მატჩის დღეს ფეხბურთელი ავად იყო? იოზეფ ბლატერი და ფიფა ფოეს სიკვდილის მიზეზების დადგენას ცდილობენ.

### "მას არ უნდოდა მოედნიდან გასვლა"

ფოეს სიკვდილმა, ბუნებრივია, ყველა შეაძრწუნა. კამერუნელთა მთავარი მწვრთნელი, გერმანელი ვინფრიდ შეფერი მატჩის მერე გაოგნებული იყო, ცრემლები ახრჩობდა და ჟურნალისტებს ვერაფერი უთხრა, უხმოდ გაეცალა სტადიონს. შემდეგ მას მაინც მოუხდა კომენტარის გაკეთება და ასეთი რამ განაცხადა: "ფოე ოდნავ შეუძლოდ გრძნობდა თავს, მაგრამ მოედნიდან გასვლა მაინც არ უნდოდა. მე ვუთხარი, რომ შევცვლიდი და რომელიმე დასვენებულ ფეხბურთელს ვათამაშებდი, მაგრამ უარზე იყო. მითხრა, კარგად ვარ და იქამდე მინდა ვითამაშო, სანამ ფინალში გასვლას არ გავინაღდებთო. არ ვიცი, რა დაემართა მოედანზე", - თქვა შეფერმა ინგლისურ "გარდიანთან" საუბარში.

ფოეს თანაგუნდელები ამბობენ, რომ ეს მატჩი ძალიან მნიშვნელოვანი იყო კამერუნელი ფეხბურთელისთვის. "პირველი ტაიმის შემდეგ ფოე მეტად აღელვებული დადიოდა გასახდელში. "ბიჭებო, სიცოცხლის ფასადაც რომ დაგვიჯდეს, ფინალში მაინც უნდა გავიდეთ!" - გვითხრა მან. ასეთ სიტყვებს ვინ არ ამბობს მნიშვნელოვანი თამაშის წინ, მაგრამ ამჯერად მისი ნათქვამი პირდაპირი გაგებით ახდა", - ნაღვლიანად დასძინა ფოეს ერთ-ერთმა თანაგუნდელმა. გავიდა ნახევარი საათი და ფოე უკვე აღარ იყო ამქვეყნად. ეს გამარჯვება მას, მართლაც, სიცოცხლის ფასად დაუჯდა.

### ინფარქტი გამორიცხულია

პარასკევს ექიმებმა ფოეს აუტოფსია ჩაუტარეს და გულის შეტევა გამორიცხეს. არსებობდა მოსაზრება, რომ კამერუნელ ფეხბურთელს მოედანზე ინფარქტი დაემართა, მაგრამ ფიფას სამედიცინო პერსონალი ამ ვერსიას არ ეთანხმება. ექიმებს ჯერ კიდევ აქვთ ჩასატარებელი სისხლის ანალიზი და ტოქსიკური ტესტი, რის შემდეგაც საბოლოოდ გაირკვევა, თუ რამ გამოიწვია ფოეს გარდაცვალება.

ფეხბურთელის მეუღლე, 26 წლის მარი ლუიზი ფოეს სიკვდილში კამერუნელ ექიმებს ადანაშაულებს: "მატჩის წინა დღეებში მას კუჭი სტკიოდა და იცოდა, რომ ბოლომდე არ იყო მზად მოედანზე გასასვლელად, მაგრამ მაინც უნდოდა თამაში. აუცილებლად უნდოდა. ლიონი მისი მეორე სამშობლო იყო, ძალიან უყვარდა ეს სტადიონი და სურდა, სწორედ აქ მოეპოვებინა ფინალში გასვლის უფლება. მიმაჩნია, რომ კამერუნელ ექიმებს არ უნდა მიეცათ თამაშის ნება. აბა, ექიმები რისთვის არსებობენ, თუ ფეხბურთელის ავად ყოფნას ვერ შეამჩნევენ და მოედანზე გასვლას არ აუკრძალავენ?" - ამბობს ახალგაზრდა ქვრივი.

ფიფას პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი კი ფიქრობს, რომ ფოეს გარდაცვალებაში დაძაბული სათამაშო რეჟიმიცაა დამნაშავე. "მსოფლიო ჩემპიონტაზეც კი ფეხბურთელებს მატჩიდან მატჩამდე ორი დღე ეძლევათ დასასვენებლად. აქ კი შეუსვენებლივ თამაშობენ. ეს, მართლაც, საშინლად დამღლელია. ორი წლის შემდეგ კონფერდერაციის თასის ტურნირი გერმანიაში უნდა გაიმართოს. მანამდე აუცილებლად შევიტანთ ცვლილებას განრიგში", - ამბობს ბლატერი და თან გული სწყდება, რომ ეს რეფორმა უკვე დაგვიანებულია. ვინ იცის, იქნებ ზედმეტმა დაძაბულობამ და გადაღლილობამაც გამოიწვია 28 წლის კამერუნელის სიკვდილი?

### პატივი ვცეთ მის ხსოვნას

კვირას კონფედერაციის თასის ფინალი იყო დანიშნული. კამერუნელები ერთხანს ყოყმანობდნენ, ეთამაშათ თუ არა, ბოლოს გადაწყვიტეს, რომ ეთამაშათ. ფოე ხომ სწორედ ფინალში გასვლის მწველ სურვილს შეეწირა. ფიფას გადაწყვეტილებით, ტურნირის ორგანიზატორებმა ყველა გასართობი პროგრამა მოხსნეს, რაც კი ფინალის გასალამაზებლად იყო დაგეგმილი. კამერუნელებმა კი, ფოეს ხსოვნის პატივსაცემად, საგანგებო მაისურებით მოისურვეს მოედანზე გასვლა. ფიფამ ამაზე თანხმობა განაცხადა.

აფრიკელებს თეთრი ფორმა ეცვათ, მაისურებზე ფოეს დაბადებისა და გარდაცვალების თარიღები იყო ამოკვეთილი. გერმანული ფირმა "პუმა" (ის კამერუნელთა სპონსორია) უყოყმანოდ დათანხმდა ფეხბურთელებს ახალი ფორმის შეკერვაზე. ვარჯიშზე ყველას ეცვა მწვანე მაისურა, რომელსაც ეწერა 17 - ფოეს ნომერი ეროვნულ ნაკრებში. ასე მიაგეს პატივი თანაგუნდელებმა მის ხსოვნას...

ფოე ფრანგულ ფეხბურთშიც მნიშვნელოვანი ფიგურა იყო. ის ორჯერ გახდა საფრანგეთის ჩემპიონი - ერთხელ "ლანსის", მეორედ კი "ლიონის" რიგებში. ორივე ქალაქის ფეხბურთის მოყვარულებს კარგად ახსოვთ ეს ფეხბურთელი. სწორედ ამიტომ, "ლანსი" და "ლიონი" მომავალ კვირას ეკლესიაში მესას აღავლენენ.

## რაგბი

# შესანიშნავი შვიდეული

პაატა თოთაძე


საქართველოს ნაკრების კიდევ ერთი ლელო.

ესეც ასე, "საქართველოს შვიდკაცა" საქართველოს ნაკრების გამარჯვებით დასრულდა. აბა, სხვას ვის უნდა მოეგო ჩვენს ქვეყანაშიო, - ფინალის შემდეგ გაიგონებდით ტრიბუნებზე. მართლაცდა, ვის უნდა მოეგო? იტალიელებისთვისაც და ფრანგებისთვისაც აქამდე არაერთხელ მოგვიგია და გუშინ რა ღმერთი უნდა გაგვწყრომოდა, რომ ვერ დაგვემარცხებინა?! ერთი პირობა კი შეშინდა გულშემატკივარი, როცა ფინალურ მატჩში ფრანგები დაწინაურდნენ 14:7, შემდეგ კიდევ ერთი ლელო გაგვიტანეს, რომელიც მსაჯმა არ ჩათვალა. დროის ამ პატარა მონაკვეთში მეტოქე უკეთ გამოიყურებოდა, მაგრამ მხოლოდ მცირე ხნით. ყველაფერი მალევე დალაგდა და ეს ფინალის საბოლოო შედეგზეც აისახა – 29:14. მსაჯის საქციელით (ლელო რომ არ ჩათვალა) უკმაყოფილო ერთ-ერთმა ფრანგმა მორაგბემ კი შეხვედრის დასრულების შემდეგ მსაჯს ხელი არ ჩამოართვა და დიდხანსაც ეკამათა. მსაჯის განსჯას არ დავიწყებთ, მაგრამ, რომ ჩაეთვალა კიდეც, არა მგონია, ამით ფრანგებს რამე შველებოდათ. შესაძლოა, ნაკლები სხვაობით დამარცხებულიყვნენ, წაგებას კი ნამდვილად ვერ გადაურჩებოდნენ.

სხვათა შორის, მსაჯის მიმართ ეს ერთადერთი პრეტენზია არ იყო. არბიტრის ნამოქმედარით უკმაყოფილება ფრანგებამდე იტალიელებმა გამოთქვეს და ისიც საქართველოს ნაკრებთან ნახევარფინალურ მატჩში, რომელშიც 0:29 დამარცხდნენ. ჯერ იყო და, მწვრთნელი არ დაეთანხმა ლევან მგელაძის გადაწყვეტილებას, შემდეგ კი მოთამაშე, რისთვისაც მოედნიდან გააძევეს. გასაკვირი კია, რა ჰქონდათ იტალიელებს სადავო, მთელი მატჩის განმავლობაში, თუ არ ვცდები, სულ სამჯერ გადავიდნენ ქართველთა ნახევარზე და ის შეტევებიც იოლად მოიგერიეს ბორჯღალოსნებმა.

ჩვენ არაერთი ტურნირი მოგვიგია, მაგრამ დღევანდელი გამარჯვება სულ სხვაა, ემოციების შეკავება გვიჭირსო, დაჯილდოების შემდეგ ამბობდნენ მორაგბეები. ჯილდოდ კი ქართული ფარი მიიღეს. მეორე ადგილი ფრანგ მორაგბეებს ერგოთ, მესამე კი - უკრაინელებს. ნახევარფინალში ფრანგებთან დამარცხებულმა უკრაინელებმა მესამე ადგილისთვის მატჩში იტალიის გუნდს სძლიეს (40:21). მეხუთე ადგილზე რუმინეთის ეროვნული გუნდი გავიდა, მეექვსეზე - ისრაელის. მეშვიდე-მერვე ადგილები ბულგარელებმა და აზერბაიჯანელებმა გაინაწილეს.

ძირითადი ტურნირის გარდა, შეჯიბრება გაიმართა კლუბებსა და ბავშვებს შორისაც. უმცროსი ასაკის მორაგბეებს შორის პატარძეულის "ვეფხვებმა" გაიმარჯვეს, კლუბებს შორის კი - "აკადემია იმედი-L"-მა.

სანახაობის დასრულების შემდეგ მაყურებელს მიესალმა ქალაქის მერი, რომელმაც რაგბის კავშირს გადაუხადა მადლობა ზეიმის მოწყობისთვის. ზეიმი კი, მართლაც, კარგი გამოვიდა. მართალია, მცირე ხარვეზები იყო ტურნირის ორგანიზაციაში, მაგრამ... მოკლედ, საერთო ჯამში ტურნირმა მშვენივრად ჩაიარა, მაყურებელმაც ისიამოვნა და, რაც მთავარია, მომავალ წელს ასეთი ტურნირის თბილისში გამართვასაც წინ არაფერი უნდა დაუდგეს.


ახლა უკვე მილოცვების მიღებაც შეიძლება.

ფორმულა 1

# BMW-Williams-ის ტრიუმფი ნიურნბერგში

## რალფ შუმახერმა და მონტოიამ მიხაელ შუმახერს შანსი არ დაუტოვეს

აკა ტონია


რალფ შუმახერმა მიმდინარე სეზონში პირველად გაიმარჯვა.

REUTERS

ფორმულა 1-ის მორიგ ეტაპს გერმანიის ქალაქმა ნიურნბერგმა უმასპინძლა. აქედან გამომდინარე, "ევროპის გრან-პრი" ძმები შუმახერებისთვის საშინაო რბოლა უნდა ყოფილიყო. რბოლის საყურებლად შეკრებილი 123 ათასი ადამიანი შუმახერის გამარჯვებას ელოდა. ასეც მოხდა, თუმცა, არა მიხაელმა, არამედ რალფ შუმახერმა მოიგო. მეორე ადგილი მისმა თანაგუნდელმა, კოლუმბიელმა ხუან პაბლო მონტოიამ დაიკავა - "ევროპის გრან-პრი" BMW-Williams-ის ტრიუმფით აღინიშნა.

უკმაყოფილო არც უფროსი შუმახერი უნდა იყოს: მან მე-5 ადგილი დაიკავა და 4 ქულა მოიპოვა, რაც იმას ნიშნავს, რომ დამყარებულია კიდევ ერთი რეკორდი: მიხაელ შუმახერმა თავისი კარიერის მე-1000 ქულა მიითვალა. ახლა მას 1003 ქულა აქვს - უნიკალური შედეგი, რომლითაც ფორმულა 1-ის ვერც ერთი სხვა პილოტი ვერ დაიკვეხნის. ნიურნბერგში მოპოვებული ქულები იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ მიმდინარე სეზონის საერთო ჩათვლაში შუმახერმა კიდევ უფრო გაზარდა თავისი უპირატესობა უახლოეს მდევართან, მეორე ადგილზე მყოფ კიმი რაიკონენთან. თავდაპირველად რბოლას სწორედ რაიკონენი ლიდერობდა, თუმცა, 25-ე წრეზე მის ბოლიდს პრობლემები შეექმნა და ფინელმა რბოლა შეწყვიტა. რაიკონენს ისევ 51 ქულა აქვს, ხოლო შუმახერი 58 ქულით ახლა უფრო დამაჯერებლად ლიდერობს საერთო ჩათვლას.

თუმცა, დავუბრუნდეთ გამარჯვებულს. რალფ შუმახერისთვის ეს პირველი გამარჯვება იყო მიმდინარე სეზონში და მეხუთე - მის კარიერაში. "უსაზღვროდ ბედნიერი ვარ. მიხარია, რომ გამარჯვება ნიურნბერგში მოვიპოვე. ჩვენი გუნდისათვის ეს უდიდესი წარმატებაა, პირველი და მეორე ადგილები ჩვენ დავიკავეთ - ეს რაღაც დაუჯერებელია", - ამბობდა რალფ შუმახერი რბოლის შემდეგ. პირველი და მეორე ადგილი - ეს, მართლაც, უდიდესი წარმატებაა, თუმცა, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ხუან პაბლო მონტოიას მეორე ადგილი მიხაელ შუმახერს ძვირად დაუჯდა. მე-17 წრემდე სწორედ მიხაელ შუმახერი იყო მეორე ადგილზე. მონტოიამ მას სახიფათო მანევრით გაუსწრო. ამ დროს მათი მანქანები ერთმანეთს შეეხო კიდეც. შუმახერის მანქანა მოსრიალდა და გერმანელმა პილოტმა საჭირო წამები დაკარგა. "დაუშვებელია, რომ ერთმა პილოტმა მეორე ტრასიდან გადააგდოს", - არ მალავდა თავის აღშფოთებას Ferrari-ს ტექნიკური დირექტორი როს ბრაუნი. თავად შუმახერმა კომენტარისგან თავი შეიკავა, მონტოია კი თავს იმართლებდა და ამბობდა, რომ შუმახერს საკმარისი ადგილი დაუტოვა ტრასაზე. საპრიზო ადგილის გარეშე Ferrari მაინც არ დარჩენილა: მესამე ადგილი შუმახერის კოლეგამ, რუბენს ბარიკელომ მოიპოვა.

### რბოლის შედეგები

| | |
|---|---|
| 1. რალფ შუმახერი | 1:34:43,622 |
| 2. ხუან პაბლო მონტოია | + 16,821 |
| 3. რუბენს ბარიკელო | + 39,673 |
| 4. ფერნანდო ალონსო | + 1:05,731 |
| 5. მიხაელ შუმახერი | + 1:06,162 |
| 6. მარკ ვებერი | + 1 წრე |
| 7. ჯენსონ ბატონი | + 1 წრე |
| 8. ნიკ ჰაიდფელდი | + 1 წრე |
| 9. ჰაინც-ჰარალდ ფრენტცენი | + 1 წრე |
| 10. ანტონიო პიცონია | + 1 წრე |
| 11. ჯანკარლო ფიზიკელა | + 2 წრე |
| 12. რალფ ფირმანი | + 2 წრე |
| 13. ჯასტინ ვილსონი | + 2 წრე |
| 14. იოს ვერსტაპენი | + 3 წრე |
| 15. დევიდ კულჰარდი | + 4 წრე |

### რბოლას გამოეთიშნენ

| | |
|---|---|
| კიმი რაიკონენი | 25-ე წრეზე |
| იანო ტრული | 38-ე წრეზე |
| ოლივიე პანი | 38-ე წრეზე |
| ჟაკ ვილნევი | 53-ე წრეზე |
| კრისტიანო და მატა | 56-ე წრეზე |

### საერთო ჩათვლა

| | |
|---|---|
| 1. მიხაელ შუმახერი | 58 |
| 2. კიმი რაიკონენი | 51 |
| 3. რალფ შუმახერი | 43 |
| 4. ფერნანდო ალონსო | 39 |
| ხუან პაბლო მონტოია | 39 |
| 6. რუბენს ბარიკელო | 37 |
| 7. დევიდ კულჰარდი | 25 |
| 8. იანო ტრული | 13 |
| 9. ჯენსონ ბატონი | 10 |
| ჯანკარლო ფიზიკელა | 10 |
| 11. მარკ ვებერი | 9 |
| 12. ჰაინც-ჰარალდ ფრენტცენი | 7 |
| 13. კრისტიან და მატა | 3 |
| ჟაკ ვილნევი | 3 |
| 15. ნიკ ჰაიდფელდი | 2 |
| 16. ოლივიე პანი | 1 |
| რალფ ფირმანი | 1 |
| 18. ჯასტინ ვილსონი | 0 |
| ანტონიო პიცონია | 0 |
| იოს ვერსტაპენი | 0 |

### კონსტრუქტორთა დავა

| | |
|---|---|
| 1. Ferrari | 95 |
| 2. BMW-Williams | 82 |
| 3. McLaren-Mercedes | 76 |
| 4. Renault | 52 |
| 5. BAR-Honda | 13 |
| 6. Jordan-Ford | 11 |
| 7. Sauber-Petronas | 9 |
| Jaguar | 9 |
| 9. Toyota | 4 |
| 10. Minardi F1 Team | 0 |

კრივი

# ლუისი აგდებს, მუჰამადი ორთქლს უშვებს

ბიგა ბურასაშვილი

*გასაკეთებელი გავაკეთე. ეს ერთჯერადი ამბავი იყო. სულაც არ ვაპირებ, მძიმე წონაში მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის შესანარჩუნებლად მუშტები ვიქნიო. ერთადერთი, ბრძოლის ჩატარება მსურდა. ეგ ეყო და ეგ. მაინტერესებდა, სადამდე გავქაჩავდიო, - მასზე 15 კილოგრამით მძიმე მეტოქის, პუერტორიკოელი ჯონ რუისის გაბითურების შემდეგ გაიძახოდა როი ჯონს-უმცროსი. მაგრამ ეს ადრე იყო. მერე და მერე კი ამბიციაც მოეძალა და ისეთ მეტოქეს დაადგა თვალი, როგორიც ლენოქს ლუისია. ლუისმა კი, რას მიქვია, პატარას ხელს როგორ დავარტყამო და... თუმცა, მერე გული მოულბა და, - ეგრე იყოს, ყაბულსა ვარო. თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ უკვე მესამედაა, ლუისი ჯონსთან მოლაპარაკებას გაურბის.*


ლუისი ჯონსს გაურბის?

REUTERS

მას შემდეგ, რაც თანამედროვეობის ნახევრად მძიმე წონის უძლიერესი მოკრივის, მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის, 34 წლის ამერიკელი როი ჯონს-უმცროსისა და WBA (ასოციაციის) მსოფლიო ჩემპიონის, ამასთან, მძიმე წონის, 31 წლის ჯონ რუისის ორთაბრძოლა შედგა, კრივის გულშემატკივრებმა მარჩიელობა დაიწყეს - იქნებ ჯონსისა და ლუისის ჩხუბსაც გამოვკრათ ხელიო. არადა, ლუისი მაშინდელ ისტორიულ შეხლას ტრიბუნიდან ადევნებდა თვალს. ჰოდა, ასეთ შანსს ვინ გაუშვებდა ხელიდან და, ლუისს ბრძოლის დამთავრებისთანავე ასოციაციის ახალ ჩემპიონთან შესაძლო დაპირისპირების პერსპექტივაზე ჰკითხეს. ლუისმა უპასუხა: როი ჯონსი მძიმე წონის ღირსეული ჩემპიონია და დიდი შთაბეჭდილებაც მოახდინა ჩემზე, მაგრამ დავუპირისპირდებით თუ არა ერთმანეთს, ეს სხვა თემაა და, თქვენი ჭირიმე, ახლა ამაზე ნურაფერს მკითხავთო.

დროთა განმავლობაში ლუისის ბანაკმა ცალი თვალი როი ჯონსისკენ გააპარა და, როგორც შემდეგ გაირკვა, არცთუ უსაფუძვლოდ. ერთი სიტყვით, მხარეები შეთანხმდნენ, ჩვენი ჯილები ვაჩხუბოთო.

გასულ ხუთშაბათს ლუისი და ჯონსი სამომავლო ორთაბრძოლასთან დაკავშირებით მოლაპარაკების მაგიდასაც უნდა მისხდომოდნენ. მოლაპარაკება კი იმით იყო მნიშვნელოვანი, რომ უნდა გარკვეულიყო, ბოლოს და ბოლოს, როდის შედგებოდა საბჭოსა (WBC) და ასოციაციის (WBA) გამაერთიანებელი საჩემპიონო ჯახი, თუმცა, ისე მოხდა, რომ მოლაპარაკებაზე ლუისი არ გამოცხადდა, ამასთან, უკვე მესამედ. თუმცა, შეუთვალა, ორშაბათამდე მაცალეთო. ამის გამგონე როი ჯონსის პრომოუტერმა მურად მუჰამადმა ცოფები ყარა, რას მიქვია დამაცადეთო, ამხელა ხალხი მოვსულვართ, შენ კი, არა მცალიაო, იქიდან გვითვლი.

როი ჯონსს ლუისთან ორთაბრძოლა დიდი ფულის გამო ხიბლავს. თუმცა, ისიც ფაქტია, უკმაყოფილო არც ლუისი დარჩება. იმასაც ამბობენ, თითოეულ მათგანზე 20-20 მილიონს ჩამოდიანო, რა თქმა უნდა, ჰონორარის სახით. მაგრამ, ლუისი გაურკვევლობაშია, აღარ იცის, რა ქნას, საით გაიხედოს - ჯონსისკენ, რომელთან შებმითაც საბანკო ანგარიშს მილიონებით შეავსებს, თუ ახლახან ნაგვემი უკრაინელი კლიჩკოსკენ, რომელთან ჩხუბიც ღირსების საკითხი გამხდარა. აი, ამის გამოა, მურად მუჰამადმა ცოფები რომ ყარა და "ასოშეიტედ პრესთან" საუბარში ორთქლი გამოუშვა: გაგონილა, კაცო, კლიჩკო ლუისთან საბრძოლველად სამი თვის შემდეგ იქნება მზადო. მტკნარი სიცრუეა. ამ განცხადებას, ტყუილი თუ არა, ერთგვარი თამაში უდევს საფუძვლად. ეგენი რაღაცას მიედ-მოედებიან. მიზანი კი ერთი აქვთ: უნდათ, ლუისი დააჯერონ, რომ ვიტალი 90 დღეში მწყობრში იქნება. ექიმს რასაც ჩასძახებ, იმას ამოგძახებს. ნებისმიერი ადამიანი, ვისაც კი მედიცინის რამე გაეგება, გეტყვით, თუ რამდენად სერიოზულია კლიჩკოს ტრავმა, რომლის მოშუშებასაც რვა თვე მაინც სჭირდება. ძალიანაც უნდათ, მაგრამ ვერავინ დამარწმუნებს, რომ ასეთი რამ შესაძლებელია. ყველაფერი იმისთვის კეთდება, რომ ლუისი როი ჯონსს არ შეხვდესო.

მურად მუჰამადსაც შეიძლება გავუგოთ. კაცმა საკუთარი პრომოუტერული გონებით აწონ-დაწონა, გათვალა და მიხვდა, რომ გულხელდაკრეფილი არც უკრაინელთა ბანაკში არიან და, სანამ რამეზე ხელი მოუწერიათ, ლუისთან შეხვედრას ითხოვს.

ბუნებრივია, მუჰამადის განცხადებების შესახებ ვიტალი კლიჩკოსაც მოახსენეს. უკრაინელმა კი, - ვისაც ეჭვი ეპარება, რომ სამ თვეში ფორმაში არ ვიქნები, მოვიდნენ და მნახონ, აბა, მოუშუშებლის თუ რამე მეტყობაო.

"მე არაფერი მაწუხებს და არც ვღელავ. ექიმმა ყველაფერი ხუთიანზე გააკეთა - კოხტად გაკერა ჭრილობები. რაც შეეხება მუჰამადის ტონს, მე მისი მესმის, რადგან იგი აცნობიერებს იმას, რომ ლუისთან განმეორებით მატჩს მთელ მსოფლიოში მოუთმენლად ელიან. რაც უნდა იყოს, მალე ჩემი და ლუისის რევანშის თაობაზე, ან ლუის-ჯონსის დაპირისპირების შესახებ შევიტყობთ", - აცხადებს კლიჩკო.



5-27 ივლისი
ტურ დე ფრანსი



უსტაბაში

ირაკლი ბერიაშვილი

## შეჩერდი, შალვა, შეჩერდი!

- მიშკა დურაკ! მიშკა დურაკ! მიშკა დურაკ!

როგორც იქნა, დავადგინე, რომ ეს რაღაც უცნაური ფალცეტი, ყოფილი პავლოვის ქუჩის თავში რომ სახლია, იმის მეოთხე სართულის აივნიდან ისმოდა. ვეებერთელა იყო, ჭრელი, ლამაზი. ვეებერთელავე გალიაში იჯდა და იქიდან ყვიროდა გამყინავი ხმით.

- მიშკა დურაკ!

ეტყობა, პატრონს ვიღაც მიშა ძალიან არ ევასებოდა და ეგრე, თუთიყუშის საშუალებით იფხანდა გულს. მეც რა მენაღვლებოდა, დილის რვა საათზე სამსახურში წაჩანჩალებულს, ეს თუ გამომიკეთებდა გუნებას, თორემ, საცა წესი და რიგია, ამ დროს ნორმალურ ხალხს ხომ ჯერ კიდევ სძინავს.

სხვათა შორის, იმ დროიდან მოყოლებული, ერთი უცნაური ფიქრი ამეკვიატა. სულ მაინტერესებდა, სასაუბრო ენასა და ლიტერატურაში სიტყვა "თუთიყუშის" დამკვიდრებასთან დაკავშირებით რა იყო პირველადი – ის, რომ ეს მართლაც მშვენიერი ფრინველი სხვის ნათქვამსა და დასწავლილ ფრაზას ამბობდა თუ თვით ამ ფრაზის მრავალჯერ გამეორების ფაქტი.

■ ■ ■

სასტუმრო ოთახის სიღრმეში, ბუხართან ვსხედვართ და ინტერვიუსთვის ვემზადებით. ბუხარი, მართალია, ჩამქრალია, მაგრამ თავის საქმეს მაინც აკეთებს – ამ არეულ დროში, სხვა რომ არაფერი, სიმშვიდისა და სიმყუდროვის ილუზიას მაინც ქმნის.

○ ბატონო შალ...

● **ჩვენი ლოზუნგია "ჩამოვაშოროთ წურბლები ხელისუფლებას". ჩვენ მივაღწევთ იმას, რომ საქართველოში განათლება და სამედიცინო მომსახურება გახდეს უფასო. ჩვენ მივაღწევთ იმას, რომ ანაბრები სრულად დაუბრუნდეს ხალხს. ჩვენ მივაღწევთ იმას, რომ ან მნიშვნელოვნად შევამცირებთ დენის ტარიფს, ან არადა, ამერიკულ კომპანიას საერთოდ ამოვაკვეთინებთ ფეხს საქართველოდან. ჩვენ უკვე მოვიგეთ პროცესი საკონსტიტუციო სასამართლოში, ვაიძულეთ ხელისუფლება, ერთი თეთრით შეემცირებინა ტარიფი. ჩვენ კიდევ მრავალ პროცესს მოვიგებთ. რაც შეეხება ზურაბ ჟვანიასა და მიხეილ სააკაშვილს... მაგათ მიერ დანგრეული ქვეყნის აშენებას დიდი დრო დასჭირდება.**

○ ბატონო შალვა...

● **ლეიბორისტული პარტია ერთადერთია, ვინც ხალხის კეთილდღეობისთვის იბრძვის. ჩვენ გვპარავენ იდეებს. ისინი გვპარავენ, ვინც გუშინ თვითონ იყვნენ ხელისუფლებაში, თვითონ დაანგრიეს ქვეყანა და ახლა ოპოზიციონერობას თამაშობენ. მაგრამ ხალხი არ მოტყუვდება, ხალხი ბრძენია. ზურაბ ჟვანიასა და მიხეილ სააკაშვილს ეგ თამაში არ გამოუვათ. ნაციონალებიცა და დემოკრატებიც იგივე მოქალაქეთა კავშირია, ორ ნაწილად გაყოფილი და ახლა ეგეთი თვალთმაქცობით ცდილობს ძალაუფლების შენარჩუნებას.**

○ ბატონო შალვა, არც ერთი და არც მეორე იქიდან არავის გამოუგდია...

● **ჩვენი პარტია მშრომელთა პარტიაა. ჩვენ ვაიძულებთ ხელისუფლებას, რომ ხალხს უკან დაუბრუნოს ყველაფერი, რაც წაართვა. უკან დაუბრუნოს უფასო განათლებისა და უფასო სამედიცინო მომსახურების უფლება; უკან დაუბრუნოს ანაბრები, ჟვანიასა და სააკაშვილის მიერ შეჭმული მილიონები...**

○ ბატონო შალვა, სულაც არა ხართ ვალდებული, ფიზიკაში კარგად ერკვეოდეთ, მაგრამ გაგონილი მაინც გექნებათ ენერგიის შენახვისა და გარდაქმნის კანონის შესახებ, მეექვსე კლასიდან მარადიულ ძრავასთან, ეგრეთ წოდებულ პერპეტუუმ მობილესთან დაკავშირებითაც შეიძლება გახსოვდეთ რამე. თუ ეგეც არა, მაშინ უბრალოდ, გლეხურად გეტყვით: არაფრიდან არაფერი არ წარმოიქმნება. ეგ თქვენ, ლეიბორისტებსა და სოციალისტებს არ გჯერათ, თორემ ხალხი კარგა ხანია მიხვდა, რომ უფასო ქვეყნად არაფერია და არც შეიძლება იყოს. თქვენი და თქვენნაირების მიერ გაუბედურებულ ქვეყანას მაინც გადახედეთ...

● **ჟვანიაცა და სააკაშვილიც მოქალაქეთა კავშირის განაყოფები არიან...**

○ ამას წინათ ვიღაცამ თქვა შენზე, ნიჭიერი კაციაო. სხვათა შორის, შენს სულიერ მამაზე, ვალოდიაზეც – როცა პატარა იყო და როცა ვოვოჩკას ეძახდნენ – იმაზეც ეგრე ამბობდნენ, ნიჭიერიაო. შენ, რა თქმა უნდა, ვოვოჩკამდე ვერ გაქაჩავ, ჰა, დიდი-დიდი, პატრის ლუმუმბად ან სალვადორ ალიენდედ იქცე, ისიც, თუ ვითარებამ მაგრად შეგიწყო ხელი. აი, მერე გამოჩნდებოდა, რა ქვეყნის ამშენებელიცა ხარ, მაგრამ მთელ ამ ამბავში ცუდი ის არის, რომ პინოჩეტი დაგვჭირდებოდა. ეგეთებისთვის კი, ღირსი არის თუ არა, მაინც მეცოდება ეს ქვეყანა. ისე, ვალოდიასთან კი არა, შენს დღევანდელ დამრიგებელთანაც ვერ მიხვალ. ნაღდად შენზე მაგარი მარქსისტია. ნახე, რა მოიგონა! კლასები და ეგეთი რამეები რომ აღარ არის მოდაში, ახლა ლიგებს აფუძნებს. სულ ტყუილად წვალობს ოპოზიცია – ყველა მაგისია: რკინიგზელებიც, შოფრებიც, ლიოტჩიკებიც, მესემიჩკეებიცა და მექისეებიც კი. ცოტა ეშინია, თორემ, მე რომ მაგისი გაქანების ამბავი ვიცი, უმუშევართა ლიგასაც დააწესებდა. აბა, შენ ამდენი შეგიძლია, შალვა?

● **ჟვანიაცა და სააკაშვილიც...**

○ ახლახან ერთი სერიოზული კაცი საკმაოდ სერიოზულ საზოგადოებაში ძალიან სერიოზულად ამტკიცებდა, ნათელაშვილი სიტყვის კაციაო. სულ თავიდან მოყვა. თავდაპირველად სიტყვა იყოო. კარგა ხანს ილაპარაკა, მაგრამ მაინც ვერ მივხვდი, რისი თქმა უნდოდა – შალვას სიტყვა და საქმე ერთიაო თუ სიტყვის კაცია და მეტი არაფრისო. ეგრეა საქმე, ჩემო შალვა, ზოგს უყვარხარ, ზოგს – არა. აი, ერთ-ერთმა ეგეთმა მითხრა ორიოდე კვირის წინ, ლოზუნგი ვნახე მიტინგზე, ჩაიფსამო. რა ლოზუნგი-მეთქი. რა და, "ლეიბორისტული პარტია – ეკალი ოპოზიციის ......." (საჯდომშიო). მე, რა თქმა უნდა, არ დავეთანხმე, ამოდენა ოპოზიცია წარმოუდგენელია-მეთქი, მაგრამ მაინც საინტერესო იქნებოდა თქვენი კომენტარი ამასთან დაკავშირებით.

● **ჟვა...**

ის, რაც ამ სამ ბგერას მოყვა, მკითხველისთვის საინტერესო ნაღდად არ არის. ამიტომ, მისივე ნაბართვით, მთლიანად გამოვტოვებ და სათუთიყუშო პრობლემას დავუბრუნდები. კარგა დიდხანს მართლა ვერ გავარკვიე, რა იყო პირველადი – ის, რომ ეს მშვენიერი ფრინველი სხვის ნათქვამსა და დასწავლილ ფრაზას იმეორებდა თუ თვით ამ ფრაზის მრავალჯერ გამეორების ფაქტი. ბოლოს, როგორც იქნა, მივხვდი, რომ ამ ამოცანას ქათმისა და კვერცხის ამოცანასთან არავითარი კავშირი არა აქვს. თუთიყუშის შემთხვევაში ორივე მომენტი საგულისხმო უნდა იყოს.

ეს ბოლო წინადადებაც დავწერე და, მიუხედავად იმისა, რომ ნათელმხილველობაზე თავს არ ვდებ, თვალნათლივ ვხედავ, როგორ იბადება ლეიბორისტული ლიდერის თავში მორიგი საჩივარი: მსგავსი ინტერვიუ არავისთვის მიმიცია, მით უმეტეს, ბუხრით გაწყობილ სასტუმრო ოთახშიო.

შეჩერდი, შალვა!

ამჯერად აბსოლუტურად მართალი ხარ. მსგავსი ინტერვიუ ჩემთვის ნამდვილად არ მოგიცია არც ბუხრიან ოთახში და არც უბუხროში. ეს, უბრალოდ, ჩემი გამოგონებაა, უფრო ზუსტად, ახალი ჟანრი, რომელსაც ვინტერვიუ დავარქვი. არა, კორექტურა არ არის. ვინტერვიუ, ესე იგი, ღმერთო, გამახსენე, ჰო... ვირტუალური ინტერვიუ. ისე, პატენტის აღებას ნამდვილად არ ვაპირებ. ასე რომ, ჩემს კოლეგებს სრულიად უსასყიდლოდ შეუძლიათ ისარგებლონ განსაკუთრებით აგრესიულ რესპონდენტებთან.

შეჩერდი, შალვა, შეჩერდი-მეთქი. რა ვიცი, კიდევ რა არ ვუთხარი. ნუ იზამ-მეთქი. რა ქვეყნიერების დამქცევიც მე ვარ. ჩემთვის ტახტზე წამოწოლილი დიდ ადამიანებს ველაპარაკები. დეპუტატი არა, მაგრამ ადამიანი ხომ ხარ, ფიქრების გამო საციხოდ ხომ არ გამიმეტებ-მეთქი. ჩემთვის, ესე იგი, ვირტუალურად, სულ ორი წუთით დაველაპარაკე, ორი სიტყვა ვუთხარი ცოცხალ შალვა ნათელაშვილს და ამისთვის მწირავ-მეთქი?

არ ვიცი, გაიგონა თუ არა. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით სასამართლოში დაპატიჟების წერილი არ მომსვლია.

**მინაწერი:** ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ჩემი ახალგაცნობილი ვირტუალური ნაცნობი, მისივე ძირითადი პროფესიის გათვალისწინებით, ალბათ, მაინც ჩამეძიება და უთუოდ იკითხავს: კი მაგრამ, ამ სპორტულ, ესე იგი, აპოლიტიკურ გვერდში ამ წმინდა პოლიტიკურ წერილს რა ესაქმებაო.

ამაშიც აბსოლუტურად მართალი ხართ, ბატონო შალვა, მაგრამ მაინც უნდა გაგაწბილოთ.

ახლა კი, სანამ საბოლოო განაჩენს გამოგიტანდე, მკითხველს რამდენიმესიტყვიანი პრელუდია უნდა შევთავაზო.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიური აკადემიის ასპირანტურაში სწავლა შეიძლება დანაშაული არ იყოს, მაგრამ დისიდენტებსა და თავისი ქვეყნის პატრიოტ ადამიანებს რომ იქ არ იწვევდნენ, ნაღდად ვიცი.

კარგით რა, ბატონო შალვა, იმ ქვეყანაში, სადაც პროკურატურის ყოფილი პარტკომი – ეს თქვენზეა საუბარი – ყველაზე მაღალრეიტინგიან პოლიტიკურ მოღვაწედ მოიაზრება, სპორტის გვერდში პოლიტიკური ღადაობა დასაშვები კი არა, ძალიან ლოგიკურიც კია.

გამოყენებული ლიტერატურა:
შ. ა. ნათელაშვილი - სატელევიზიო გამოსვლები
შ. ა. ნათელაშვილი - საგაზეთო ინტერვიუები

გაზეთი 24 საათი

უფასო განცხადებების ქვითარი

ბინები, ავტომობილები, ცხოველები, ვაკანსიები, მომსახურება, სამუშაო, გაცნობა

29.06.03 N-176

იკითხეთ ყველგან

გამომცემლობა "ლიტერას"

ახალი წიგნები

დათო ტურაშვილის "გურჯი- ხათუნი და აკა მორჩილაძის "მელიქსეთბაშის თბილისი"

საიდუმლოებით მოცული ამბები, ხალისიანი ისტორიები და ფათერაკიანი თავგადასავლები ჩვენი ქვეყნის წარსულიდან.




## აფიშა

### საგამოფენო დარბაზები

- **ძველი გალერეა**

თეა ბოტკოველის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

TMS

დავით ყიფიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა

- **„ქართული TEX-სტილი„**

თინა კლდიაშვილისა და დავით მონავარდისაშვილის ნამუშევრების გამოფენა

- **ბაიას გალერეა „არტ-ორიენტი„**

სოფო ვარაზის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

### კინოთეატრები

- **„ამირანი„**

"ფან ფან ტულპანი"

დას: 13:00; 17:00; 22:00 სთ; ფასი 6-8

"ჰალკი"

დას: 15:00; 19:30; სთ; ფასი 6-8 ლარი

- **„ელისო„**

"დიდი ძარცვა"

დას: 15:00; 19:00 სთ; ფასი 5 ლარი

"ზემოდან ხედი უკეთესია"

დას: 17:00; 21:00 სთ; ფასი 5,7 ლარი

## TV პროგრამა 30 ივნისი

### რუსთავი - 2

07.00 დილა მშვიდობისა
07.30 სერიალი „ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები"
09.40 სერიალი „ასულ ტეკილა"
10.20 2003 წლის უიმბილდონის ყოველდღიური მიმოხილვა
11.10 სერიალი „მეწამული ყვავილი"
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი „დატყვევებული გულები"
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ. ფილმი
17.20 სერიალი „ასულ ტეკილა"
18.00, 21.00, 04.00 კურიერი
18.15 ჩვენი ეზო 18.25 დოკ. ფილმი
18.50 სერიალი „მაშველები"
19.40 სერიალი „დატყვევებული გულები"
22.00 სერიალი „ჯაშუში"
22.50 ღამის კურიერი
00.20 სერიალი „სექსი დიდ ქალაქში"
01.00 2003 წლის უიმბლდონის ყოველდღიური მიმოხილვა
02.00 მხ. ფილმი „რემბო 3". მთ. რ-ში: სილვესტერ სტალონე.
04.10 კლასიკა

### პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 მულტსერიალი „ჯაშუშები"
10.15 მხ. ფილმი „მე შენ გკარგავ"
12.00, 15.00, 20.00 მოამბე
12.15 ტელესერიალი „ეშმაკუნა"
13.00 დოკ. სერიალი „მონანიებულნი"
13.55 ოქროს მართვე
14.25 დოკ.სერიალი „ტყის მცველები"
15.15 მხ. ფილმი „დოყლაპია"
17.00 ტელესერიალი „ძილის წინ"
17.15 რამპა
17.20 50-50
18.00 ვესტნიკი
18.20 დოკ. სერიალი „აფრიკის ბუნება"
18.30 ბასტი-ბუბუ
18.50 მრავალჟამიერ
19.20 ტელეთამაში „იმღერე რამე"
20.55 ტელესერიალი „ეშმაკუნა"
21.45 დოკ. სერიალი „სტუმრად მსახიობთა სტუდიაში"
22.40 ტელესერიალი „ძილის წინ"
23.00 „რა ხდება?"
00.00 მხ. ფილმი „ჯენ ეირი".

### პირველი სტერეო

08.00 მუსიკა
09.00 ტოროლა
12.00 ფილმი
14.00 მუსიკა
16.00 ფილმი „კარგი ბიჭი" მთ. რ-ში სტივ მარტინი, ედი მერფი.
18.00, 19.15 ქართული მუსიკა
19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი
19.30, 20.15 ვიდეორადიო
20.50 ათი ლექსი
21.15 უცხოური მუსათეული
22.35 პაპარაცი
23.00 აბა გამოიცანი კადრი
00.00 „ბრავო" „ნარკობარონი" მთ.რ-ში რეი ლიოტა.
01.40 „ღამურა" „გაქცეული მატარებელი" მთ.რ-ში ჯონ ვოიტი, ერიკ რობერტსი.
03.45 პაუზის გარეშე

### მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამბე" მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.30 სერიალი „რვაფეხა"
20.30 ვესტი
21.00 ჯანმრთელობა
21.30 მოგზაურობა სასიტყვეთში
22.10 მხ. ფილმი „არხების გადართვისას".

### კავკასია

12.00 ინდური მხ. ფილმი „გამოსავალი სიყვარულშია"
15.00 მხ. ფილმი „საცდელი დღე"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს"
17.15 მხ. ფილმი „ჯუმანჯი"
19.20 სპექტრი
21.00 მხ. ფილმი „თავში უქრის"
22.30 მხ. ფილმი „დრაკონის კოცნა"

### იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.15 აღსავალი
08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 19.30, 23.30, 01.05 მუსიკა
08.30 მხ.ფ. „სკუბი დუ"
10.20 მხ.ფ. „ბინძური პატარა საიდუმლო"
13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45 ახალი ამბები
13.10, 18.00 დოკ. ფილმი
14.10 დოკუმენტური ფილმი
17.30 დოკ. სერიალი
20.00 ბურთი და მოედანი
20.30 მხ.ფ. „როკის მეფეები"
22.15, 23.00 დიალოგი
23.45 მხ.ფ. „საუკუნოდ ჩემი"
01.30 ღამის ფილმი

### მეცხრე არხი

08.00 პროგრამა „დილა"
10.00 მხ. ფილმი „ძმაკაცები"
11.40 მულტფილმი „პინოქიო"
12.30, 15.20, 17.20 მუსიკა
12.40 მხ.სერიალი „რუსი ამორძალები" მე-2 ს.
13.25 „ოსტატები"- მეჩონგურე
14.00 „ბელისიმო" - შოთა კიკნაძე
14.10 „ჩემი ქვეყანა" - ქართული ჭედურობა კვიპროსზე
14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები
14.50 „მსოფლიო ფეხბურთი"
15.40 მულტფილმი „გულივერის მოგზაურობა"
16.30 დოკ. ფილმი „ნაციონალური გეოგრაფიული საზოგადოება"
18.05 სერიალი „ალექს მაკის საიდუმლო სამყარო"
18.30 მულტსერიალი „სიმბა - მეფე ლომი"
19.00 სერიალი „ქალი პოლიციელი" მე-3 ს.
20.00 გადაცემა „მსოფლიო რაგბი"
21.15 სერიალი „სირინოზები" მე-31 ს.
22.00 გადაცემა „ღამის მატარებელი"
00.20 მხ.ფილმი „ცუდი ბიჭები"

### იმედი

09.00, 10.55, 13.55, 15.55, 17.55, 20.55 ქრონიკა
09.05, 13.15, 17.20, 01.50 იმედის მელოდიები
09.30 სერიალი „იუდას ქალი" 66-ე ს.
10.30 ლარის მახე
11.05 სერიალი „შტოკინგერი"
12.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ქრონიკა
12.10 სერიალი „გრაფი მონტე-კრისტო" მე-8 ს.
13.30 სერიალი „უკიდურესი ზღვარი"
14.05 სერიალი „მკვლელობის ილუზია" მე-2 ს.
15.15 ფანების კინოკლუბი „ფრთხილად, ლა ტურ"
17.30 ჩ-კლუზივი
18.05 სერიალი „იუდას ქალი"
19.30 სერიალი „ფორტ საგანი" 1-ლი ს.
20.30 სპორტ. პროგრამა „გოლი"
21.05 სერიალი „მკვლელობის ილუზია" მე-3 ს.
23.00 სერიალი „ეროვნული უშიშროების აგენტი"
23.55 კინონოსტალგია „ეს თუ სიყვარულია"

### ევრიკა

19.05 10.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი
12.00 „ვარსკვლავები გვამცნობენ"
13.00 საბავშვო მუსიკალური კოლაჟი
14.00 მხ. ფილმი
15.00, 21.00 ვესტი
15.30 ფილმის გაგრძელება
18.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი
19.30 ექსტრაორდინარული
20.30 მუსიკალური პაუზა
21.30 ტალანტები და თაყვანისმცემლები
22.30 პირველი ნაბიჯები
23.00 მუსიკალური პაუზა
23.00 ინდური მხ. ფილმი „ ლტოლვილები"

### VII არხი

09.25 „აჩიკუდა"
09.45 აუდიო-ვიდეო-ტელე
10.20 სპორტი
10.30 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
11.00 „ობიექტივი"-სტუმარი (გამეორებით)
11.50 კომპიუტერული ტექნიკა
12.30 დისნეი და მისი მეგობრები
12.50 კომპიუტერული თამაშები
13.05 მობილურები
18.20 აუდიო-ვიდეო-ტელე
19.00 „აჩიკუდა"
19.25 მელოდია - მოკლე შეტყობინებები
20.35 მობილურები
21.15 „ლა-ლა-ლა"
22.00 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
22.30 „კინოკლუბი „ - „დონი ბრასკო „. მძაფრსიუჟეტიანი. რეჟისორი: მაიკლ ნეველი. როლებში ალ პაჩინო, ჯონი დეპი
00.15 კომპიუტერული თამაშები
00.55 ტელესერიალი „შიმშილი"-მე-6 სერია
01.25 მელოდია

### ОРТ

07.00 „Доброе утро!"
10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости
10.15, 21.00 Сериал „Земля любви, земля надежды"
11.05 Худ.фильм „Потому что люблю"
12.40 „Следствие ведет Колобков"
13.15 Комедия „Мой кузен Винни"
15.25 „Пока все дома"
16.15 „Кумиры". Н.Олялин
16.55 Худ.фильм „Кукла"
18.00 „Большая стирка"
19.20 „Смехопанорама"
20.00 „Жди меня"
22.00, 00.30 Время
22.35 Худ.фильм „Дронго"
23.40 „Тайны века". „Спецслужбы в поисках Шамбалы"
01.00 „Теория невероятности". „Биополе"
01.30 „Формула власти". Президент Румынии
02.00 Сериал „Тысячелетие"

### РТР

06.45 „Доброе утро, Россия!"
09.45 Худ.фильм „Эйр Америка"
11.45 Вести. Дежурная часть
12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 Вести
12.20 „Короткое замыкание"
13.20 Вести недели
14.15, 17.45 „Экспертиза"
14.30 Вести - Москва. Неделя в городе
15.20 „Что хочет женщина"
16.10 Сериал „Московские окна"
17.15 Сериал „Простые истины"
18.20, 20.50 Вести. Дежурная часть
18.50, 04.25 „Дорожный патруль"
19.05 Вести - Спорт
19.20, 21.30 Местное время. Вести - Москва
19.50 Сериал „Комиссар Рекс"
21.50 „Спокойной ночи, малыши!"
21.55 Сериал „Пейзаж с убийством"
23.00 Детектив „Марш Турецкого". „Синдикат киллеров", 3 с.
00.20 Драма „Плохие гены"
02.30 „Футбол России"
03.00 Худ.фильм „Даун Хаус"

### НТВ

07.00 Утро на НТВ
09.40 Сериал „Клан Сопрано"
11.00 „Сегодня утром"
11.25 „Намедни"
13.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.30 „Сегодня"
13.30 „Страна Советов"
14.35 Боевик „Агент национальной безопасности"
15.45 „Криминал"
16.35 Ток-шоу „Принцип „Домино". „Какой зарплаты мы достойны?"
18.30 Сериал „Скорая помощь 2"
19.20 „Внимание! Розыск!" „Опасный свидетель".
20.35 Сериал „Улицы разбитых фонарей"
21.50 Сериал „Дальнобойщики"
23.00 „Страна и мир"
23.30 Сериал „Секс в большом городе"
00.15 Сериал „Улицы разбитых фонарей"
01.50 „Гордон"

*პროგრამები იბეჭდება მედიასთან ურთიერთობის სააგენტო "ინფოზავრის" ნებართვით*

## ბინები

### იყიდება

**იყიდება 3-სართულიანი კერძო სახლი მცხეთაში, ფიქრის გორაზე - შიო მღვიმელის ქ. 4 ; 600 კვ. მ. მიწის ნაკვეთით. არის ბუნებრივი აირი, ტელეფონი თბილისის ნომრით, საცურაო აუზი და ავტოფარეხი ორი ავტომობილისათვის. სახლი აშენებულია 1992 წელს. დარეკეთ ტელეფონზე: ტელ: 94-12-12, იკითხეთ ლია.**

იყიდება 2,5-იანი გარემონტებული სუფთა ბინა, რკინის კარით, პარკეტით, ბუნებრივი აირით, ორი აივნით, სათავსოებით, ორი სარდაფით, ავტოფარეხის ადგილით. ორხევი, მუხაძის 6/6, I სადარბაზო, III სართ. N7. ტელ: 76-87-48, 893 32-28-12, 893 20-75-91.

**იყიდება ან ქირავდება 5-ოთახიანი ბინა მაღალ ბელეტაჟზე კეკელიძის 25-ში. ბინის საერთო ფართი 160 კვ.მ. ავტონომიური გათბობის სისტემით, ბარით, სარდაფით და ავტოფარეხით. გაქირავების ფასი 380 $, გაყიდვის ფასი 50 000 $. 23 40 68, 8(93) 32 32 74**

**იყიდება 1500 კვ.მ. ხეხილიანი საგარაკე მიწის ნაკვეთი. შემოღობილი. არის სარწყავი წყალი, დენი, კარგი გზა, სახლის ფუნდამენტი. თბილისიდან 20 კმ-ში გომბორის გადასახვევამდე. ფასი შეთანხმებით. ტელ: 23-11-38**

**იყიდება 3-ოთახიანი არასტანდარტული, მაღალჭერიანი კუთხის ბინა ბუნებრივი აირით, გოგირდის წყლით, რკინის კარით, მუხის პარკეტით, ორმხრივი მიშენების პერსპექტივით, კეთილმოწყობილი სარდაფით, ავტომობილის გასაჩერებელი ადგილით "რუსთავი 2"- ის უკან. ფასი: 30 000$. ტელ: 39-30-54.**

**იყიდება დოლიძის ქუჩაზე 5-ოთახიანი ნათელი ბინა 2(8) დარჩენილია კოსმეტიკური სამუშაო, ორი აივნით, დიდი სათავსით, მანქანის სადგომით. ფასი: 32 000$. ტელ: 23-11-38**

**განვადებით შევიძენ 2 ან 3 ოთახიან ბინას 3 000 დოლარის წინასწარ გადახდით. ტელ: 77-73-54, 77-75-73 კახა.**

იყიდება 2-ოთახიანი ბინა ლოჯიით. ვერცხლის ქ.50. ტელ: 98-61-12

**იყიდება!**

**სასწრაფოდ, ოროთახიანი (გადაკეთებული 4-ად) არასტანდარტული მაღალჭერიანი (3.10მ) კუთხის ბინა 9(9) საბურთალოზე, ს. ზაქარიაძის ქუჩაზე (მ. "გოცირიძე"). საერთო ფართი135 კვ.მ. 3 აივნით, 2 ტუალეტით, 2 სათავსოთი, სარდაფით, ტელეფონით, ბ/ა. ფასი შეთანხმებით.**

**ტელ: 39-53-41 69-94-27 ბელა.**

იყიდება 2,5-ოთახიანი, არასტანდარტული სუფთა ბინა მე-6 სართულზე. 40 კვ.მ. მიშენებით ქვედა ბახტრიონზე, N22-ში. ფასი 24 000. ტელ: 38-32-50

იყიდება 3-სართულიანი სახლი ფ/ 330კვ.მ. ხეხილიანი ეზოთი 600კვ.მ., ბ/ა-ით მ. "სამგორთან" 300 მეტრში. ტელ: 77-65-95. ფასი: 50000$

იყიდება ოროთახიანი ბინა, ორსართულიანი სახლის მე-2 სართულზე (31 კვ.მ., 14 კვ.მ) სარდაფით 28 კვ.მ, ტელეფონით. ვარციხის 19. ვორონცოვის მოედანთან. ფასი 8000$. 52-24-40 ნინო.

## ბინები

### ქირა, ბირაო

**ქირავდება 4-ოთახიანი ახალი ბინა მეტრო დელისთან, ზაქარიაძის ქ.8-ში ("პარლამენტის სახლში") მდებარე ახლადაშენებული სახლის მე-10 სართულზე, კარგი რემონტით, საერთო ფართი 160 კვ.მ. 3 საძინებლით, 3 სველი წერტილით, წყლით, გაზით. 4 აივნით. ბინა ცარიელია, გამოდგება საოფისედაც. ფასი შეთანხმებით. ტელ. 39-74-56 მამუკა.**

**ქირავდება!**

**სახლი ალმაშენებლის გამზ. N151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ. ტელ: 37-28-77; 93-16-11; 899 539097**

**ქირავდება 1-ოთახიანი კეთილმოწყობილი ბინა სოლოლაკში. ყველა საჭირო ინვენტარით. 98-94-74.**

**ქირავდება! 3-ოთახიანი, კეთილმოწყობილი ბინა ავეჯით. ფასი 200$. უზნაძის 53. ტელ: 95-40-23 ნანა.**

**ქირავდება 4-ოთახიანი 125 კვ.მ ფართის ბინა, სათავსოებით, ცხელი წყლით, მუდმივი დენით, ბ/ა-ით ბარათაშვილის N12-ში 7(7), მუშაობს ლიფტი. ტელ: 99-74-83, 99-93-62. 19.00 სთ-ის შემდეგ.**

## კომერც. ფართი

**ვაქირავებ ფართს კომერციული საქმინობისათვის. გამომეხმაურონ პარიკმახერების და მანიკურის სპეციალისტები სალონისთვის. ტელ: 34-25-22, 899 963379 მარინა.**

**ქირავდება 45 კვ.მ საოფისე კეთილმოწყობილი ფართი, ცხელი წყლით, ტელეფონით, მუდმივი დენით ლეონიძის ქ. N8-ში (ყოფილი კიროვის). ტელ: 99-74-83, 99-93-62.**

**19.00 სთ-ის შემდეგ.**

## მანქანები

**სასწრაფოდ!**

**იყიდება BMW-728 1998 წლის. ტელევიზორი, კლიმატკონტროლი, პროგრამული სავარძლები, სანავიგაციო სისტემა, პარკტრონიკები. ფასი: 13 500$ ტელ: 899 182227**

## სწავლება

ლონდონში სტაჟირებული სპეციალისტი შეგასწავლით ინგლისურ ენას ინდივიდუალურად თქვენი მიზნების გათვალისწინებით. ტელ: 96-64-12, 893 219442, 95-20-34.

## სხვადასხვა

ვამზადებთ წვეულებებისთვის მრავალფეროვან კერძებს (როგორც ქართულს, ასევე, ეგზოტიკურს). შეკვეთისათვის დაგვიკავშირდით ორი დღით ადრე.

მის: ა. ყაზბეგის N55ა (კაფე "ჩარგალის" პირდაპირ) – კაფე "ცეზო".

ტელ: 39-46-30, 899 978757 მაკა ან ცეზო.

კაზინო "მუმიას" ესაჭიროება კვალიფიციური დილერები. მისამართი მეტროსადგურ "ვარკეთილი"-ის თავზე. ტელ: 899 584855



Image CENTRE

პროფესიული განვითარების სტუდია და მოდელების სააგენტო "იმიჯ-ცენტრი"

imagecentre@gol.ge www.imagecentre.ge

# შიშის ხელოვნება

## საშინელებათა ფილმები



პირველი "ფრანკენშტეინი", 1910 წ.



სპილბერგი კამერით "ყბების" გადაღების დროს.



თანამედროვე საშინელებათა ფილმის უზადო ნიმუში - "ზარი".

ირაკლი მახარაძე

ადამიანი ათასწლეულების განმავლობაში აშინებდა საკუთარ თავს. იქნებოდა ეს ეგვიპტური ტაძრების მისტერიები, შუა საუკუნეების ლეგენდები, მაქციები, ვამპირები, მოჩვენებები თუ მე-19 საუკუნის გასართობი ბაზრობები, სადაც უჩვენებდნენ "ჯადოსნურ ფარნებს" და ნამდვილ, მახინჯ ადამიანებს.

გადიოდა დრო და რაც უფრო ვითარდებოდა ჰომო საპიენსი მით უფრო იხვეწებოდა "დაშინების" პროფესია და მეთოდები. დადგა მე-20 საუკუნე და ყველა წინამორბედს აჯობა კინემატოგრაფმა – მისტიკურმა და არაამქვეყნიურმა ძალებმა ტაძრები, ქუჩები და მოედნები მიატოვეს და საშინელებათა ფილმების სახით ეკრანზე გადაინაცვლეს. ეს ჟანრი სულ მალე გახდა ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული გასართობი კომედიისა და ვესთერნის შემდეგ.

საშინელებათა ფილმი, პირველ რიგში, ატრაქციონია, მაგრამ სხვა კინოჟანრებისაგან განსხვავებით, მას ერთი განსაკუთრებული თვისება აქვს: ის მასალად იყენებს ადამიანის ურთულეს მდგომარეობას – შიშს. ამ ტიპის ფილმებში შიში არის თვითმიზანი, რომელსაც დასავლეთის კინემატოგრაფისტები ძალიან ეფექტურად იყენებდნენ და იყენებენ კიდევაც მაყურებელზე ზემოქმედებისათვის. ("1000 გირვანქა სტერლინგი მას, ვინც შიშისაგან მოკვდება!" ასე უწევდნენ რეკლამას ზოგიერთ საშინელებათა ფილმს 40-იანი წლების ინგლისში).

გერმანელი კინემატოგრაფისტები იყვნენ პირველნი, რომლებიც მაყურებლის განზრახ დაშინებას ფილმების საშუალებით ცდილობდნენ. კინოს დაბადების პირველი დღეებიდანვე უკვე იღებდნენ ფილმებს ფაუსტის თემაზე.

შემდეგ კი, საშინელებათა ფილმების აღმავლობა დაემთხვა პირველი მსოფლიო ომის დასრულებას და ამის უპირველესი მიზეზი იყო გერმანულ საზოგადოებაში გამეფებული ომისშემდგომი გაჭირვება, დეპრესია და შიში. გერმანელები მაშინვე მიხვდნენ, რომ ხელოვნების დარგებიდან შიშის ატმოსფეროს შექმნის ყველაზე ეფექტური საშუალება (და დიდი შემოსავლის წყაროც) კინემატოგრაფი გახლდათ. ცნობილი ამერიკელი რეჟისორი ჯონ კარპენტერი ამბობდა: "შიში კაცობრიობის უმძლავრესი ემოციაა, ამოუცნობი შიში კი, ალბათ, ყველაზე უძველესი... ბავშვობიდან ჩვენ გვეშინია სიბნელის, გვეშინია ამოუცნობისა და იდუმალის. როდესაც აკეთებ საშინელებათა ფილმს შენ უნდა ითამაშო მაყურებელთა გრძნობებზე". გერმანელთა ეს ინიციატივა აიტაცეს ამერიკელებმა და ე.წ. Horror Movies (საშინელებათა ფილმები) უმაღლეს დონეზე აიყვანეს (ერთ-ერთი პირველი "ფრანკენშტეინი" ედისონის სტუდიაში 1910 წელს გადაიღეს).

იმ დროდან მოყოლებული დღევანდლამდე, ეს ჟანრი სტაბილური პოპულარობით სარგებლობს, უკანასკნელ ათწლეულში კი ახალგაზრდულ საშინელებათა ფილმების ნამდვილი ბუმი მოხდა: "ყვირილი", "მე ვიცი, თუ რა ჩაიდინეთ გასულ ზაფხულს", "ბლერის კუდიანთა საქმე" და სხვა.

ჩვენ არასოდეს ვყოფილვართ განებივრებულნი მაღალმხატვრული საშინელებათა ფილმებით, მხოლოდ ამ ორი ათეული წლის წინათ მოგვეცა საშუალება, გავცნობოდით ამ ჟანრის საუკეთესო ნიმუშებს. ახლა კი გვაქვს მათი კინოთეატრებში ხილვის შანსიც. მაგალითად, "ამირანში" ვნახე საკმაოდ კარგად შეკრული ამერიკული ფილმი "ზარი", რომელიც ამავე სახელწოდების ბრწყინვალე იაპონური ფილმის რიმეიქია. შესაძლოა, ბევრს დაებადოს ასეთი კითხვა: როგორ შეიძლება ილაპარაკო საშინელებათა ფილმებზე და მათგან მაღალმხატვრული ნაწარმოები გამოჰყო მაშინ, როცა დღესდღეობით ჩვენში, სადაც ყველაფერს მოდა კარნახობს, ეს ჟანრი (ისევე როგორც ბევრი სხვა), ხელოვნებად არ მიაჩნიათ, რადგან ის ე.წ. "ელიტარულს" არ განეკუთვნება (ამ სიტყვაზე მახსენდება ერთი შემთხვევა: მაღაზიაში სარეცხი ფხვნილის საყიდლად შევედი და გამყიდველს ვთხოვე რომელიმე ფხვნილი მოეცა. რომელი გნებავთო, ესა თუ ეს? რა მნიშვნელობა აქვს-მეთქი. როგორ არაო, - შეიცხადა მან, - აი ეს "ელიტარულიაო". გამაგებინე, რას ნიშნავს ელიტარული-მეთქი? გამყიდველი გოგონა დაიბნა - უბრალოდ, ამას ფულიანი ხალხი ყიდულობსო. უბედურება იმაშია, რომ ჩვენთან ელიტარულობა გაიგივებულია ფულთან და არა ინტელექტთან, მაგრამ ეს სხვა საუბრის თემაა).

ბუნებრივია, ყველა კინოჟანრში ჭარბობს ცუდი ნიმუშები, მაგრამ საშინელებათა ფილმებში ეს სხვაობა მაინც უფრო დიდია. ეს, ალბათ, ჟანრის სპეციფიკას უნდა დავაბრალოთ. თუმცა, მას სანაგვეზე მოსასროლად ბოლომდე მაინც ვერ გავწირავთ. ამ ლოგიკით ხომ ჩვენი "პოპსა" და ბევრი სხვა ეროვნული "მიღწევაც" უფრო შორს გახდება გადასაგდები.

ორი ათეული წლის წინათ, ავსტრალიასა თუ ინგლისში, ზუსტად არ მახსოვს, ჩაატარეს ექსპერიმენტი – ფერმაში ძროხებს დაუდგეს ტელევიზორი, რომელიც მთელი დღის განმავლობაში იყო ჩართული და შედეგად კი აი, რა მიიღეს: როდესაც აჩვენებდნენ ვესთერნებს, მაშინ წველადობა თითქმის ორჯერ იზრდებოდა, ხოლო როდესაც ძროხები საშინელებათა ფილმებს "უყურებდნენ", წველადობა მაქსიმალურად იკლებდა. იგივე შედეგი გამოიღო ადამიანებზე "ჩატარებულმა ცდამ" – ანუ, სთივენ სფილბერგის ფილმმა "ყბები" (1975 წელი), რომელშიც მოთხრობილი იყო უზარმაზარ თეთრ ზვიგენზე, პატარა, ზღვისპირა ქალაქს რომ ატერორებდა. ფილმის გამოსვლის შემდეგ მსოფლიოს ბევრი პლაჟი დაცარიელდა და დასვენების ბიზნესმა უზარმაზარი დანაკლისი განიცადა, ფილმი კი ერთ-ერთი შემოსავლიანი გახდა კინოს ისტორიაში.

აი, ასეთი ზემოქმედება გააჩნია საშინელებათა ფილმებს. თუმცა ამასთან ერთად ბევრ მათგანს კონკრეტული დანიშნულებაც აქვს. მაგალითად, დრაკულაზე შექმნილი ფილმები, იგივე უილიამ ფრიდკინის "ექზორსისტი" ("ეშმაკის განმდევნელი" 1973), ქრისტიანული რელიგიის, როგორც სიკეთის მომტანის და ყოვლისშემძლის პირდაპირი რეკლამაა, მაგრამ ვიმეორებ, საშინელებათა ფილმების მთავარი დანიშნულება და მიზანია მაყურებელში შიშის გამოწვევა.

მაინც რატომ დადის მაყურებელი საშინელებათა ფილმებზე? ამის პასუხი, ალბათ, ადამიანშივე უნდა ვეძებოთ და ეს არც თუ ისე იოლია. ამერიკელი მწერალი ედგარ ალან პო მოთხრობაში "ცოცხლად დამარხულები" წერდა: "არსებობს ყველასათვის საინტერესო, მაგრამ იმდენად შემზარავი თემები, რომლებიც ლიტერატურის კანონიერ მიღწევებად ვერ იქცევიან. ასე მაგალითად, ჩვენ "საამო ტკივილის" თრთოლვა გვეუფლება, როდესაც ვკითხულობთ, თუ რა ჯოჯოხეთი დატრიალდა ბერეზინას გადალახვის დროს, თუ რა მოჰყვა მიწისძვრას ლისაბონში, შავ ჭირს ლონდონში, თუ როგორ გაჟლიტეს ჰუგენოტები ბართლომეს ღამეს, ანდა იმის შესახებ, თუ როგორ გაიგუდა 123 ტუსაღი კალკუტის შავ ორმოში". ასეთი ტიპის "თრთოლვას" კი ადამიანი განიცდის როდესაც უყურებს საშინელებათა ფილმს. ამას ემატება ისიც, რომ თითოეული ადამიანის ცნობისწადილს საზღვარი არა აქვს. ამ ცნობისწადილში ვგონებ, შედის, ასე ვთქვათ, შიშის უშიშრად განცდის ხიბლიც (ადამიანთაგან მხოლოდ ერთეულები თუ წავლენ შიშის დასაძლევად ღამით სასაფლაოზე, მაგრამ კინოში წავა ყველა!) მაყურებელი, რომელიც მიდის საშინელებათა ფილმის სანახავად და წინასწარ იცის, თუ რა განცდა მოელის, ყველაზე შემზარავი სცენის დროსაც კი ეკრანს თვალს ვერ აშორებს (რა თქმა უნდა, გამონაკლისებიც არსებობენ). ეს, ალბათ, იმიტომ ხდება, რომ მაყურებელმა ძალიან კარგად იცის – ეკრანზე მომხდარი საშინელებანი საფრთხეს არ უქმნის მის ჯანმრთელობას და, მით უმეტეს, სიცოცხლეს და ისიც ყველანაირ საშინელებას "გემოს ატანს".

ამერიკული საზოგადოების ერთი ნაწილი დროდადრო ილაშქრებს ამ ჟანრის წინააღმდეგ, კატეგორიულად მოითხოვს მის აკრძალვას იმ საბაბით, რომ თითქოს ეს ფილმები მოზარდს ფსიქიკას უმახინჯებს, წონასწორობიდან გამოჰყავს და დანაშაულისაკენ უბიძგებს, მაგრამ ამ აზრს ყველა არ ეთანხმება. ერთი ამერიკელი ფსიქიატრი წერდა: "ყველა ნორმალური და ჯანსაღი მოზარდი დაინტერესებულია საშინელებათა ფილმებით. ასეთი ტიპის ფილმები მათთვის ერთგვარი სულის მოსათქმელი საშუალებაა, რადგან ამ პერიოდში ბავშვის ფიქრი და გრძნობა მხოლოდ სექსისაკენ და ძალადობისაკენ არის მიმართული". მართლაც, "ფრანკენშტეინის", "ყვირილის" და "ნიჭის" ნახვის შემდეგ მაყურებელთა ნაწილს მხოლოდ და მხოლოდ შიშის გრძნობა ეუფლება და კინოთეატრიდან გამოსვლის შემდეგ, ალბათ, მხოლოდ იმაზე ფიქრობს, როგორ შევიდეს სახლის ბნელ სადარბაზოში. რომელი მოზარდი ფიქრობს ამ დროს სექსზე და, მით უმეტეს, ძალადობაზე?

თრილერების შემქმნელი დიდი რეჟისორი ალფრედ ჰიჩქოქი (ბევრს, მათ შორის პროფესიონალებსაც, საშინელებათა ფილმების რეჟისორად მიაჩნიათ, რაც არასწორია. ჰიჩქოქი, რომელსაც ამ ჟანრის მხოლოდ ერთი ფილმი, "ჩიტები" (1963 წელი) აქვს გადაღებული ერთ ინტერვიუში აცხადებდა: "მე მაყურებელს ვთავაზობ ჯანსაღ ფსიქიკურ შოკს. აუცილებელია, რომ ეს შოკი გამოიწვიო ხელოვნურად, ამოგლიჯო ადამიანი გახევებული მდგომარეობიდან და ასე, ამგვარად დაუბრუნო მას ფსიქიკური წონასწორობა. კინო საუკეთესო ხერხია ამგვარი მიზნის მისაღწევად". მე კი გავბედავდი და დავუმატებდი, რომ ამ მიზანს, დანარჩენ კინოჟანრებთან შედარებით, ყველაზე ეფექტურად საშინელებათა ფილმები აღწევენ.

როგორც ხედავთ, საშინელებათა ფილმები მთლად ხელწამოსაკრავი არ ყოფილა, რამეთუ ზემოთნახსენებ შოკურ თერაპიას პროფილაქტიკური დანიშნულებაც აქვს და ადამიანისათვის რაღაც სარგებლობაც მოაქვს. თუმცა, ეს რეცეპტი, ალბათ, მხოლოდ ნორმალური ქვეყნისათვის არის მისაღები და სასარგებლო, თორემ ჩვენი მოსახლეობის დიდი ნაწილისათვის ყოველდღიური ცხოვრება ისედაც ნაღდი "უჟასია".

# როკი ზაფხულში



REUTERS

ტომ იორკი და ჯგუფი "რეიდიოჰედი" გლასტონბერის წლევანდელ ფესტივალზე.

როკი პროტესტია უმაქნისი სტაბილურობისადმი – თუ ამ მოსაზრებას გავიხსენებთ, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ მუსიკოსები ფუჭ სიმშვიდესა და ყალბ ცხოვრებას განსაკუთრებული აქტიურობით ზაფხულის ცხელ სეზონზე ებრძვიან. ივნისი, ივლისი, აგვისტო – ეს ის თვეებია, როდესაც კალენდარი ათობით როკ-ფესტივალითაა გაჯერებული. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ამ მრავალრიცხოვანი ღონისძიებიდან უმრავლესობა ჩრდილო-დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ტარდება – საერთო კონტინენტურ სულისკვეთებას რატომღაც ეთიშება აღმოსავლეთით მდებარე სახელმწიფოები და საფრანგეთი-იტალია-ესპანეთი. თუმცა, როკს ხომ ძალიან მაღალი და ძლიერი ხმა აქვს. ამიტომ მძლავრი მუსიკალური ტალღების წარმოქმნას ის 19 ფესტივალიც მშვენივრად ჰყოფნის, რომელთაც უკვე წლებია, მასპინძლობს: დიდი ბრიტანეთი (სხვათა შორის სწორედ ბრიტანეთში მიმდინარეობს საზაფხულო როკ-ღონისძიებების უმრავლესობა), გერმანია, ფინეთი, ჰოლანდია, შვედეთი, ბელგია, დანია, ირლანდია თუ ისლანდია.

წელს, სეზონი 31 მაისს ბრიტანეთში, დერბიშირის საგრაფოში მძიმე როკის ჰანგებით გაიხსნა. დონინგტონ პარკში ჩადგმულ სცენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ "მეტალიკა", "აირონ მეიდენი", მერილინ მენსონი, "დეფთოუნსი" თუ "აუდიოსლეივი". ზუსტად ერთი კვირის თავზე, 6 ივნისს კი როკის ვირუსი გერმანიასაც, უფრო სწორედ, ბავარიის მხარესაც მოედო. მუსიკოსთა თითქმის იგივე შემადგენლობა Rock Am Ring-ის ფესტვალს დაესწრო. თუმცა, მაინც მოხდა რამდენიმე უსიამოვნო ცვლილება: ბავარიაში ვერ ჩავიდნენ ჯგუფები "ლინქინ პარკი" და "ლიმფ ბიზკიტი".

საერთოდ, თანამედროვე როკ-ფესტივალები მდიდარი ტრადიციითა და ლეგენდარული ისტორიული მომენტებით ამაყობენ. 1985 წელს დაარსებული Rock Am Ring-იც ბობ დილანის, ჯო კოკერის, სანტანას და "ფეინთლესის" წარსულ გამოსვლებს იხსენებს და ამ მოგონებებით იხალისებს არც თუ ისე მომხიბვლელ რეალობას, რომელსაც წელს კოკერისა და დილანის ნაცვლად, "ქარდიგანსი", "ჰაივზი", "დენდი უორჰოლზი", ბედლი დროუნ ბოი და მობი განსაზღვრავდა.

როკ-მუსიკის თაყვანისმცემლებს არც შემდეგ დღეებში დაუსვენიათ. 8 ივნისს, როდესაც ბავარიაში Rock Am Ring-ი დასასრულს უახლოვდებოდა, ლანდგრააფში (ჰოლანდია) ხურდებოდა 7 ივნისს დაწყებული ფესტივალი PINKPOP-ი; 13-15 ივნისს კი ერთდროულად ორი ღონისძიება მიმდინარეობდა, ერთი - ფინეთში, მეორე – შვედეთში.

14 ივნისს კი ბრიტანეთში, ნიუპორტში დაიწყო ფესტივალი, რომელსაც საამაყო და ტკბილად მოსაგონებელი, მართლაც, ბევრი რამ აქვს. Isle of Wight-ის ფესტივალი ხომ 1960-იანი წლებიდან იღებს სათავეს. მაშინ ის ჰიპების მთავარი თავშესაქცევი იყო, 1970 წელს ჩატარებული ისტორიული შოუს შემდეგ კი კიდევ უფრო მეტი ადამიანისთვის იქცა სათაყვანებელ ადგილად. იმ წელს სიქლოუზ პარკში ნახევარი მილიონი ადამიანი დაესწრო "დორსის" და ჯიმი ჰენდრიქსის კონცერტს... რამდენიმეხნიანი შესვენების შემდეგ ფესტივალი შარშან აღადგინეს. მართალია, მას დიდი ფინანსური წარმატება არ მოუტანია, მაგრამ ადგილობრივმა საბჭომ მაინც მიიჩნია, რომ ღონისძიება კუნძულის ეკონომიკაზე დადებითად მოქმედებდა და წელს Isle of Wight-ს თავად დაუჭირა მხარი. განსხვავება 1970 წლის ისტორიული შოუსგან მხოლოდ ის იყო, რომ ჯიმი ჰენდრიქსის ნაცვლად სცენაზე ბრაიან ადამსი იდგა, და კიდევ: Hell Is For Heroes-ი, The Darkness-ი, Counting Crows-ი და პოლ ველერი. ახლა ორგანიზატორებს იმის იმედიც აქვთ, რომ Isle of Wight-ი ყოველწლიური, ტრადიციული ფესტივალის სტატუსს დაიბრუნებს.

როგორც თავადაც დარწმუნდით, ძალზე გადატვირთული თვე იყო ივნისიც, მისი ბოლო დღეები კი საერთოდ ერთ დიდ როკ-ღონისძიებად იქცა. 26-29 ივნისის ფარგლებში ხომ ერთდროულად სამი მნიშვნელოვანი ფესტივალი მიმდინარეობდა სამ განსხვავებულ ადგილზე – ვერხტერი (ბელგია), როსკილდე (დანია) და გლასტონბერი (დიდი ბრიტანეთი). სამივე მათგანი გუშინ დაიხურა. მოდით, ვნახოთ, რა ხდებოდა ამ პრესტიჟულ მუსიკალურ თავყრილობებზე.

**ვერხტერი**: ის წელს 30 წლის გახდა. სტარტი კი 1974 წელს ადგილობრივი ჯგუფების, "კანდაჰარისა" და "ბანზაის" კონცერტით აიღო. ახლა ოთხდღიანი ღონისძიება მიმდინარეობს ვრცელ არენაზე, სადაც 70 ათასი ადამიანი ეტევა. წელს ვერხტერის ფესტივალზე დამსწრეების სმენას "მესივ ეთექი", "მეტალიკა", "რეიდიოჰედი" და REM-ი ატკბობდნენ.

ძალიან ოპერატიულად ირჯებოდნენ "მესივ ეთექი" და "მეტალიკა", რადგან მათ ბელგიის პარალელურად დანიაში ჩასვლა და როსკილდეს ფესტივალზე გამოსვლაც მოასწრეს.

**როსკილდე**: გლასტონბერის შემდეგ ევროპის ყველაზე ცნობილი ფესტივალია. ის 1971 წელს ორმა სკოლის მოსწავლემ დააარსა. მას შემდეგ როსკილდემ შეიძინა ყველა ის თვისება, რითაც ამგვარი ფესტივალები გამოირჩევა ხოლმე: ნუდიზმი, მთვრალი ბაიკერები, უცნაური ნამუშევრები და უცნაური ექსპერიმენტები – მაგალითად, ისეთი, როგორიც საცურაო აუზის პუდინგით ამოვსებაა. თუმცა, ამ თავაშვებულ ღრეობასა და გართობას 2000 წელს მოეღო ბოლო, როდესაც ერთ-ერთ კონცერტზე, ბრბოში ცხრა ადამიანი გაიჭყლიტა. სწორედ როსკილდეს ამ ტრაგიკულმა ინციდენტმა დააფიქრა ორგანიზატორები და სწორედ მას შემდეგ ალაპარაკდნენ, რომ დაუყოვნებლივ იყო საჭირო მსგავს ფესტივალებზე უსაფრთხოების ზომების გაზრდა.

ასეა თუ ისე, წელს როსკილდემ მშვიდობიანად და ძველებური მრავალრიცხოვანი მსმენელით ჩაიარა. "მესივ ეთექი", "მეტალიკა", "ბლარი", "აირონ მეიდენი", ბიორკი და "დეპეშ მოუდი" – ასეთი იყო ფესტივალის "როკ-ეკიპაჟი".

დაბოლოს, მივადექით გლასტონბერისაც - ფესტივალს, რომელიც უმთავრეს ევროპულ როკ-ღონისძიებად არის აღიარებული.

პარასკევს ფესტივალი დაიწყო გაძლიერებული უსაფრთხოების ზომებით, მომატებული საპირფარეშოებით, აღკვეთილი კრიმინალით, რეკორდულ დროში გაყიდული ბილეთებით, 115 ათასი მსმენელით, ტრადიციული ტალახითა და წვიმით. პირველი დღის მთავარი სანახაობა კი REM-ი და "ფრაიმალ სქრიმისა" და კეიტ მოსის დუეტი იყო. უნდა ითქვას, რომ REM-მაც და სუპერ-მოდელმა კეიტმაც მსმენელის მოლოდინი გაამართლეს. შაბათს გლასტონბერის მინდვრებზე თავშეყრილებმა "რეიდიოჰედის" გამოსვლით ისიამოვნეს. კვირას კი ფესტივალის დახურვის გრანდიოზულ ცერემონიალს დაესწრნენ. სხვათა შორის, გუშინ დღის პირველ ნახევარში სომერსეტის საგრაფოში კაშკაშა მზე ანათებდა და მსმენელიც გახარებული ჩანდა – მათ შანსი ჰქონდათ, რომ ტალახისა და წვიმის გარეშე დამტკბარიყვნენ ამ საოცარი ღონისძიებით, რომელიც სპობს სოციალურ სტატუსს, და ადამიანებს, როკისა და მარიხუანას თანხლებით, თავისუფლებას განაცდევინებს...

რადგან გუშინ ღამით გლასტონბერიში სმა და ცეკვა დიდხანს არ შეწყვეტილა, გადავწყვიტეთ, ფესტივალის ბოლო დღის შესახებ ხვალ მოგითხროთ. ხვალვე გაგიკეთებთ გულს და გეტყვით, რომ საზაფხულო როკ-პროტესტი კვლავაც გრძელდება. 1 ივლისიდან 31 აგვისტომდე ფესტივალებს ტკბილი მოგონებებითა და თანამედროვე როკ-ვარსკვლავებით ხან ირლანდია უმასპინძლებს, ხანაც ბელგია და ისლანდია. ასე რომ, დაველოდოთ.

# ერთგული და დაჩაგრული თაყვანისმცემელი




აგნეტა ფალტსკოგი

შვედეთის პოლიციამ 37 წლის გერტ ვან დერ გრაფი დააპატიმრა, მხოლოდ იმის გამო, რომ ის ერთგული თაყვანისმცემელი აღმოჩნდა.

გერტს "აბბას" ყოფილი ვოკალისტი, ქერათმიანი აგნეტა ფალტსკოგი უყვარს. 1997-99 წლებში ისინი ერთად ყოფილან, მაგრამ 2000 წელს აგნეტამ მასთან შეხვედრა სასტიკად აუკრძალა.

შეყვარებული მამაკაცი კუნძულ ეკეროეზე დააკავეს, სადაც მომღერალი ცხოვრობს – მეზობლებმა იჩივლეს, სახლთან დაეხეტებაო.

"მე ის დღემდე მიყვარს," თქვა გერტმა, "და ვერასოდეს დავივიწყებ".

53 წლის აგნეტა უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში განმარტოებით ცხოვრობს, და ასტროლოგიითა და იოგათია დაკავებული. მანამდე, 1978 წლამდე, ის ასევე "აბბას" წევრის, ბიორნ ულვაესის მეუღლე იყო, მასთან ორი შვილიც გააჩინა.

# დღესასწაული, რომელიც მეოთხედი საუკუნისა გახდა




კურფიურსტერ დამზე

შაბათს, ბერლინში, პირველი გერმანული Christopher Street Day-ს ვერცხლის იუბილეს 600 ათასი ადამიანი აღნიშნავდა. დედაქალაქის ქუჩებში გამოსულებს ფერად-ფერადი, საკარნავალო კოსტუმები ეცვათ, ან სულაც შიშვლები იყვნენ.

შუადღისას ქალაქის მმართველმა მერმა, ცნობილმა ჰომოსექსუალისტმა კლაუს ვოვერაიტმა ერთ-ერთ მთავარ ქუჩაზე, კურფიურსტერ დამზე, დღესასწაული დაწყებულად გამოაცხადა. ოთხმოცზე მეტმა სატვირთო მანქანამ ნელი სვლით გაიარა ტრიუმფალური თაღის ქვეშ, რომელიც თავისი ფალიური ფორმის გამო ბერლინის მამათმავლების სიმბოლოდაა ქცეული, თუმცა ოფიციალურად 1870-71 წლების გერმანია-საფრანგეთის ომის ძეგლია.

მანქანებს ცისარტყელას დროშების ფრიალით სექსუალურ უმცირესობათა წარმომადგენლებისა და უბრალოდ ზეიმის მოყვარულთაგან შემდგარი პროცესია მიჰყვებოდა. საოცარი სანახაობა იყო – ექსტრავაგანტული სამოსი, ანგელოზის ფრთები, უზარმაზარი ხელოვნური წამწამები, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი, გაშიშვლებული მკერდი... გამოწვევა ბურჟუაზიული მორალისთვის, მსვლელობის დევიზით იყო ხაზგასმული - "აღიარება და არა შემწყნარებლობა".

ტრადიციად ქცეულ ჰომოსექსუალისტების საპროტესტო მსვლელობას უკანასკნელი წლების განმავლობაში მრავალი ჰეტეროსექსუალიც შეუერთდა, და მიუხედავად იმისა, რომ ის დღემდე დემონსტრაციად განიხილება, ბერლინელთა უმრავლესობა Christopher Street Day-ს, ისევე, როგორც სიყვარულის აღლუმს, სახალხო დღესასწაულად მიიჩნევს.



დემონსტრაციის მონაწილეები

# მადონამ წარბი ასწია



მადონა

ძალიან მნიშვნელოვანი ამბავია: ვინ ზრუნავს მადონას წარბების ფორმაზე? ვინმე ბატონმა დეიმონ რობერტსმა განაცხადა, რომ ვარსკვლავის წარბები სწორედ მისი ნახელავია. მომღერალი ძალიან გაწყრა, რადგან "რობერტსი მის წარბებს მხოლოდ ერთხელ მიეკარა, ისიც სამი წლის წინათ".

ჩანს, დეიმონს მეხსიერება ღალატობს – ის მადონას დღესაც თავის მუდმივ კლიენტს უწოდებს.

საქმეში მადონას ადვოკატები ჩაერივნენ. მათ მისტერ რობერტსს ენის გაჩერება ურჩიეს, თორემ ცუდად წაგივა საქმეო...

არადა, მადონას წარბებზე ბევერლი ჰილზზე მოღვაწე სტილისტი ანასტასია ზრუნავს, რომლის კლიენტიც ჯენიფერ ლოპესიც გახლავთ.

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი
(სდასუ)
მრავალპროფილიანი ლიცეუმი
(სწავლების ხანგრძლივობა 2 წელი)
და კოლეჯი
(სწავლების ხანგრძლივობა 3 წელი)
თანამედროვე ევროპული სტანდარტების სასწავლებელია

ლიცეუმში გაძლიერებული პროგრამით შეისწავლება ინგლისური და გერმანული ენა, კომპიუტერი და სხვა დისციპლინები. ლიცეუმი უფლებამოსილია გასცეს საშუალო განათლების პროგრამის სერთიფიკატი (ატესტატი), რომელიც ასახავს მოსწავლის ინდივიდუალურ მიღწევებს. ლიცეუმის კურსდამთავრებული თავისუფალია არჩევანში სწავლა განაგრძოს ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში, თუმცა, თუ სდასუზე შეაჩერებს არჩევანს, მისთვის იარსებებს მნიშვნელოვანი შეღავათები.

მრავალპროფილიან კოლეჯში სასწავლო პროცესი შემდეგი სპეციალობების მიხედვით მიმდინარეობს:

- ბიზნესი და მარკეტინგი.
- საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი. ანალიზი და კონტროლი.
- სოციუზრუნველყოფის სამართალი და ორგანიზაცია.
- უცხო ენები დაწყებით კლასებში.
- ორთოპედიული სტომატოლოგია.
- მედდის საქმე.

ლიცეუმსა და კოლეჯში მოსწავლეთა მიღება ხდება შერჩევა-გასაუბრების საშუალებით. ლიცეუმის წარჩინებული კურსდამთავრებულები, სანიმუშო ყოფაქცევისა და მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე, შემოქმედებითი უნარით დაჯილდოებული ახალგაზრდები დაჯილდოვდებიან დავით აღმაშენებლის სახელობის მედლით და უგამოცდოდ ჩაირიცხებიან უნივერსიტეტში.

თბილისი: ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზ.25
ტელ: 25-36-77; 98-94-45; 25-39-19.




თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-24
20-00-24







წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.